52
1988/2

ISSN 0134 3459

ДРУЖБА НАРОДОВ



1988 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი

გამოცემის

30-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია, პროზა

ბადრი თევზაძე — ლექსები 3

ალექსანდრე სამსონია — დრამატურგების ქალაქი (მოთხრობა. დასასრული) 7

პაატა მოისწრაფიშვილი — ფიქრის ნამცეცები (ლექსი) 49

ჯემალ ქათამაძე — თუ კაცს ენდობი (დოკუმენტური მოთხრობა. II ნაწილი) 52

ჯეჯილი

აბდულ ლუკავა — ლექსები 63

რევაზ გორგაძე — დედის ნატვრა (ლექსი) 63

მოგონებათა ფურცლები

ლილი ჩიქოვანი — ოფლი და სისხლი 64

წერილები

პავლე ნაცვლიშვილი — თეიმურაზ პირველი და გიორგი სააკაძე 71

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

5

1988

სექტემბერი
ოქტომბერი



ბათუმი

ჯარის ყოველთვიური ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ნოდარ ბახილაძე — რით იწყება სამშობლო 77
ზურაბ კომახიძე — გმადლობთ, აღმზრდელო 82

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზაზა ხალვაში — სამოცდაათიანი წლების ქართული რომანის ეთიკური ასპექტი 84
შურად ჩავლეიშვილი — ეროვნებათაშორისო კავშირები და საზოგადოებრივი პროგრესი 91

მედუზა

ელისაბედ ღაღაშვილი — გვაჩუქეთ სიხარული 93

განულ ორ თვეში 95

გარეკანის 1-ლ გვერდზე — რეპროდუქცია ზაურ წულაძის ნახატისა „შემოდგომა აჭარაში“.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი — შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ზოლიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 2.08.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.08.88, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 1833, ემ 00888, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Горького, 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღრი თევზაძე

მერე რა, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ
და თუმცა თმები
გაუმარგლავი ჯეჯილივით
ლამის წალეკონ თოვლისფერმა სარეველებმა
საქმიანი ვიზიტების ჟამს
შეკრეჭილი და გაპარსული (ასეც კი ხდება)
სარკის ანარეკლს ძველებურად
თვალს რომ ჩავუკრავ,
ვგრძნობ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ.
ჰო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ,
ვეწიე ასაკს,
როს შეიძლება ერთდაგვარად მოიხდინო
სიშლეგეცა და თავდაჭერაც.
როს შეიძლება
თვრამეტი წლის ასულს ეტრფოდე
ან ორმოცი წლის მანდილოსანს
და ერთდაგვარად შეიფერო
გარეშე თვალის გესლიანი ღიმის გარეშე.
ამას ასაკზე მოგახსენებთ...
მერე რა, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ,
ჩემს პაწიასთან რომ ვსეირნობ,
რომ ვიცინით,
ზღაპარს რომ ვყვებით,
ანცად მომზირალ თვალებში რომ ვკოცნი,
ვგრძნობ, ეს არ არის მამის ალერსი,
ასე ბაბუა ეფერება შვილიშვილს.
მერე რა, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ,
რომ საყვარელ ქალს მეუღლე ჰქვია,
რომ ზოგჯერ მინდა დავივიწყო
შინ რომ მიმელის,
რომ პაემანზე მსურს ველოდო
მტანჯველი ფიქრით „მოვა? — არ მოვა?“
რომ მინდა ერთხელ მოვიშორო

1934

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

საქმე ყოველი და საზრუნავი
რომ მასთან ერთად უცხოეთის მდიდრულ
ოტელში,
ოკეანის სანაპიროზე,
მარჯვნივ და მარცხნივ
ფულების ფანტვით,
რესტორნებით და მუზეუმებით,
ჩანჩქერებით და ეგზოტიკური კარნავალებით
მთვრალმა ვიცხოვრო,
მერე რა, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ,
...რომ გუშინ მთაში
ოცდაათი ვერსი ვიარე,
რომ სისხლი ისევ მინთებს ძარღვებს,
ისევ ვოცნებობ,
ისევ ვმღერი, როს მემღერება...
ვიცინი, როცა მეცინება.
მერე რა, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ,
ჩემს წინ ქუჩაში ჩაიარეს
ბიჭმა და გოგომ
და ტრანზისტორით გააყრუეს
ორიოდ წუთით ჩვენი უბანი.
ბიჭი რაღაცას ყვებოდა და
ლიფსიტა გოგო
კისკისებდა და კისკისებდა.
და თითქოს მხოლოდ თავისთვის
ხმიანებდა ტრანზისტორი
და მძიმე როკი.
მერე რა... რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ,
რომ მზე მინთია
თვალებში,
მკერდზე,
მკვდრის მზეც ხომ არის...
მერე რა... რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ.

* * *

გვალვების მერე მოვიდა თქეში
ერთი წუთით თუ ერთი საათით
და კვლავ ჩასახლდა სიცოცხლე ხეში
ფოთოლთა კრთომით და მასლაათით.

შენ ხედავ ელვას. გესმის ქუხილი
და შენთვის ხდება თითქოს ყოველი,
რომ დილას შეხვდე კაცი ახალი
გულმოსარკული და თმასოველი.
რა დამქანცველი გზებით იარე,
რა შეცოდებით, წუხილით, დრეკით
და როგორც იქნა, შენ აღიარე...
და მოიკვეთე ცთომილი ნეკი.
უფლის ხელივით განათდა აბლა
ყველა ტკივილი და ყველა მარცხი
და ხვდები, გიჯობს დამბაჩის დახლა
ყველა გადახრას მარჯვნივ თუ მარცხნით.
გვალვების მერე მოვიდა თქეში,
თან რა უბრალოდ მოხდა ყოველი,
კვლავ სიჭაბუკე დაბრუნდა შენში
გულმოსარკული და თმასოველი.

* * *

მე ტყვე ვარ თითქოს... უცნობი მხარე...
წინ მიმაქანებს ბადრაგი ჩქარი,
როგორც მათრახის ტლაშუნი მწარე,
გინებასავით ჩაირბენს ქარი.
ვით ერთი პეშვი მიწა მამულის,
თან მიმაქვს უბით ორიოდ ბწკარი,
შორს კი... ჩრდილების კოშკი მიმელის
ურჩხულის სახით და ბასრი ბრჭყალით.
შეისვენებენ ღელესთან ღამით
დახეთქილ ტერფებს წყალში ვყოფ შვებით
და მოლოდინით დაღლილი შხამი
ატოკებს ფირუზს ფერმიხდილ ვნებით.
და როგორც ნამუსახდილი ქალი,
ჭოტი ჰკივის და ამბოხით მავსებს
და ჩემი ყველა გაქცევის კვალი
დაისებივით მაყრია ტანზე.
გამოჩნდა კოშკიც, ცაა ყვითელი,
ფართხალებს მიწა ბავშვის გულივით...
და ჰა, ჯალათის ჩრდილი წითელი
ჩამორბის სისხლის ნაკადულივით.

და დადგა ჟამი და ვიცი თვითაც,
ბეჭდის თვალიღა რომ შემრჩა მცველად,
მიმაქვს ბაგესთან მთრთოლვარე თითი,
ინგრევა კოშკის ქონგური ყველა.
ვით ბეჭდის თვალში მალული შხამი.
ეხება ბაგეს ლექსის თარეში,
იელვებს, მერე გაქრება წამი
და დამაბრუნებს მშობელ მხარეში.

* * *

ლამის მუხლებზე დავარდეს ქარი,
რომ შემეპაროს და მაწრიალოს,
მცველო ცისაო, განახვენ კარი,
გადმიშვი გზაზე სახეტიალოდ.
მე განმიკითხავს ვარსკვლავთ ნათელი,
ჩემი ოცნება არის თავდები.
ან მთვარით, როგორც ელვარე ცელით
ყელს გამოვიჭრი და... გავთავდები.

* * *

ზღვა არის მარჯვნივ
  და წინაც ზღვაა...
აქ კი სევები... ბილიკი მარცხნივ.
იდგე... ელოდე... და გრძნობდე სხვაა...
უკან... ოცნება, წლები და... მარცხი.
ქარმა მოხვეტა ფოთლები შვავად,
დგახარ ამ შვავში და ელი შვებით...
ზღვა არის მარჯვნივ და წინაც ზღვაა,
მარცხნივ... ბილიკზე მოდიან სხვები.
მზე დაეკიდა და ეგრძნობ ცის კიდე
აელვარდება, ვით მძივი მარჯნის,
ჩანს, უკვე დროა... და ერთხელ კიდევ...
ზღვა არის წინ და
  ზღვა არის მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრამატურგის ქალაქი

შეორე ესკიზი პირველზე უარესი აღმოჩნდა, ქეცბაიას მეტი არ უნახავს, საქალალდე გვერდზე მისწია.

— ორიდან ერთი, — უთხრა მან კინკლიაშვილს, — ან ცუდი მხატვარი ყოფილხარ ან კიდევ აჩქარებულხარ... განა შეიძლება ასეთი პორტრეტის სცენაზე დაკიდება?

— მე, გიორგი კირილიჩ...

— კირილიჩობას შეეშვი, თუ კაცი ხარ!

— მე, ამხანაგო გიორგი...

— თქვენ ამხანაგო კინკლიაშვილო, თავისუფალი ბრძანდებით! — შეაწყვეტინა ქეცბაიამ (მრავლობითშიც უთხრა და მახვილი „ამხანაგოზეც“ დაუსვა).

კინკლიაშვილი დამდუღრულივით გავარდა კაბინეტიდან. ქეცბაიამ თავი სინანულით გააქნია და მე მომიბრუნდა.

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ეს თქვენი მხატვარი თახსირი კაცი ყოფილა... ისე, მთლად მართალი არც თქვენ ხართ. თითოეულ სიტყვას უნდა დაუფიქრდეთ, განსაკუთრებით ცხელ გულზე თუ აპირებთ თქმას.

— რა მეთქვა, აბა, ბატონო გიორგი? — ჩემი ჭკუით თავის მართლება დავიწყე, მაგრამ ქეცბაიამ ალარ მომისმინა პირდაპირი ტელეფონით თბილისს დაუკავშირდა.

— გიორგი ვარ მე, ქეცბაია, შალვა ჩინჩალაძის საქმეზე გელაპარაკებით, დიახ, რეჟისორი რომ არის, თანაც კარგი რეჟისორი... მესმის, მაგრამ საქმე მთლად მასე არ იყო... მხოლოდ ცუდი ნახატი დაუწუნა. დიახ, მე პირადად ვნახე ის ნახატი... ენდეთ ჩემს სიტყვას, შალვა ჩინჩალაძე ჩვენი კაცია... რასაკვირველია, ჩემი პასუხისმგებლობით... კეთილი...

მართალია, თბილისიდან მოლაპარაკე კაცის სმა არ მესმოდა, მაგრამ ქეცბაიას სიტყვებიდან აშკარად ჩანდა, მთლად განწირული არ ვიყავი, ყოველ შემთხვევაში, საციხოდ არ მქონდა საქმე. როგორც კი ყურმილი დადო, ქეცბაიამ ხელი ჩამომართვა, მომილოცავს ბატონო შალვაო, იმედია, აწი მეტ სიფრთხილეს გამოიჩენთო. — კი, ჩემო-ბატონო-მეთქი, თავი დავუქნიე გაბარებულმა, მაგრამ ქეცბაიამ ცივი წყალი გადამასხა, ფრთებს ნაადრევად ნუ გამოისხამო, გამაფრთხილა.

დასასრული იხ. „ჰოროხი“ № 2-4.

ისევ ამიკანკალდა მუხლები და, მიუხედავად იმისა, რომ ქეცბაია ფეხზე იდგა, სკამზე ჩამოვჯექი.

— ცივ ქვეყანაში თუ გიმოგზაურიათ ოდესმეო? — ეშმაკურად შემხე და გაიორგიმ.

— სუსტი ფილტვები მაქვს და ცივ ჰაერს ვერ ვიტან-მეთქი, — მოვახსენე.

— კეთილი, აბაო, — გამიცინა ქეცბაიამ, — რაკი სიცივეს ვერ იტანო, ისევ თბილ ქალაქში უნდა დარჩეთო.

— აგაშენათ ღმერთმა-მეთქი! — წამოვხტი გახარებული, მაგრამ გიორგიმ ისევ შემაჩერა.

— არც მთლად საზეიმოდ გაქვთ საქმე, ბატონო შალვა, ჯერჯერობით რეჟისორობას თავი უნდა დაანებოთ და საგამოცდო ვადის გასვლამდე დაში მსახიობად უნდა იმუშაოთ.

— მსახიობად? — ვკითხე გულდაწყვეტილმა.

— თანაც არა მთავარ როლებზე.

— ესე იგი, სტატისტად?

— დიახ, სტატისტად, ერთჯერად გამოსვლებზე... ვატყობ, გული დაგწყდათ, მაგრამ სხვანაირად ახლა არ შეიძლება, ეს ყველაზე უკეთესი გამოსავალია.

წყენით როგორ არ მეწყინა, მაგრამ რასაც ველოდი, იმასთან შედარებით ეს დიდი ბედნიერება იყო და გულწრფელი მადლობა გადავუხადე.

გიორგი ქეცბაიამ კარებამდე მიმაცილა და გამომშვიდობებისას მითხრა, იმედი უნდა ვიქონიოთ, თქვენი საგამოცდო ვადა მალე გაივლის და ძველებურად ისევ საინტერესო სპექტაკლებს დაგვიდგამთო.

ჩემი სტატისტობა იმ სალამოსვე დაიწყო. „1812 წელი“ გადიოდა და ჩემს სპექტაკლში რიგითი ჯარისკაცის როლი უნდა შემესრულებინა. სათქმელი არაფერი მქონდა, გარდა იმისა, რომ ბოროდინოს ბრძოლის დაწყების წინ, როდესაც ბაგრატიონი დაიძახებდა, მოსკოვისათვის თავი უნდა ვავწიროთო, სხვა ჯარისკაცებთან ერთად მეც „ვაშა“ უნდა დამეგუგუნებინა.

რიგითი ჯარისკაცის ფორმა რომ ჩავიცვი და მასაში დავდექი, მსახიობებმა გაკვირვებული შემხედეს, ჩვენმა რეჟისორმა ხომ არ გააფრინაო, მაგრამ მთავარი მაინც შემდეგ მოხდა, როდესაც სცენაზე ბაგრატიონი შემოვიდა და სმენაზე გაჯგიმული ჯარისკაცებს შორის მე დამინახა.

— ტროფიმოვიჩ? — დაიბუხუნა გაოგნებულმა იოსებ ქობულაძემ.

ნამდვილად სასაცილო სიტუაცია იყო და ვერც ერთმა თავი ვერ შევიკავეთ. იოსებს რა ენაღვლებოდა, მაყურებლისაკენ ზურგით იდგა, მე კი ამაოდ ვცდილობდი, სერიოზული გამომეტყველება მიმეღო, როგორი საქმეა ახლა, ჯარისკაცი გენერლის წინ რომ დაიწყებს სიცილს.

— ხა, ხა! — გადაფიჩინდა იოსები.

— ხი-ხი! — თავი ველარ შევიკავე მე.

ეს მოულოდნელი სცენა მაყურებლებმა ძალზე სიმბოლურად გაიზიარეს, გენერალი ჯარისკაცებისათვის ისე ახლობელია, რომ მათთან ხუმრობასაც არ ერიდებაო, და მოწონების ნიშნად ტაში დაუკრეს. რეჟისორის თანაშემწემ ფარდა მაინც ნაადრევად დახურა, მაგრამ დირექციის სახელზე მოხსენებითი ბარათი არ დაუწერია, სტატისტმა შალვა ჩინჩალაძემ მთავარი როლის შემსრულებელი იოსებ ქობულაძე სცენაზე გააცინაო...

მასპინძელმა მოყოლა შეწყვიტა და სტუმარს გამომცდელად მიაჩერდა.

სამსონი ხმას არ იღებდა. ჩინჩალაძე ისევ დაწყებულ საუბარს მიუბრუნდა.

— აი, ასე გადამარჩინა გიორგი ქეცბაიამ ცივ ქვეყანაში წასვლას... ყველაფერი ამის შემდეგ, ჩემო სამსონ, კიდევ ერთხელ გეკითხები, შეიძლება თუ არა ის კაცი იმპერიალისტების აგენტი იყოს და სანაპიროზე უცხოეთის წყალქვეშა ნავს ხვდებოდეს, თანაც ერთხელ და ორჯერ კი არა, ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ ახლა... — დაიწყო სამსონმა.

— როგორ და პირდაპირ, გიორგი ქეცბაია არის თუ არა ჯაშუში და მავნებელი?

— ალბათ არა, მაგრამ...

— რატომ „ალბათ“ და რატომ „მაგრამ“?

— თუნდაც იმიტომ, რომ ზღვისპირა პარკში ბიჭებს ხშირად დაგვინახავს, როდესაც პლაჟზე ფეხბურთს ვთამაშობდით.

— იქნებ ისიც დაინახეთ, წყალქვეშა ნავში რომ ჯდებოდა?

— ის არა, მაგრამ სანაპიროზე ხომ ხშირად სეირნობდა?

— გული სტკიოდა და ზღვის ნაპირას იმიტომ დადიოდა. — აუბნა სტუმარს ჩინჩალაძემ და ფანჯრები გამოაღო, — ასე და ამრიგად, ძვირფასო სამსონ, ჩვენი მამაშვილური საუბარი დასასრულს მიუახლოვდა...

სამსონ ალავიძე წამოდგა და მასპინძელს სათქმელი პირდაპირ განუცხადა.

— გიორგი ქეცბაიას ამბავი, ასე თუ ისე, გავარკვიეთ, მაგრამ ჩემს პიესაზე რომ არაფერი გითქვამთ, ბატონო შალვა!

— სწორედ შენი პიესის თაობაზე გელაპარაკე ამდენი.

— ეს ზოგადად იყო. მე კონკრეტული პასუხი მინდა, მოგეწონათ თუ არა ჩემი პიესა?

— არა, არ მომეწონა, რადგან „წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი“ სიცრუეზეა აგებული და ამიტომ მისი დადგმა არ შეიძლება.

— თქვენ ამბობთ,, რომ დახურულ წერილში რაც წაგვიკითხავს, ყველაფერი სიცრუეა?

— მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ გიორგი ქეცბაიასთანა კაცი არ შეიძლება მავნებელი იყოს.

— მე კი მეგონა...

— მეგონა არ კმარა პიესის დასაწერად, მხოლოდ სიმართლეა საჭირო, რომ მომავალში მისი წაკითხვა არ შეგრცხვეს.

— მაშასადამე, თქვენ მირჩევთ, რომ „წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი“ არავის წავუკითხო?

— ნება შენია, მაგრამ მაინცდამაინც თავს ნუ გამოიდებ.

შალვა ჩინჩალაძემ კი დაარიგა სტუმარი, მამაშვილურად გეუბნები ყველაფერსო, მაგრამ სამსონ ალავიძემ მისი სიტყვები მაინც მტრულად ჩათვალა, რვეულებს საჩქაროდ ხელი დასტაცა და გარეთ ისე გაიჭრა, მასპინძელს არცკი დამშვიდობებია. სულო ცოდვილო, ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, მაგისთანა ბოროტი კაცის ნათქვამი, სადაც საჭიროა, იქ უნდა ითქვასო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი გაფიქრება იყო და მეორე გაფიქრებაზე სამსონმა მხოლოდ საკუთარი თავი დაადანაშაულა, ჩინჩალაჭემ ყველაფერი სიმართლე მითხრა და მის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა როგორ შეიძლებაო. ასე იყო თუ ისე, სახლში მაინც არეული დაბრუნდა, რადგან ვერ გადაეწყვიტა სულის ერთი ამოსუნთქვით დაწერილი პიესის ბედი.

სამზარეულოში ალავიძეებს ძველი თუნუქის ღუმელი ედგათ, შეშის ეკონომიის მიზნით მხოლოდ დილა-საღამოს ანთებდნენ. დიდი ყოყმანის შემდეგ ამ ღუმელში შეყარა უიღბლო დრამატურგმა თავისი რვეულები და „წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი“ ფერფლად აქცია. ამ რვეულებთან ერთად სამსონის ოცნებაც დაიწვა და დაიბუგა, ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროით მაინც. წინ სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები იყო მომდგარი და ოქროს მედლის კანდიდატს არანაკლებ პასუხსაგები ამოცანა უნდა გადაეწყვიტა, დიახ, თქვენ სწორად გამიგეთ, მთელი თავისი მჩქეფარე ნიჭი და დაუშრეტელი ენერგია გამოცდისათვის უნდა შეეწირა.

აქ შეიძლებოდა ჩვენი შესანიშნავი მოთხრობის ამ უშესანიშნავესი თავისათვის წერტილი დაგვესვა, მაგრამ დიდად პატივცემულ მკითხველებს კიდევ ერთი ამაღელვებელი ეპიზოდი უნდა მოვუყვეთ და ეს ეპიზოდი უშუალოდ „წყალქვეშა ნავი ნომერი იქსის“ მთავარი გმირის სახელთან იქნება დაკავშირებული.

ექვსი გრძელი წელიწადი მიილია ზემოაღწერილი ამბების შემდეგ. ამ ექვს წელიწადში როგორც ქვეყნის, ასევე დრამატურგების ქალაქის

ცხოვრებაშიც ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. ყოველ შემთხვევაში, სამსონ ალავიძემ სკოლაც დაამთავრა (რაზაკვირველია, ოქროს მედლით) და უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაც. ძმობილურ კუთხეში დიდი იმედებით დაპრუნებული სამსონი შემოდგომის ერთ სევდიან საღამოს ზღვისპირა პარკში სრულიად მოულოდნელად სახაპიროზე მოსეირნე გიორგი ქეცბაიას შეხვდა. პატიმრობა მას უფრო ადრე დაემთავრებინა, ვიდრე სამსონ ალავიძეს უმაღლესი სასწავლებელი. ქეცბაიამ ახალგაზრდა ჟურნალისტი თითქოს იცნო და თითქოს ვერა. ყოველ შემთხვევაში თვალი აარიდა, მაგრამ სამსონი მაინც მიესალმა.

— გამარჯობათ, ბატონო გიორგი!

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო! — თავი დაუქნია ქეცბაიას.

— ვიცი, გვიანაა, მაგრამ მაინც მინდა ბოდიში მოგიხადოთ.

— ისეთი რა დააშავეთ?

— ის დავაშავე, რომ სკოლაში თქვენზე პიესა დავწერე.

— ეს როდის, მე კუთხური დაჯგუფების ლიდერი და უცხოეთის დაქირავებული აგენტი რომ ვიყავი? — გაიცინა ქეცბაიამ.

— დიახ, და ერთ-ერთი იმპერიალისტური ქვეყნის წყალქვეშა ნავს რომ ხვდებოდით სწორედ ამ ადგილებში.

— დიდად დამავალებთ, თუკი ამ პიესას წამაკითხებთ. — შეეხვეწა სამსონს უცხოეთის ყოფილი აგენტი.

ყოფილმა დრამატურგმა, უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ვერ წაგაკითხებთ, რადგან ის პიესა ღუმელში დავწვი...

— არც სათაური გახსოვთ?

— სათაური კი მახსოვს, „წყალქვეშა ნავი ნომერი იქსი“ ჰქვიოდა.

— შესანიშნავი სათაური მოგიძებნიათ, ჩემო ბატონო, — შეაქო ახალგაცნობილი ავტორი ქეცბაიამ, — კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, კარგი სათაური უნიჭო რომანს სჯობიაო... თქვენი, ალბათ, არც პიესა იყო ცუდი.

შეცბუნებულმა სამსონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ძალიან ცუდი პიესა იყო!.. ახლა რომ მახსენდება, სირცხვილით თვალს ვერ გისწორებთ.

ქეცბაიამ დრამატურგს გამომცდელად შეხედა.

— გატყობთ, თქვენ პატიოსანი ახალგაზრდა ყოფილხართ, ჩემო...

— სამსონი მქვია მე, ბატონო გიორგი, გვარად კი ალავიძე ვარ... სხვათა შორის, თქვენ ჩემს ოჯახში ნამყოფი ბრძანდებით... საბაჟოს ქუჩაზე ვცხოვრობთ.

— არა, არ მახსენდება.

— სადარბაზოს წინ სკვერი მოუვლელი გვქონდა და ჩვენი სახლის ყველა მობინადრე გააფრთხილეთ პირადად... იმავე დღეს გავწმინდეთ.

— საბაჟოს ქუჩაზე?.. დაიცა, დაიცა, მგონი იქვე კოლექტორი იყო დაზიანებული და წვიმაში წყალი დგებოდა.

— დიახ, ისიც გაგვიკეთეთ და მერე ასევე პირადად შეამოწმეთ... ფეხბურთის მოედნებიც მოაწყვეთ ქალაქში, რომ ბავშვებს ქუჩაში არ გვერბინა. სწორედ თქვენს დროს ჩაუშვეს პიონერთა პარკის ტბაში თბომავალი „პიონერი“, ედნარ მეგრელიძე იყო მისი კაპიტანი... ერთი სიტყვით, ბევრი კარგი საქმე წამოიწყეთ. სხვისას ვერაფერს გეტყვით, მაგრამ პირადად, მადლობა იმით გადაგიხადეთ, რომ თქვენზე მამხილებელი პიესა დავწერე.

— სხვათა შორის, სამადლობელი არაფერი გქონდათ, ავად თუ კარგად, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი.

— მეც საკუთარი ინიციატივით დავწერე პიესა... კარგი იყო კალმისთვის საერთოდ ხელი არ მომეკიდებინა, მაგრამ ახლა წამხდარ საქმეს არაფერი ეშველება.

გიორგი ქეცბაიამ ერთხანს იყუჩა, შემდეგ კი თქვა:

— მთავარი ისაა, რომ თქვენი პიესა არ დადგმულა, დამწყებ დრამატურგებს ბედი იშვიათად გწყალობთ ხოლმე... აი, ერთმა ცნობილმა ავტორმა კი სასწრაფოდ გამომაჭენა მშობლიური ქალაქის სცენაზე. ალბათ, ორივე ხელით წერდა. შინაარსზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ გარეგნულად ჩემი პორტრეტი დაუხატავს. მისი გმირი (უარყოფითი, რასაკვირველია) ზუსტად ჩემსავით დადიოდა, მარჯვენა მხარაწეული, ჩემსავით ტყავის კურტაკი ეცვა... მაშინ ხომ კურტაკებისა და კიტელების დრო იყო... არა, ჩექმების ჩაცმა ვერ გაბედა, სხვანაირად ჩამოართმევდნენ.

— განა ტანსაცმელს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ბატონო გიორგი?

— არსებითი კაცის საქმიანობაა, მაგრამ ხალხი გარეგნულ მხარესაც დიდ ყურადღებას აქცევს... აი, მაგალითად, მე აუცილებლად უნდა შემენიშნა ის მლიქვნელები, რომლებიც ტყავის კურტაკს ვითომდა ჩემს პატივსაცემად იცვამდნენ.

ფიქრებში გადაჭრილი გიორგი ქეცბაია ზღვის აქოჩრილ ტალღებს მიაჩერდა, თითქოს იქედან იმპერიალისტური ქვეყნის წყალქვეშა ნავის ამოსვლას ელოდებოდა. სამსონ ალავიძემ თავისი მისია დასრულებულად ჩათვალა და წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ქეცბაიამ შეაჩერა.

— პირადად თქვენი ძალიან მადლობელი ვარ, პატივცემულო სამსონ. — უთხრა და მთელი ამ საუბრის დროს პიჯაკის ჯიბეში ჩაყოფილი მარჯვენა ხელი ამოიღო. ზედ ტყავის ხელთათმანი ეკეთა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის ცხელი საღამო იყო და ხალხი არათუ უხელთათმანოდ, უპიჯაკოდაც სეირნობდა ზღვისპირა პარკის კვიპაროსებიან ხეივანში, რომლის მშენებლობაც, სხვათა შორის, გიორგი ქეცბაიამ წამოიწყო დაპატიმრებამდე ორიოდე წლით ადრე.

სამსონ ალავიძემ ქეცბაიას ხელს თავისი მარჯვენა შეაგება.

— გაგიკვირდათ ხომ, ასეთ ამინდში ხელთათმანი რომ მიკეთია, თანაც მხოლოდ მარჯვენა ხელზე? — ჰკითხა უცხოეთის დაზვერვის ყოფილმა აგენტმა.

-- არ დაგიმალავთ და, ნამდვილად გამიკვირდა, ბატონო გიორგი, ალბათ, გტკივათ და იმიტომ გაიკეთეთ.

ქეცბაიამ თავი დაუქნია.

— რასაკვირველია, მტკივა, უფრო სწორად, მატკინეს... აბა, როგორ გგონიათ, ბრალდებაზე თუ ხელს არ მოაწერ, ფრჩხილებს დაგაძრობენ!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ასეთ სიტუაციაში სამსონის მხრიდან თანაგრძნობა კი არა, განყენებული ფრაზების თქმაც ყალბი გამოვიდოდა (მაგალითად, ხომ ვერ იტყოდა: „ვიშ; რა საამურია ცხოვრება“, ან კიდევ: „ადამიანი ყველაზე ძვირფასი კაპიტალია“).

გიორგი ქეცბაიამ, გამოთხოვების ნიშნად, თავი დახარა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, პატივცემულო სამსონ.... მერწმუნეთ, ძალიან მესიამოვნა თქვენი გაცნობა.

— ასევე მეც, ბატონო, გიორგი. — უთხრა სამსონ ალავიძემ, შემდეგ შემოტრიალდა და სახლისკენ მიმავალ გზას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. ზღვისპირა პარკში უამრავი ხალხი სეირნობდა, მაგრამ გუნებაამღვრეული სამსონი არათუ ბავშვებსა და მოხუცებს, არამედ ლამაზ ქალიშვილებსაც კი თვალს არიდებდა, თითქოს მათ წინაშე რაიმე დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი.

არაფერი სიმართლის გარდა

გიორგი ქეცბაიასთან შეხვედრამ, ჟურნალისტების საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სამსონ ალავიძეზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრიც იფიქრა, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და, საბოლოოდ, ასეთი დასკვნა გამოიტანა: ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თუკი ლიტერატურას დავუბრუნდები, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს დავწერ და არაფერს სიმართლის გარდაო! ამ გადაწყვეტილებამ გულზე შვება მოჰფინა და შემოქმედებითი ენერგიის უჩვეულო მოზღვავება იგრძნო, თავდაპირველად სამართლიანობის იდეის გატარება პოეზიაში სცადა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება დრამატურგიის გარდა, სიტყვაკაზმული მწერლობის არცერთი ჟანრი არ იყო. ამიტომ ლექსების წერას თავი დაანება და ისევ ბავშვობისდროინდელ გატაცებას დაუბრუნდა, ესე იგი, პიესაზე მუშაობა დაიწყო.

მოწაფეობის წლებისაგან განსხვავებით, სამუშაო მაგიდას ახლა საკმაოდ დაღვინებული და წუთისოფლის ავ-კარგის ასე თუ ისე მცნობი დრა-

მატურგი მიუჯდა... თან კიდევ პატივცემულ სამსონს ძველებურად რომე-
ლიმე კონკრეტული პიროვნების ცხოვრების აღწერა კი არ დაუწყია, არა-
მედ ყურადღება ზოგად გლობალურ პრობლემებზე შეაჩერა, კონკრეტუ-
ლად კი გადაწყვიტა საყოველთაო სამსჯავროზე ისეთი საკითხი გამოეტა-
ნა, რომელიც საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას უშლიდა ხელს
და, საბოლოო ანგარიშით, პროგრესის დამკვიდრებასაც აფერხებდა.

მოჩვენებითი კეთილდღეობისა და უძრაობის ფონზე ასეთი მტკივნეუ-
ლი პრობლემა მუქთახორობა და უმიზნო ქეიფი იყო. მიხვდით, ალბათ,
მხედველობაში გვაქვს არა რომელიმე პიროვნება ან მოვლენის პატივსა-
ცემად გამიზნული სუფრა, არამედ ისეთი დროსტარება, რომლის მიზანი
მხოლოდ და მხოლოდ დათრობაა. ზოგიერთმა, შეიძლება თქვას, ქეიფი და
გზებზე სუფრის გადაფენა არსენა ოძელშვილსაც უყვარდა და რადა მაინც-
დამაინც სამსონ ალავიძემ შეიბულაო... როგორც უკვე მოგახსენეთ, პატი-
ვცემული სამსონი მხოლოდ უზომო ქეიფისა და უმიზნო დროსტარების
წინააღმდეგი გახლდათ, თორემ ზომიერი ღვინის სმა და ძმაკაცებში მოლ-
ხენა არსენაზე ნაკლებად არ სიამოვნებდა. მეტსაც გეტყვით, თუკი სუფრა-
ზე თამადად აირჩევდნენ, ერთ სავალდებულო სადღეგრძელოს ყოველთვის
პათეტიკურად ამბობდა: ის ვაზის ძირი დაიღოცოს, ფესვები საქართვე-
ლოს ისტორიაში რომ გაუდგამსო.

დრამატურგების ქალაქის ყველა მოქალაქეს ქართული ტრადიციების
თაობაზე სამსონ ალავიძის შეხედულებები რომ გაეზიარებინა, ცხადია, პი-
ესის დაწერაც არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ვაი, რომ ზოგიერთ პიროვ-
ნებას ზომიერების დაცვა უზომოდ უჭირს და სამოყვროდ გაშლილ სუფ-
რაზე მისი წევრები ზოგჯერ მოსისხლე მტრებად გადაეკიდებიან ერთმა-
ნეთს: გამონაკლისი არც ქელეხები და ქორწილებია, რომლებზეც წესი და
რიგი სწორად ირღვევა, მაგრამ ბევრი შეუგნებელი პიროვნება ამას ტრა-
დიციისადმი ერთგულებით ხსნის.

აქვე ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტიც მინდა გაგაცნოთ: როდესაც
სამსონ ალავიძე ლოთობისა და გაუკუღმართებული ტრადიციების წინააღმ-
დეგ პიესის წერას შეუდგა, ამ საკითხზე ზემდგომი ორგანოების რაიმე სპე-
ციალური დადგენილება არ არსებობდა და ურთულეს პრობლემებთან შეჭი-
დებული დრამატურგი მხოლოდდამხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახით
მოქმედებდა.

სამსონის პიესა ერთი პატარა ქალაქის ფონზე იშლებოდა. დაკვირვე-
ბული მკითხველი ამ პატარა ქალაქს ბევრ მსგავსებას აღმოუჩენდა დრამა-
ტურგების ქალაქთან, თუნდაც იმას, რომ ორივეში ჭამა-სმისა და დროს-
ტარების მოყვარული ხალხი საკმაოზე მეტი ცხოვრობდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ დრამატურგმა თავის სატირულ კომედიას (დი-
აბ, სწორედ ამ ჟანრს მიმართა) ფრიად ორიგინალური სათაური გამოუნა-

ხა. „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“ — სწორედ ასე ჰქვიოდა სამსონის პიესას, რომლის მთავარი გმირი ტრადიციების მოყვარული კაცი, ნანო ნანეიშვილი, გახლდათ.

შორს წაგვიყვანდა იმ ფათერაკების ჩამოთვლა, რომლებიც პიესის მსვლელობაში ნანეიშვილს ატყდებოდა თავზე. მარტო იმას შეგახსენებთ, რომ ფინალში გალოთებული და გაუბედურებული გმირი თავის მოკვლას აპირებდა (მხოლოდ აპირებდა!), რომ ამ სიმბოლური სიკვდილით დროებით ცოცხლადდარჩენილები გაეფრთხილებინა: ღვინო ზომიერად სვით და საჭმელიც ზომიერად ჭამეთ, თორემ ყველა ჩემს ბედს გაიზიარებთო.

ნანო ნანეიშვილი ბუნებით ლოთი-შფოთი და უსაქმური კაცი არ იყო, მაგრამ რადგან არავჯანსაღ გარემოში მოხვდა, მანაც გარემოებას ფეხი აუწყო, კვირაში ხუთჯერ მაინც უწევდა სუფრაზე ჯდომა, სან თამადად ირჩევდნენ და სან მერიქიფედ, უარს არასოდეს არ აცხადებდა, სადაც ფულის დაწერა იყო საჭირო, იქაც არ შეურცხვენია თავი. ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა, მაშინ, როცა ხელფასი 120 მანეთი ჰქონდა და ბაზარში ყოველი წასვლის შემდეგ მის ოჯახურ ბიუჯეტს 50 მანეთი აკლდებოდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სატირული კომედიის მთავარი გმირი განზოგადოებული პიროვნება გამოვიდა, მასაც მცირე ხელფასით დიდი საქმეების გაკეთება ეწადა, მაგრამ სუსტი ხასიათის წყალობით, საბოლოოდ, ცუდი საქმეები გამოსდიოდა. ასეთი პიროვნების დასახატავად სამსონმა ავტოპორტრეტიდანაც ისესხა რამდენიმე შტრიხი, დანარჩენი ნანახითა და გაგონილით შეავსო და როდესაც დაწერილი კიდევ ერთხელ გადაიკითხა, კმაყოფილმა დაასკვნა, არცთუ ისე ურიგო პერსონაჟი გამომივიდაო, მიუხედავად იმისა, რომ ნანო ნანეიშვილი, მთელი ორი მოქმედების განმავლობაში, ღვინის სმის გარდა, არაფერს არაჩვეულებრივს არ აკეთებდა.

ადრინდელი პიესებისაგან განსხვავებით, ამ სატირულ კომედიას სამსონ ალავიძე აუჩქარებლად წერდა. თავად განსაჯეთ, მთელი ზაფხული პირველი ვარიანტის გაშალაშინებას მოანდომა, ხოლო როდესაც ცხელი მზე საშემოდგომოდ გადაიხარა, პიესა საბოლოოდ დაბეჭდა და თეატრალური სეზონის დაწყებას ხელდამშვენებული შეეგება.

სამსონი ისე იყო დარწმუნებული, ნამდვილად ხელიხელსაგოგმანებელი კომედია დავწერეო, რომ ნამოლვაწარი არც შალვა ჩინჩალაძისათვის უჩვენებია და არც იოსებ ქობულაძისათვის, პირდაპირ მთავარ რეჟისორს, ლადო ვარლამიშვილს მიადგა, რომელიც სწორედ იმ დღეებში შედგომოდა თავისი მეტად საპატიო, მაგრამ ფათერაკიანი მისიის შესრულებას ადგილობრივ თეატრში და იმ ეტაპზე არათუ დრამატურგებს, ხეირიანად არც საკუთარ დასს იცნობდა.

სამსონ ალავიძეს უცნობ ადამიანთან სტუმრობა ადგილობრივ გაზეთ-

ში დაბეჭდილმა ინტერვიუმ გააბედვინა, რომელშიც მთავარი რეჟისორი მიუკიბ-მოუკიბავად აცხადებდა, ბრეხტის თეატრს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ქართული დრამატურგია ყველაფერს მირჩევნიაო.

გახარებულმა სამსონმა გაზეთში ნათქვამი, რასაკვირველია, დაიჯერა და არც იმაში შეპარვია ეჭვი, რომ ახალი ხელმძღვანელი მის სატირულ კომედიას სასწრაფოდ რეპერტუარში შეიტანდა და წლის ბოლომდე სცენაზეც ააჟღერებდა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ლადო ვარლამიშვილი ახალბედა დრამატურგს საკმაოდ გულგრილად შეხვდა. სამსონმა იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და მთავარ რეჟისორს პირდაპირ განუცხადა, ასე სახელდახელოდ თეატრში თქვენმა ინტერვიუმ მომიყვანაო.

— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში? — ცოტა არ იყოს, გამომწვევად ჰკითხა ლადო ვარლამიშვილმა, იმის მაგივრად, რომ ორივე ხელი გაეშალა და ყველას გასაგონად ეყვირა, ქართულ თეატრში ქართველი დრამატურგის მოსვლას გაუმარჯოსო!

სამსონ ალავიძეს ასეთი დახვედრა, ცხადია, ეწყინა, მაგრამ სახიდან ღიმილი მაინც არ მოუშორებია.

— კონკრეტულად, ბატონო ლადო, სულითა და გულით ვიზიარებ თქვენს შეხედულებას ეროვნული დრამატურგიის თაობაზე.

ლადო ვარლამიშვილს ხმა მაინც არ გაურბილებია.

— და ყველაფერ ამასთან დაკავშირებით პიესა მოიტანეთ, ხომ?

— დიახ, ბატონო.

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ თქვენი გვარი?

— მე სამსონ ალავიძე ვარ.

— თუ არ ვცდები, „დაძინებული ქალაქი“ თქვენ დაწერეთ, არა?

— ძალიანაც ცდებით. ის პიესა გუგული ჩხობაძემ დაწერა.

— ჩხობაძე კი გამიგონია, მაგრამ თქვენ უნდა მაპატიოთ, დრამატურგ ალავიძეს მე არ ვიცნობ.

ბოლოსდაბოლოს, სამსონ ალავიძეც გაბრაზდა.

— სხვათა შორის, არც მე ვიცნობ რეჟისორ ლადო ვარლამიშვილს.

— და თქვენ მხოლოდ ეს გინდოდათ გეთქვათ?

ლადო ვარლამიშვილმა შეტევაზე გადასულ დრამატურგს მრისხანე მზერა სტყორცნა, მაგრამ პიესა მაინც გამოართვა.

— რაკი ასე ენერგიულად მოითხოვთ, დამიტოვეთ... „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“... სულ მწუხარებაში ხომ არ უნდა ვამყოფოთ ხალხი, ერთხელ მაინც გავამხიარულოთ.

— აგაშენათ ღმერთმა, პესიმისტური სათაურის მიუხედავად, ჩემი პიესა კომედიაა! — მიახარა სამსონმა.

— კომედია სათქმელად ადვილია, დასაწერად კი, ნურას უკაცრავად!

შეურაცხყოფილმა სამსონმა მთავარი რეჟისორის გამოლანძღვა დაპირა, მაგრამ თავი მაინც ვაჟკაცურად შეიკავა და წყნარად ჰკითხა:

— პასუხისათვის როდის გამოვიარო?

— დღეს ხუთი რიცხვია, არა? — კითხვა დაუბრუნა ვარლამიშვილმა, — შევეცდები, თვის ბოლომდე წავიკითხო.

— ეს თვე ოცდაათით გადის, — შეახსენა დრამატურგმა, — ნუთუ მანამდე ვერ მოასწრებთ?

— ვერ მოვასწრებ, რადგან მანამდე ლოპე დე ვეგას კომედია უნდა წავიკითხოთ... მაშასადამე, იმ თვის პირველში გელოდებით.

ვარლამიშვილის სიტყვებში აშკარად დაცინვა იგრძნობოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო, სამსონს, მოთმინების გარდა, არაფერი დარჩენოდა, თუმცა მოთმინებასთან ერთად საგანგებო ზომებიც უნდა მიეღო, რადგან პიესის ბედზე გული სასიკეთოს არას ეუბნებოდა. ამიტომ საბოლოო პასუხის მიღებამდე, გადაწყვიტა ნაცნობი მსახიობებისათვის კომედია წინასწარ წაეკითხა და მათი აზრი მოესმინა. გადაწყვიტა და კიდევაც შეასრულა: ორშაბათ საღამოს დრამატურგების ქალაქის თეატრის 10 თანამშრომელი (8 მსახიობი, 1 რეჟისორის თანაშემწე, 1 მოკარნახე) ოჯახში მიიპატიჟა და სუფრის გაშლამდე მათ თავისი ნამოღვაწარი გააცნო.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ობიექტური აზრის გამოთქმა ერთობ ძნელი საქმე იყო, რადგან კაცს რომ პურის საჭმელად დაპატიჟებ, უნიჭო და დებილი ხარო, არავითარ შემთხვევაში არ გეტყვის... სამსონ ალავიძე შინაგანად დარწმუნებული კი იყო, პიესას არ დამიწუნებენო, მაგრამ მაინც საშინლად ღელავდა და მთელი პირველი მოქმედება სულ ხმის კანკალით წაიკითხა. თანდათანობით უნდობლობის ყინული გალხვა და მეორე მოქმედების მსვლელობაში შიგადაშიგ მოწონების შეძახილებიც გაისმა, რადგან შემწვარ-მოხრაკულის გამაბრუებელი სუნი ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულს ეფინებოდა და გულუხვი მასპინძლის მიმართ სტუმრებს კეთილად განაწყობდა.

როგორც კი სამსონმა ბოლო სიტყვა, „ფარდა“, წარმოთქვა, მქუხარე ტაშმა იფეთქა და ამით ყოველგვარ გაურკვევლობას ფარდა აეხადა.

პირველი სიტყვა ტრაგიკულ როლებზე ოვდადებულმა არცთუ ისე ახალგაზრდა მსახიობმა გოჩა შარაბიძემ აიღო.

— არ შემიძლია არ მოგილოცოთ, ბატონო სამსონ, ეს დამსახურებული წარმატება, — უთხრა მან და ხელიც ჩამოართვა, — ოღონდ, იცოდეთ, ნანო ნანეიშვილის როლს არავის დავუთმობ!

— თამადა კი მხოლოდ მე უნდა ვითამადო! — განაცხადა თეატრის მასშტაბით პირველმა ღვინის მსმელმა ვალიკო გობეჩიამ.

— მე კიდევ ნანეიშვილის მეუღლეს, მაკრინეს, განვასახიერებ. — მორცხვად გამოუტყდა დრამატურგს დაუმსახურებელი არტისტი თათული სკა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა 17

მკოჩაიშვილი,—იმ ეტაპზე დრამატურგების ქალაქის თეატრში წოდება მხოლოდ სამ მსახიობს არ ჰქონდა, დანარჩენები ყველა დამსახურებულები და სახალხოები იყვნენ, — ოღონდ რამდენიმე ეპიზოდი უნდა დამიმატოთ. ფინალში კიდევ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ერთ მონოლოგსაც წავიკითხავ.

სამსონ ალავიძემ იმ წამსვე თანხმობა განაცხადა.

— არ ვიქნები წინააღმდეგი... რასაც თქვენ მირჩევთ, ყველაფერს გავაკეთებ.

— უპირველესად იმას გირჩევთ, რომ სუფრასთან დროზე დაგვიძახო, თორემ ცუდადაა ჩვენი საქმე, — ვითომ იხუმრა ვალიკო გობეჩიამ და აკოკრებული ულვაშები თითებით საგულდაგულოდ დაივარცხნა.

ამ სიტყვების შემდეგ სტუმრებს დიდი ლოდინი არ დასჭირვებიათ, სამსონ ალავიძემ ისინი სუფრასთან მიიპატიჟა. თამადად, რასაკვირველია, კალიკო გობეჩია დაასახელეს და მასაც დიდი პატივი არ დაუწყია, ნახევარლიტრიანი ყანწი მოითხოვა და პირველი სასმისით მასპინძელს შემოქმედებითი გამარჯვება მიულოცა.

— ჩემო ძმაო და ჩემო საყვარელო სამსონ, — მიმართა მან სახეგაბრწყინებულ დრამატურგს, — მიხარია, რომ დიდი შესვენების შემდეგ ჩვენი თეატრის სცენაზე ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი დრამატურგის კომედია აჟღერდება და აქამდე ჯერ კიდევ შემორჩენილ მავნე ტრადიციებს გახურებული შანთით ამოწვავს!

— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ვალიკ, — გულზე მოწიწებით ხელი მიიდო მასპინძელმა, — მიხარია, რომ მშობლიური ქალაქის თეატრში ასე გამგები და დამფასებელი ხალხი მყავს.

გოჩა შარაბიძემ თავისი გამოსვლა ოტელოს ცნობილი მონოლოგით დაიწყო: „ჯერ შეიცადეთ, ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვაო“... ორიოდე სიტყვა კი არა, კეთილშობილი მავრის მთელი აღსარება წარმოთქვა. საერთოდ, ოტელო, მისი საოცნებო გმირი იყო, იოსებ ქობულაძე კი არა, მე უნდა ვთამაშობდე მას სცენაზეო, ასე ფიქრობდა გუნებაში. ოტელოს რა მოგახსენოთ, მაგრამ ნანო ნანეიშვილი ნამდვილად კარგი გამოუვაო. — დაასკვნა მისმა შემხედვარე სამსონმა.

თათული სკამკოჩაშვილის გარდა, ახალი კომედიის დაბადება ყველამ ყანწით დალია. ეს ერთი და სხვა მრავალიო, ერთხმად გაიძახოდნენ სუფრის წევრები. ლამაზ სადღეგრძელოებთან ერთად, არანაკლებ ლამაზი ცეკვაც იყო და სიმღერაც. ანეკდოტებს ხომ ნუღარ იკითხავთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გულით მოილხინეს და ერთმანეთს პირზე კოცნით გამოეშვიდობნენ.

ყველაფერი ეს ოცდაათში საღამოს მოხდა, პირველში დილით კი მსახიობების სიტყვით გულდამშვიდებული სამსონი ლადო ვარლამიშვილის

კაბინეტს მიადგა. როდესაც მთავარ რეჟისორს საბეზე გაკვირვება შეჰქმნოდა, საკუთარი თავი შეახსენა, მე დრამატურგი სამსონ ალავიძე ვარო.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა ვარლამიშვილმა, — თქვენ „მარადმწვანე პლანტაციების“ ავტორი ბრძანდებით, არა?

— ჩემს პიესას „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“ ჰქვია, — აუხსნა განაწყენებულმა სამსონმა.

— ვიცი, ვიცი, სატირული კომედიაა... თქვენს გარდა, კიდევ ოთხმა აქაურმა დრამატურგმა დამიტოვა პიესა წასაკითხად და იმიტომ ამერია... ისე, ერთ პატარა ქალაქში ხუთი დრამატურგი მეტისმეტი ხომ არაა?

ვარლამიშვილის სიტყვებმა სამსონი ვერ დააკმაყოფილა და ხმასაც იმიტომ აუწია.

— წაიკითხეთ თუ არა ჩემი პიესა?

მთავარმა რეჟისორმა დამწყებ დრამატურგს კიდევ შეხედა.

— რივორ თუ არ წავიკითხე!

— და არ მოგეწონათ, ხომ?

— დიახ, არ მომეწონა... ახლავე აგიხსნით: რაც მთავარია, სიუჟეტურად ვერაა შეკრული, ფრაგმენტულია, არა აქვს გამჭოლი მოქმედება, ტიპობრივი გმირები ტიპობრივ გარემოში ვერ მოქმედებენ. ყველაფერი ამის გარდა, იუმორი მეტად მდარე ხარისხისაა, პერსონაჟები ერთმანეთს ანეკდოტების ენით ელაპარაკებიან... კიდევ...

— ნუთუ კიდევ რაიმე სალანძღავი სიტყვა დაგრჩათ? — ხელები გაშალა აწითლებულმა დრამატურგმა და მთავარმა რეჟისორმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— რატომ ბრაზობთ, მე ხომ სიმართლის გარდა არაფერი მითქვამს?

— ნება მომეცით, თქვენს სიმართლეს არ დავუჯერო!

— ნება თქვენია... მე კი მაინც ჩემსას გეტყვით: იდეურადაც მთლად გამართლებული პიესა ვერაა, სულ ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს დასანახად ჩვენ დღეს ჰარმონიულ საზოგადოებრივ წყობილებას ვაშენებთ.

— ასე მაღალფარდოვნად რატომ მელაპარაკებით?

— იმიტომ, რომ შექსპირის „ოტელოს“ დადგმას ვაპირებ და თქვენი კომედიისთვის არ მცალია!.. სხვა შეკითხვები ხომ არ გექნებათ!

— კი მექნება ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება: ჩემი პიესა დასის შეკრებაზე რომ წაიკითხოთ?

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ დასი მას მოიწონებს? — თვალები გაუფართოვდა ვარლამიშვილს.

— მე მხოლოდ თქვენს არაობიექტურობაში ვარ დარწმუნებული. ამიტომ მინდა სხვების აზრიც მოვისმინო. — სამსონ ალავიძე დარწმუნებული იყო, მთავარი რეჟისორი უარს ეტყოდა, მაგრამ მოტყუვდა.

— ხვალვე დავნიშნავ დასის შეკრებას, რაკი თქვენ ასე დაბეჯითებით მოითხოვთ, — უთხრა ვარლამიშვილმა და აუდენცია ამით დამთავრდა.

ხვალამდე 24 საათი დრო იყო და მონდომებული კაცი ბევრის გაკეთებას მოასწრებდა, ყოველ შემთხვევაში, ნაცნობ მეგობრებს ჩამოივლიდა და ნამუსზე შეაყენებდა, აბა, თქვენ იცით, პიესის კითხვა მაქვს და მხარს როგორ დამიჭერთო. სამსონ ალავიძე არავისთან მისულა, რადგან წინა დღით, სუფრაზე, თეატრის ხალხმა მისი კომედია ერთსულოვნად მოიწონა და როლებიც კი გაინაწილეს იმ პიესაში, რომელიც სახვალიოდ უნდა წაეკითხათ დასის შეკრებაზე. ლოგიკურად სამსონის მოქმედება (უფრო ზუსტად, უმოქმედობა) სავსებით გამართლებული იყო, მაგრამ თეატრალური კანონები ყოველთვის ხომ ლოგიკას არ ემორჩილება! სამსონ ალავიძეს რომ ჭკვიანი კაცის ნათქვამი გაახსენებოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ცხადია, უფრო წინდახედულად მოიქცეოდა.

გამოუცდელი დრამატურგის მიერ უსარგებლოდ დაკარგული დრო მთავარმა რეჟისორმა სარგებლიანად გამოაყენა. იმავე საღამოს სამსონთან წვეულებაზე ნამყოფი ათივე თანამშრომელი სათითაოდ დაიბარა კაბინეტში და ათივეს გული გადაუშალა, სულ მალე „ოტელოს“ დადგმას ვაპირებ და დაუსაქმებელს არცერთს არ დაგტოვებთო, ოღონდო... ასეთი სიტყვების შემდეგ, რა გასაკვირია, სამსონ ალავიძის კომედიას ყველამ უილიამ შექსპირის ტრაგედია რომ არჩია.

ზემოთქმულის თაობაზე სამსონ ალავიძეს, რასაკვირველია, წარმოდგენა არ ჰქონდა. თავის გამარჯვებაში რატომღაც ისე იყო დარწმუნებული, რომ იოსებ ქობულაძეც არ გაუფრთხილებია, პიესის კითხვაზე დაესწარითო, გაუფრთხილებლად კი ბატონი იოსები ამნაირ ღონისძიებებზე იშვიათად დადიოდა, რადგან რეპერტუარში თუ რაიმე საყურადღებო პიესა გამოჩნდებოდა, მთავარი როლი ისედაც გარანტირებული ჰქონდა... ასე იყო თუ ისე, სამსონ ალავიძემ საბედისწერო შეცდომა ჩაიდინა და როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, თითზე კბენანი უკვე გვიანი იყო.

ჩვეულებისამებრ, პიესის კითხვაზე ნახევარი დასი გამოცხადდა. იმ ნახევრიდან უმრავლესობა სამსონის ოჯახში ნაქეიფარი იყო და მასპინძელი, ცხადია, ფიქრობდა მათი მხარდაჭერა აუცილებლად მექნებაო. ალბათ, ამიტომ პიესის კითხვა აულელვებლად, ოდნავ მოოტონურადაც კი დაიწყო, მერე და მერე ეშხში შევიდა და ხმასაც აუწია. შიგადაშიგ თავის ნაცნობებსაც გადახედავდა ხოლმე, როგორ შთაბეჭდილებას ვახდენო, მაგრამ ყველა რატომღაც თვალს არიდებდა, გოჩა შარაბიძე კი, რომელსაც ოტელოს როლი უკვე განაღდებული ჰქონდა, სამსონ ალავიძესაკენ საერთოდ არ იხედებოდა. მომავალ იაგოს, ვალიკო გობეჩიასაც, სასიკეთო არაფერი წამოცდენია, დიახ, სწორედ იმას, სუფრაზე თამადა რომ იყო და დრამატურგის წარმატება ლიტრიანი ყანწით რომ დალია. აღარც თათული სკა-

მკითხველს ახსოვდა თავისი თხოვნა — ეპიზოდების დამატების თაობაზე, რადგან ოფელიას როლის მოლოდინით იყო შეპყრობილი.

მსახიობების ასეთი საქციელით თავზარდაცემულმა ავტორმა ერთი გაფიქრება კიდევაც გაიფიქრა, პიესას ბოლომდე აღარ წავიკითხავო, მაგრამ თავს მაინც ძალა დაატანა და უკანასკნელი გვერდიც ჩააბულბულა, თუმცა ჩაბულბულება კი არა, ის უფრო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტის იწილო-ბიწილო იყო, რადგან სიტყვებს მკაფიოდ ვეღარ წარმოთქვამდა და დასრულებული აზრის გამოხატვაც უჭირდა.

როგორც იქნა, კითხვა დაამთავრა. აღელვებისაგან პირგამშრალმა სა-მსონმა ჯაყვითლებული გრაფინიდან თბილ წყალი დაისხა, სულმოუთქ-მელად დაცალა და განაჩენის მომლოდინე პატიმარივით გაირინდა.

დუმილი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, მთავარი რეჟისორი ფეხ-ზე რომ არ წამომდგარიყო.

— ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ დამწყები დრამატურგის (ვარლამიშ-ვილმა ხაზი „დამწყებს“ გაუსვა) სამსონ ალავიძის სატირული კომედია „მარადმწვანე პლანტაციები“.

— „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“! — იყვირა დამწყებმა დრამა-ტურგმა.

— ბოდიში, „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“.. ვის სურს აზრი გამოთქვას?

სამსონი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ პირველი სიტყვის წა-რმოთქმას ყველა მოერიდებოდა, მაგრამ საშინლად მოტყუვდა: ერთდროუ-ლად სამი მარჯვენა წამოიმართა და ამ სამიდან პირველი ქვა ვალიკო გო-ბეჩიამ ესროლა.

— უპირველესად ის უნდა განვაცხადო, — ხმა დაიბოხა ყოფილმა თა-მადამ, — რომ სამსონ ალავიძე ჩემი მეგობარია და ძისი სადღეგრძელო სუფრაზე ბევრჯერ დამილევია, მაგრამ როგორც პლატონი იტყოდა, ჭეშ-მარიტებას მაინც ვერ ვუღალატებ. ამიტომ ჩვენს ძვირფას მეგობარს ნუ ეწყინება, თუკი დღეს სიმართლეს მოვახსენებ: დიახ, „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“ ისეთი პიესა არაა, დასმა რომ რეკომენდაცია გაუწიოს.

— როგორ, როგორ? — ჰკითხა მეხდაცემულმა დრამატურგმა.

— როგორ და, მის დადგმაზე უარი უნდა ვთქვათ, პატივცემულო სამ-სონ! — მოუჭრა ვალიკომ.

— აკი ორი დღის წინათ მეუბნებოდი, შესანიშნავი პიესააო?

— შე კაიდედმამიშვილო, — აკოკრებულ ულვაშებში ჩაიცინა ვობეჩი-ამ, — სადღეგრძელოში ნათქვამი ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო!

— სწორია, სწორი! — კვერი დაუკრა თათული სკამკოჭაიშვილმა.

— მით უმეტეს, რომ წინ ისეთი სამუშაო გველის, როგორიც „ოტე-ლოს“ რეპეტიციებია, — ახლა გოჩა შარაბიძემაც ჩამოაყალიბა თავისი შე-

ხელსულება. — ამიტომ, როდესაც არჩევანი შექსპირსა და ალავიძეს შორის დადგება, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, ჩვენ ვის დავუჭერთ მხარს... ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს და ჩვენი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, ახალგაზრდა დრამატურგს გული მოვუკლათ, მაგრამ, სამაგიეროდ, „ოტელოს“ დადგმით ჩვენ ორ კურდღელს მოვკლავთ: ჯერ ერთი, დიდი სნით მივიწყებულ კლასიკას ავიყვანთ სცენაზე და მეორეც, გაისად თბილისში გასტროლებზე ახალ მსახიობებს წარმოვაჩენთ... ცხადია, იოსებ ქობულაძეს თითოეული ჩვენგანი დიდ პატივს სცემს, მაგრამ მასაც ხომ გაეხარდება სხვების წარმატება ახლებურად დადგმულ „ოტელოში“?.

გოჩა შარაბიძის მიერ დახატულ ასეთ დიდებულ პერსპექტივაზე უარს რომელი ჭკუათმყოფელი იტყოდა... მის წინადადებას ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

შემაჯამებელი სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარმა რეჟისორმა წარმოთქვა. მსახიობებისაგან განსხვავებით, მის გამოსვლაში ობიექტური ინტონაციებიც გაისმოდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა სუბიექტური აზრი არ გამოსვლოდა.

— რა ვუყოთ, ახლა, ამხანაგებო, — ვარლამიშვილმა ჯერ დარბაზს გადახედა და შემდეგ გაფითრებულ დრამატურგს, — თუ ჩვენს პატივცემულ სამსონს თავისი პიესა დღევანდელი მოთხოვნილების დონეზე არ გამოუვიდა?.. მე ღრმად დარწმუნებული ვარ და თქვენც მინდა დაგარწმუნოთ, რომ ავტორი ჩვენს კეთილ სურვილებს სამომავლოდ გაითვალისწინებს და სულ მალე ახალი სრულყოფილი პიესით გაახარებს მისი უტყუარი ნიჭის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს.

წახვლის გარდა სამსონ ალავიძეს არაფერი დარჩენოდა.

— ნუთუ არ გინდათ რაიმე გვითხრათ? — შეახსენა ვარლამიშვილმა.

— გმადლობთ ყურადღებისათვის! — თავი დაუქნია დრამატურგმა.

მთავარი რეჟისორი ფეხარეულ ავტორს კარებამდე მიჰყვა.

— მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა! — უთხრა მან გამომშვიდობებისას.

ასე და ამგვარად სამსონ ალავიძის მესამე ცდაც მარცხით დამთავრდა, მაგრამ თუ პირველ ორში უიღბლო დრამატურგი, საკუთარი თავის გარდა, არავის ადანაშაულებდა, მესამე, მხოლოდ და მხოლოდ, შეთქმულების შედეგად მიაჩნდა, ამიტომ მთავარ რეჟისორზე უფრო ნაცნობ მსახიობებს აგინებდა, იმისთანა უცხვირპირო ხალხია, მე კი არა, თავის დროზე მათ ნაპალეონიც გადარიესო.

ყველა მსახიობზე, რასაკვირველია, დამარცხებული სამსონის რისხვა არ ვრცელდებოდა, ისინი, ვინც კითხვაზე არ მოვიდნენ, პირიქით უკეთებდნენ გულს, გუგული ჩხობაძის ნაცვლად თეატრში შენისთანა ახალგაზრდა

დრამატურგები უნდა მოვიზიდოთო. განსაკუთრებით იოსებ ქობულაძე იყო გადარეული, რადგან შესანიშნავად ხვდებოდა, რომ შეთქმულება სამსონ ალავიძეს კი არა, პირადად მას მოუწყვეს, სხვანაირად, აბა, რით შეიძლებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ საღ-სალამათი ოტელო თეატრში ჰყავდათ, მისი ნათამაშევი როლი ჯერაც არ დავიწყებოდა მაყურებელს, ლადო ვარლამიშვილი კი საქვეყნოდ ცნობილ მსახიობს ვალიკო გობეჩიას უპირისპირებდა, სწორედ იმ ვალიკოს, წინანდელ სპექტაკლში კეთილშობილი მავრის მსახურის უსიტყვო როლს რომ ასრულებდა. საერთოდ, ასე ხდება: ყველა ახალმოსული რეჟისორი ძველი ავტორიტეტების განადგურებას ცდილობს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, თვითონვე აღმოჩნდება განადგურებული.

ეს ჭეშმარიტება ბატონმა იოსებმა თავის ახალგაზრდა მეგობარს დაწვრილებით აუხსნა და მხარზე ხელი ღონივრულადაც დაჰკრა, აგერ ნახავსულ მალე ლადო ვარლამიშვილი კუდამოძუებული გაიქცევა თეატრიდანო.

— მერე, ვითომ, ამით ჩემს გაფუჭებულ საქმეს რაიმე ეშველება? — მხრები აიჩეჩა სამსონმა.

— როგორ თუ არ ეშველება! — ომახიანად შეუძახა იოსებმა, — ყოველი ახალმოსული ძველის დაწუნებულს უბრუნდება. კაცობრიობის ისტორიამ ამის ბევრი დამადასტურებელი მაგალითი იცის და საერთო წესიდან, სხვათა შორის, არც თეატრია გამორიცხული.

— ზოგადად თქვენ მართალი ბრძანდებით, ბატონო იოსებ, მაგრამ კონკრეტულად მე რა უნდა გავაკეთო, ლადო ვარლამიშვილის მოხსნას ვუცადო?

— ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ჩემო ლამაზო მეგობარო.

— მე თუ მოთმინება მაკლია!

— ცოტა კიდევ გაუძელი, ნუ გეშინია!

— კი მეშინია, რადგან სიბერემდე მინდა ვნახო ჩემი პიესა დადგმული.

იოსებ ქობულაძემ დრამატურგს მწყრალად შეხედა.

— შენ რომ სიბერეზე წუწუნი დაიწყე, ვატყობ, გული ჩემზე უფრო გაგტეხია.

— აბა, რა უნდა მომსვლოდა, როცა შეთქმულება მომიწყვეს.

— შენ კი არა, მე მიწყობენ მაგ შეთქმულებას, ჩემო სამსონ!.. წუწუნი ვერაფერს გვიშველის. დიდმა შოთამ ბრძანა, ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო.

— კი ვიცი, მაგრამ მაინც მოფამფალებული ვარ.

— რატომ მერე?

— იმიტომ, რომ პიესა ასე დასაწუნებელი არ ყოფილა.

— ესე იგი, დადგმა შეიძლებოდა?

— ალბათ, შეიძლებოდა... თუ გცალიათ, თქვენ წაიკითხეთ და დარწმუნდებით.

იოსებ ქობულაძემ დრამატურგს მამაშვილურად დაუყვავა.

— წაუკითხავადაც დაგიჯერებ, ჩემო კეთილო... ამიტომ ერთ რჩევას კიდევ გეტყვი.

— გისმენთ, ბატონო იოსებ.

— დედაქალაქში, კულტურის სამინისტროში, ერთი ძალზე ერუდირებული და გულისხმიერი კაცი მუშაობს, ლასა კიკვაძე, ახალგაზრდების დიდი ქომაგი და პატივისმცემელი... ჰოდა, მაგ კაცთან მიდი ჩემი სახელით და პიესა წაუკითხე... სასიკეთო თუ რაიმე შეგატყო, დარწმუნებული ვარ, გზაზე დაგაყენებს და გიპატრონებს... რატომ აკნევ ახლა თავს ჯიუტი ვაცივით, ჩემი არ გჯერა?

— თქვენი კი, მაგრამ თბილისელებისა არ მჯერა. ჭკუის სწავლებას დამიწყებენ, დედაქალაქში რა მოგარბენინებდა, პროვინციელმა თავისი საქმე პროვინციაში უნდა მოაგვაროსო.

— არაა სწორი, ჩემო სამსონ, რასაც შენ ამბობ!.. შეიძლება ვინმეზე გაბრაზებული იყო, მაგრამ ყველა ერთი თარგით არ უნდა გამოჭრა.

სამსონ ალავიძემ დამრიგებელს ნიშნისმოგებით შეხედა.

— ის თუა სწორი, პრესაში რომ დაწერეს, თბილისში მხოლოდ თბილისელები უნდა იყვნენო?.. როგორ ახლა, მე თუ თბილისელი არა ვარ, საქართველოს დედაქალაქში ცხოვრება ვინმემ უნდა ამიკრძალოს?

რამდენადაც უფრო ცხარდებოდა დრამატურგი, მსახიობი მით უფრო მხიარულდებოდა. ეს ამბავი სამსონს, ცოტა არ იყოს, ეწყინა.

— რა ვთქვი ახლა ასეთი სასაცილო, ბატონო იოსებ?

— პირიქით, ჩემო სამსონ, ფრიად სერიოზულ საკითხზე წამოიწყე საუბარი. ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, კაცს სადაც გაეხარდება, იქ უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ყველა ერთად რომ ადგეს ახლა და დედაქალაქში დასახლდეს, კარგი იქნება ეს ვითომ?

— არ იქნება კარგი, რადგან თბილისი თავკომბალას დაემსგავსება. მე, პირადად, არსად წამსვლელი არა ვარ.

— აგაშენა ღმერთმა! მთავარია, როგორ იცხოვრებ და არა სად იცხოვრებ.

— პიესის დადგმა კი მაინც თბილისში სჯობია, ბატონო იოსებ. — სამსონ ალავიძემ საუბარი ისევ ძველ კალაპოტში მიაბრუნა.

—დასადგმელად თუ ვარგა, იცოცხლე, სჯობია!.. ამიტომ, ჩემო კეთილო, საჩქაროდ უნდა გაემგზავრო დედაქალაქში და როგორც უკვე გითხარი, კიკვაძეს წაუკითხე შენი პიესა. გული მეუბნება, უსათუოდ მოეწონება.

იოსებ ქობულაძე კეთილი კაცი იყო და ადამიანშიც ყოველთვის სიკეთეს ეძებდა, გაჭირვებულს არათუ რჩევა-დარიგებას აკლებდა, არამედ ხში-

რად გვერდშიც ამოუდგებოდა. ნათქვამის დასადასტურებლად სამსონ ალავიძის მაგალითიც კმარა. მაინც რატომ უნდა გამოედვა ასე თავი ნომერ პირველ მსახიობს უმწიფარი დრამატურგის პიესისათვის?.. მისი მოქმედება მხოლოდ კეთილშობილებით იყო ნაკარნახევი. სამსონიც შესანიშნავად გრძნობდა ამას და ბატონი იოსების მიმართ უდიდესი პატივისცემით იმსჭვალებოდა. ყურადღებისათვის მსახიობს გულწრფელი მადლობა გადაუხადა და თან შეჰპირდა, თუკი თბილისში ჩასვლა მოვახერხე, თქვენი სახელით აუცილებლად მივალ ლასა კიკვაძესთანო.

— რას ჰქვია, ჩასვლა თუ მოვახერხეო?! — წარბები შეჰყარა იოსებმა, — ფული თუ არ გაქვს, მე გასესხებ...

— ფული როგორ არ მაქვს! — წამოწითლდა დრამატურგი. მისი ფერისცვალება იმით იყო გამოწვეული, რომ სიცრუე თქვა: ჯიბეში მხოლოდ ერთი ფინჯანი ყავის დასალევი ხურდა უჩხრიალებდა, მაგრამ ეს გადაულახავი დაბრკოლება არ იყო. ფული იმავე საღამოს ისესხა და მეორე დღეს თბილისში გამგზავრებაც მოასწრო.

მატარებელი დედაქალაქში გრაფიკის მიხედვით ჩავიდა. ამ არაჩვეულებრივი მოვლენის წყალობით ლასა კიკვაძეს სამსახურში გამოცხადება დრამატურგების ქალაქიდან ჩამოსულმა სტუმარმა დაასწრო. ლოდინი დიდი ხნით არ დასჭირვებია და კაბინეტისაკენ მიმავალ მასპინძელს წინ ძველი ნაცნობივით გადაუდგა.

— გამარჯობა, ბატონო ლასა!

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო. — სალამი დაუბრუნა შემცბარმა ლასამ. — მაპატიეთ, მაგრამ ვერ გიცანით.

— მე სამსონ ალავიძე ვარ... დრამატურგების ქალაქიდან ამ დილით ჩამოვედი.

— ძალიან სასიმოვნოა.

— სიამოვნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენთან მოსვლა ბატონმა იოსებ ქობულაძემ გამაბედვინა.

— იოსებ ქობულაძე, ჩვენი დიდებული ოიდიპოსი და ოტელო!.. ხომ კარგადაა?

— კარგად როგორ იქნება, როდესაც მარტო ოიდიპოსად დარჩა, ოტელოს როლი გოჩა შარაბიძემ წაართვა... ასე გადაწყვიტა მთავარმა რეჟისორმა ლადო ვარლამიშვილმა.

— ვატყობ, ინტრიგები დაწყებულა თეატრში და თქვენც შიგ ჩათრეული ყოფილხართ.

— მე მხოლოდ შეთქმულების მსხვერპლი ვარ, ბატონო ლასა, სხვანაირად იოსებ ქობულაძე თქვენთან არ გამომგზავნიდა, ახალგაზრდობის ქომაგიაო, გაჭირვებულის დახმარება არ დაეზარებაო...

ლასა კიკვაძემ უჯრაში ქალალდების ქექვას თავი დაანება და სტუმარს დაკვირვებით შეხედა.

— ძალიანაც კარგი, თუ ბატონმა იოსებმა გამოგგზავნათ... გისმენთ.

— ვიცი, ძვირფას დროს წაგართმევთ, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს, პიესა უნდა წაგიკითხოთ.

— პიესაო? — სკამიდან წამოიწია მასპინძელი.

— დიახ, ორმოქმედებიანი სატირული კომედია, რომლის მთავარი გმირი ნანო ნანეიშვილია — შუა ხანს მიტანებული თმაგაუცვენელი კაცი.

ლასა კიკვაძემ ხელი სემაფორივით ასწია.

— მოიცა, მოიცა, რა საფანტივით მომაყარე... აქ მოსვლამდე თქვენს თეატრში რატომ არ მიიტანეთ ეს პიესა?

— მიტანით კი მივიტანე, მაგრამ უკან გამომატანეს.

— და ფიქრობთ უსამართლოდ მოგექცნენ, არა?

— კი არ ვფიქრობ, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ შეთქმულება მომიწყვეს, ამიტომ თქვენი აზრი მაინტერესებს... ბატონმა იოსებმა მითხრა, ბევრი ახალგაზრდა დრამატურგი დაგიყენებიათ სწორ გზაზე.

— გააჩნია, სწორ გზაში რას ვიგულისხმებთ, — მოწყალედ გაუღიმა ლასა კიკვაძემ, — დამიტოვეთ პიესა და ასე ერთ კვირაში გამოიარეთ.

სამსონის უკან დახევა აღარ შეიძლებოდა, შეტევაზე უნდა გადასულიყო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ დედაქალაქში მე ერთი კვირის მოცდა შემიძლია?.. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენ ხანს სასტუმროში ვინ გამაჩერებს, მე ხომ ფიჯის კუნძულებიდან ჩამოსული კომერსანტი არა ვარ?

— მაშ, რა ვქნათ, მითხარით? — გულწრფელად შეწუხდა მასპინძელი, რადგან მიხვდა, რომ ტკბილი სიტყვით პროვინციელ სტუმარს ვერ მოიშორებდა.

— თუ ახლავე არ წაიკითხავთ ჩემს პიესას, გამოსავალს მე მართლაც ვერ ვხედავ! — მოუჭრა დრამატურგმა.

— ახლავე როგორ შეიძლება!.. დილიდანვე იმდენი საქმე მაქვს.

—უმორჩილესად გთხოვთ... სხვათა შორის, ჩქარი კითხვა ვიცი, ერთ საათში მოვრჩებით ყველაფერს.

„ძალიან ენერგიული ახალგაზრდა ჩანსო“, გუნებაში გაიფიქრა ლასა კიკვაძემ, ხმამაღლა კი ჰკითხა, თქვენს პიესას რა ჰქვიაო.

— „მონაწილე ვრ თქვენი მწუხარებისა“ — სხაპასხუპით მიუგო სამსონმა.

— სათაური, მგონი, არ უნდა იყოს ურიგო.

— კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, კარგი სათაური ნახევარი ნაწარმოებიაო.

— ბიჭოს, შენ რამდენი გცოდნია! — კეთილი განწყობის ნიშნად მხოლობით რიცხვზე გადავიდა მასპინძელი, მაგიდიდან წამოდგა, კარები ჩაკეტა და ისევ სტუმარს მიუბრუნდა:

— მიდი, აბა, დაიწყე!

სამსონმაც დაიწყო. პირველი სურათის შემდეგ, როდესაც ლასა კიკვაძეს შეხედვა გაუბედა, ერთი ვნახოთ, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო, და მისი გაღიმებული სახე რომ დაინახა, სიხარულის ფრთები შეესხა.

პიესის წაკითხვას საათი და ათი წუთი დასჭირდა, მაგრამ მასპინძელს გრაფიკის დარღვევისათვის საყვედური არ გამოუთქვამს, პირიქით, სახეზე ისევ კმაყოფილება ეხატა.

— კეთილი და პატიოსანი!.. თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, — ეს თქვენი პირველი პიესაა, ხომ? (ისევ ოფიციალურ ტონს დაუბრუნდა).

— არა, მესამეა... პირველი ორი სალაპარაკოდაც არ ღირს... ამ კომედიაში კი შევეცადე მხოლოდ სიმართლე მეთქვა.

— და არაფერი სიმართლის გარდა?

— არაფერი!.. შეიძლება უარყოფითი მოვლენების შეფასებაში ცოტა გადავაჭარბე, მაგრამ სხვანაირად მე არ შემეძლო.

— რატომ გგონიათ, რომ გადააჭარბეთ? — გაუკვირდა ლასა კიკვაძეს, — პირიქით, უფრო მწარედ უნდა დაგეწერათ... სიმართლე ერთია და მას შელამაზება არ სჭირდება.

სამსონ ალავიძემ ნაწყენი კაცის სახე მიიღო.

— უფრო მკაცრად რომ დამეწერა, დადგამს ვინმე?

— თქვენ რა, მხოლოდ დასადგმელად წერთ პიესას?

— მაპატიეთ, მაგრამ მხოლოდ დასადგმელად ვწერ.

— და ამიტომაც გიხდებათ სინამდვილის შელამაზება? — არ მოეშვა ლასა კიკვაძე, — როგორ ფიქრობთ ახლა, კლასიკოსებსაც შელამაზებული ცხოვრება რომ დაეხატათ, ვთქვათ, შემოდგომის აზნაურები ბედნიერ ხალხად რომ გამოეყვანათ, დაუჯერებდა მკითხველი?

ამ ისტორიულმა პარალელმა სამსონ ალავიძეს თავისი დრამატურგიული დებიუტი გაახსენა და მასპინძელს გულახდილად მოუყვა, ერთმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ გოგია უიშვილის სახის შელამაზება მოთხოვა, მაგრამ მე არ დავეთანხმეო... ძალიანაც კარგად მოქცეულხართო, მოუწონა ბატონმა ლასამ. გოგია უიშვილიდან სტუმარი რატომღაც ფეხბურთზე გადაეიდა, მსაჯები რომ არ გვჩაგრავდნენ, თბილისის „დინამო“ უსათუოდ ჩემპიონი გახდებოდაო. აბა, აბაო, კვერი დაუკრა მასპინძელმა. შემდეგ ორიოდე წუთი ამინდს დაუთმეს, რადგან იმხანად დასავლეთ და

ალმოსავლეთ საქართველოს შორის აშკარა მეტეოროლოგიური კონტრასტები შეინიშნებოდა.

ამასობაში კედლის ძველებურმა საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და უკანასკნელი ჩამოკრის შემდეგ სამსონ ალავიძე ფეხზე წამოდგა.

— ბატონო ლასა, უღრმეს მადლობას გიხდით ყურადღებისათვის. მაპატიეთ, რომ ამდენი დრო ტყუილუბრალოდ დაგაკარგვინეთ.

— როგორ თუ ტყუილუბრალოდ? — გაიკვირვა მასპინძელმა.

— რა ვიცი... შეგატყვეთ, რომ ჩემი პიესა არ მოგეწონათ.

— თუ არ მომეწონა, პატივცემულო სამსონ, დაბრძანდით ახლა და კარგად მომისმინეთ, რასაც მე ერთ რეჟისორს ტელეფონით ვეტყვი, — ლასა კიკვაძემ ნომერი აკრიფა, — სალამი ბატონო ალექსი. დიახ, ლასა ვარ... ახალ ამბავსაც შეგატყობინებთ... რასაკვირველია, კარგს, ცუდი ისედაც ბევრი ნახეთ. აგერ, ჩემს კაბინეტში, ერთი პროვინციელი დამწყები დრამატურგი ზის და მინდა თქვენთან რეკომენდაცია გავუწიო... არა, „ილიკო და იალარიონი“ არ დაუწერია, მაგრამ მაინც დაგაინტერესებთ მისი მოსმენა... რასაკვირველია, მე პირადად გავეცანი, სხვანაირად როგორ გეტყოდით... კი, ბატონო, ახლავე წამოვა... კარგად ბრძანდებოდეთ.

სამსონ ალავიძე, ცხადია, გაფაციცებით ისმენდა ყველაფერს, მაგრამ საკუთარ ყურს მაინც არ დაუჯერა.

— რა იყო, ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა ლასამ.

— ცუდად როგორ არ ვიქნები, როდესაც კარგი ამბავი გავიგონე, — დამწყებ დრამატურგს თვითონაც გაუკვირდა თავისი მოსწრებული პასუხი და გადაწყვიტა ეს კალამბური პიესაში აუცილებლად შეეტანა.

— კარგია, იუმორი რომ გიყვართ. — მოუწონა ლასა კიკვაძემაც, — ახლა ერთი მინდა გკითხოთ, თუ მიხვდით, ვის ველაპარაკებოდი ტელეფონით?

— კი მივხვდი და სწორედ მაგან შემაშინა... ბატონ ალექსისთანა რეჟისორი დღეს არათუ თბილისში, იმას იქითაც არ მოიძებნება.

— ასეთი მაღალფარდოვნება არ გინდათ, სამსონ... ახლავე აიღეთ ეს პიესა, ბატონ ალექსისთან მიდით და წაუკითხეთ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მომისმენს?

— ბატონი ალექსი ძალიან გულისხმიერი კაცია. აი, პირადად რომ ნახავთ, დარწმუნდებით... ჰო, მართლა, ხომ იცით, სადაა მისი თეატრი?

— როგორ არ ვიცი, მტკვრის გალმა, ხიდთან.

— ორი ნომერი ტროლეიბუსით შეიძლება მისვლა... მეტროც ახლოსაა.

— ბატონო ლასა, თქვენ მართლა წყალწაღებული პროვინციელი ხომ არ გგონივართ?.. სხვა რომ არაფერი იყოს, ხუთი წელი თბილისის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, სხვათა შორის, ტრამვაიც მაშინ ვნახე ჰირველად.

— უნივერსიტეტში, ალბათ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრეთ?

— მაშინ განყოფილება იყო, მაგრამ თქვენ მაინც როგორ მიხვდით?

— მაგას რა მიხვედრა უნდა, — მასპინძელმა სტუმარი კარებამდე მიაცილა და გამოემშვიდობა, — იცოდეთ, დღესვე ყველაფერი შემატყობინეთ... აბა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

— ღმერთი კი არა, ჩემი მფარველი თქვენ ყოფილხართ, ბატონო ლაშა! — ეს სიტყვები სიხარულით ამჩატებულ სამსონს ვალის მოსახდელად არ უთქვამს, ყველაფერი გულის ნაკარნახევი იყო, ანდა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, როდესაც აქამდე უცნობი კაცის კაბინეტში ამხელა სითბო და ყურადღება იგრძნო... ქვეყანა მართლაც არ ყოფილა ჩალით დახურული და არც ძმაკაცებთან ჩაწყობით კეთდება ყველაფერიო, სამართლიანად დაასკვნა ბედნიერმა დრამატურგმა და ამასთან ერთად ქრესტომატიული სტრიქონებიც გაიხსენა ნიჭისა და გვარიშვილობის შეუთავსებლობის თაობაზე.

თეატრში მისვლა, როგორც ზემოთ ითქვა, ორი სახეობის ტრანსპორტით შეიძლებოდა, მაგრამ სამსონმა მაინც ფეხით სიარული არჩია, რადგან მის გუნება-განწყობილებას ახლა თბილისის აჟრიამულებულ ქუჩებში გავლა უფრო შეეფერებოდა, თან კიდევ მტკვრის მოალერსე ნიავითაც გაიგრილებდა გახურებულ შუბლს და ჩიტივით ლაღად შეფრინდებოდა ბატონ ალექსის თეატრში.

ის დღე მართლაც უბედნიერესი გამოდგა სამსონ ალავიძის არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების მატიანეში. ყველაფერი ისე იოლად კეთდებოდა, რომ გაოცებულ დრამატურგს თავი სიზმარში ეგონა. თავად განსაჯეთ: ჯერ ლასა კიკვაძის გაცნობა რამხელა ბედნიერება იყო, მაგრამ ყველაფერი ბატონ ალექსისთან შეხვედრამ დაჩრდილა. კაბინეტში შესულს დიდი რეჟისორი ახლობელივით შეეგება, თან იქვე მჯდომი ლამაზი ქალი გააცნო, სახელად დეა რომ ერქვა და რომელიც სამსონს მსახიობი ეგონა, მაგრამ რეჟისორი კი აღმოჩნდა.

ბატონმა ალექსიმ და ქალბატონმა დეამ პიესას გულისყურით მოუსმინეს-მეთქი, რომ გითხრათ, სათქმელს ზუსტად ვერ გადმოვცემდი, რადგან ზოგიერთ ეპიზოდს ბატონი ალექსი ხელმეორედ აკითხებდა და თავის ბლოკნოტში კმაყოფილებით იწერდა რაღაცას. „ამას ლადო ვარლამიშვილი რომ ხედავდეს, ბოლმით გული გაუსკდებაო“, გაიფიქრა სამსონმა.

გაოფლილმა დრამატურგმა კითხვა დაამთავრა თუ არა, ბატონ ალექსის არც ფეხბურთზე ჩამოუგდო ლაპარაკი და არც ამინდზე, საჩქაროდ წამოდგა და სამსონს ხელი ჩამოართვა.

— მომილოცავს, ახალგაზრდავ, მომილოცავს!

— გმადლობთ, ბატონო ალექსი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, ჩემო კეთილო!.. თქვენი პიესა მომეწონა და დღესვე ჩავუშვებ დასადგმელად... ასე რატომ გაგიკვირდათ?.. ახალგაზრდა კაცს თუკი ნიჭიერებას შევატყობ, ყველანაირად შევუწყობ ხელს... ასე არ არის, ქალბატონო დეა?

— დიახ. — დაუდასტურა ლამაზმა ქალბატონმა და თავის მხრივ დაუმატა, — სწორედ ასეთი სატირული კომედიები გვესაჭიროება დღეს ჩვენ, რომ მაყურებელს უმიზნო დროსტარებისა და ცრუპატრიოტიზმის სავალალო შედეგი დავანახვოთ. თქვენ თუ ყურადღება მიაქციეთ, ბატონო ალექსი, პიესაში არც ერთი დადებითი გმირი არ არის, მაგრამ დადებითი იქნება ჩვენი პოზიცია უარყოფითი მოვლენებისადმი.

— და კიდევ, დადებითი იქნება სიცილი! — მოკლედ და მკაფიოდ მოჭრა დიდმა რეჟისორმა, — ქალბატონო დეა, თქვენ თანახმა ხართ ამ პიესის დადგმაზე?

— დიახ, ბატონო ალექსი, ოღონდ მხატვრულად სამეულმა უნდა გააფორმოს.

— რასაკვირველია, სამეულმა!.. როლების განაწილებაზე, ალბათ, შემდეგ ვილაპარაკებთ... ჰო, მართლა, ავტორი რას იტყვის, თანახმაა თუ არა, ჩვენს თეატრში მისი კომედია დაიდგას?.. თქვენ გეკითხებით, ბატონო სამსონ.

ამ თეატრში პიესის დადგმაზე ბატონ სამსონს კი არა, პოლიკარპე კაკაბაძესაც არ უთქვამს უარი. ახალბედა დრამატურგი ალბათ, დიდმა ბედნიერებამ დაამუნჯა შეკითხვის მომენტში.

ბატონი ალექსი მაინც არ მოეშვა.

— ესე იგი, თანახმა ხართ, არა?

დიდი ძალისხმევის ფასად დრამატურგმა, ბოლოსდაბოლოს, ხმის ამოღება შეძლო.

— არა თუ თანახმაა, მე დიდი ბედნიერიც ვარ, ბატონო ალექსი... თითქოს დაუჯერებელიც კია ყველაფერი ეს.

— მაინც რატომაა დაუჯერებელი?

— იმიტომ, რომ პირველი წაკითხვისთანავე ამ დიდებულ თეატრში დამწყებ დრამატურგს პიესას იშვიათად უდგამენ.

— სხვათა შორის, მარჯანიშვილმაც პირველი წაკითხვისთანავე დადგა „ყვარყვარე თუთაბერი“, მაგრამ ჩვენ ახლა ისტორიის მოშველიება არ გვინდა, საქმეს მივხედოთ.

ქალბატონმა დეამ სამსონს თავისი სურვილები ქაღალდზე ჩამოუწერა და რამდენიმე ეპიზოდის დამატებაც სთხოვა, როგორც კი დაამთავრებ, საჩქაროდ გამომიგზავნეო. დრამატურგმა მორჩილად თავი დაუხარა, რაც მითხარით, ყველაფერს შეგისრულებო. ამით აუდენცია დამთავრდა. სამსონ ალავიძემ ურმესი მადლობა გადაიხადა შესანიშნავი მიღებისათვის.

თეატრიდან წამოსული სამსონი ისევ ფეხით აუყვა ელბაქიძის აღმართს და შემდეგ სალხით გაჭედილ რუსთაველის პროსპექტზე გაიხურნა. თეატრალურ სალაროებთან კარგა ხნით შეჩერდა. ნაირფერი აფიშები დედაქალაქის თეატრების რეპერტუარს აცნობდა გამვლელ-გამომვლელებს. რა გინდა, სულო და გულო, რანაირ სპექტაკლებს არ ნახავდით — „ანტიგონე“ „მოკვეთილი“, „კაცია ადამიანი“... სულ მალე, ალბათ, ამ აფიშებზე ახალი წარწერა გამოჩნდებოდა: „სამსონ ალავიძე „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“. ორმოქმედებიანი სატირული კომედია“.

სამსონის თაყში ოცნებები ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფიქრებში გართულ დრამატურგს ლასა კიკვაძესთან ასვლა არ დავიწყებია. გახარებულმა ლასამ გულწრფელად მიულოცა და თანაც დაარიგა, ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რასაც საქმე მოითხოვსო. ლასას სიტყვებში, ცხადია, რეჟისორის სურვილების გათვალისწინება იყო ნაგულისხმევი, მაგრამ სამსონ ალავიძემ სულ სხვანაირად გაიგო — ასეთი ბედნიერი დღის აღნიშვნა უსათუოდ საჭიროაო, და გუნებაში დაიანგარიშა ორმოცდაათი მანეთი თუ გვეყოფა რესტორანში შესასვლელადო (ზუსტად ამდენი ფული ედო კოსტუმის მარცხენა ჯიბეში, მაგრამ თუმანი უკან დასაბრუნებელ ბილეთს დასჭირდებოდა).

ლასა კიკვიძემ დრამატურგს აფორიაქება ვითომ ვერ შენიშნა და სტუმარს „ოვერიისაკენ“ წაუძღვა. არაფერი გადასარევი სუფრა არ ყოფილა, თითო ბოთლი შამპანური დალიეს და მწვადებს ხილი დააყოლეს, სამსონს ფული უეჭველად ეყოფოდა, მაგრამ როდესაც ხელი ჯიბისკენ წაიღო, ოფიციანტმა თავაზიანად მოახსენა, ყველაფერი გადახდილიაო. ლასა კიკვიძემ, რა თქმა უნდა, იუარა, მე არაფერ შუაში ვარ, ალბათ, ვინმე ნაცნობმა გვცა პატივიო, მაგრამ ამ სიტყვებს სამსონი როგორ დაიჯერებდა, თუმცა მადლობის გარდა, არაფრის თქმა არ შეეძლო.

მატარებელში გატარებულ ღამეზე და ბედნიერი კაცის სიზმრებზე თავს არ შეგაწყენთ, მე მხოლოდ დრამატურგების ქალაქში ჩასვლის ეპიზოდს მივუყვებით. სადგურში სამსონ ალავიძეს მეგობრებისა და კეთილისმსურველების დიდი ჯგუფი დახვდა. მსახიობ იოსებ ქობულაძის გარდა იქ იყვნენ მომღერალ-მოცეკვავეები გენო ჩხაიძე, გურამ ქირია, ზურაბ ბალდაძე, ნუგზარ შალიკაძე, ინჟინერ-ტექნიკოსები ჯუმბერ დოკვაძე. ვასო ბურდულაძე, იური ქამადაძე, ვაჭრობის მუშაკები რეზო გეგენავა, რაჟა მაღლაკელი, ჟორა ბარამია და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამდენ მამაკაცებში ერთი ნაცნობი ქალიც რომ ყოფილიყო (ვიქტორია თოხაძე მყავს, კონკრეტულად, მხედველობაში), ცხადია, შეხვედრას მეტი ლაზათი მიეცემოდა, მაგრამ ბაქანზე მაინც საზეიმო განწყობილება სუფევდა.

სამსონ ალავიძე დამწყები დრამატურგი კი არა, უმაღლესი ლიგის ფეხბურთელიც რომ ყოფილიყო ასეთ შეხვედრას როგორ წარმოიდგენდა. საერთოდ დრამატურგების ქალაქში ხალხს არაფერი დარჩებოდა გაუგებელი, თუნდაც ისეთი პატარა წარმატება, როგორიც თბილისის თეატრში პროვინციელი ავტორის პიესის მიღებაა.

ორკესტრი, რასაკვირველია, არ უკრავდა, მაგრამ მისალმების შეძახილები მრავლად გაისმოდა;

— ჩვენს ნიჭიერ დრამატურგს სალამი!

— გაუმარჯოს სამსონ ალავიძეს!

— ეს ერთი და სხვა მრავალი!

— აბა, რა ეგონა გუგული ჩხობაძეს!

ფანჯარაში გადმომდგარი უზომოდ ბედნიერი სამსონ ალავიძე სიხარულის ცრემლებს იწმენდდა. ასეთი წუთებისათვის ნამდვილად ღირდა ეკლიან გზაზე სიარული და სასოწარკვეთილების მწარე ფიალის გამოცლა, „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსაო“, ალბათ, ამისთანა მომენტზე ბრძანებდა სულმნათი პოეტი.

ჟველაფერი ეს და ცოტა ამაზე მეტიც საღამოს სუფრაზე ითქვა, რომელიც სპეციალურად ნიჭიერი სამსონის პატივსაცემად გაშალეს მისმა უახლოესმა მეგობრებმა. დედაქალაქის ორბიტაზე გასვლა მათ გულწრფელად მიულოცეს თანაქალაქელ დრამატურგს და თანაც ისიც დასძინეს, პრემიერაზე ყველა თბილისში ვიქნებით და ტაშს ერთსულოვნად დაგიკრავთო.

მილოცვები სამსონ ალავიძეს არც მომდევნო დღეებში დაჰკლებია. ელეგანტურმა ვიქტორია თოხაძემ ამერიკელი ტურისტებით დატვირთული ავტობუსი ასევე ელეგანტურ მძღოლს, დიმიკო სეფერთელაძეს, შუა ქუჩაში შეაჩერებინა და მომხიბვლელ ღიმილთან ერთად ავტორს საუკეთესო სურვილებიც დაუტოვა. ამერიკელმა ტურისტებმა საქმის ვითარება რომ გაიგეს, გაოცებისაგან თავი გააქნიეს, ჩვენს ქვეყანაში მოძრაობას დრამატურგის კი არა, პრეზიდენტის ხათრითაც ვერ შეაჩერებენო. ამ შენიშვნაზე ლამაზმა გიდმა მოსწრებულად მიუგო, ყველა ქვეყანას თავისი კანონები აქვს, სულ მალე იმ დრამატურგმა იქნებ ამერიკის შეერთებული შტატებიც დაიპყროს და მის დანახვაზე თქვენმა პრეზიდენტმაც იკადროს მანქანიდან გადმოსვლაო.

ერთი სიტყვით, სამსონ ალავიძის პოპულარულობა დრამატურგების ქალაქში დღითიდღე იზრდებოდა. დედაქალაქში პროვინციელი ავტორის წარმატებას, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა თაისებურად აღიქვამდა, ზოგს უხაროდა, ზოგს სწყინდა და ზოგს რცხვენოდა, რადგან ადრე იმ პიესაზე ცუდი სიტყვები ჰქონდა ნათქვამი. მიმიხვდით, ალბათ, ამ უკანასკნე-

ლში ადგილობრივი თეატრის მსახიობებს და მათ მთავარ რეჟისორს ჯგუ-
ლისხმობთ. მათ ჯინაზე სამსონ ალავიძე დღეში სამჯერ მაინც აივლ-ჩაივ-
ლიდა თეატრალურ მოედანზე და მის დანახვაზე ავისმთქმელები მოპირდა-
პირე მხარეს გადადიოდნენ, მხოლოდ ლადო ვარლამიშვილმა არ იკადრა
გაქცევა და მისგან დაწუნებულ დრამატურგს ხელი ჩამოართვა.

— პირადად მართლა ბატონმა ალექსიმ წაიკითხა თქვენი პიესა? — ჰკითხა მან.

— წაკითხვით მე წავუკითხე პიესა ბატონ ალექსის და ქალბატონ დეას. — აუხსნა სამსონმა. — სხვათა შორის, ორივემ ერთსულოვნად მოიწონა.

— საოცარია ფრიად!

— მაინც რატომ?

— ორივე კლასიკური დრამის ტრფიალია და უცნობი ავტორის კომე-
დიას ხელი როგორ მოჰკიდეს?

— რა ვიცი, თქვენ თვითონ ჰკითხეთ.

— ბატონ ალექსისთან ჩემზე ხომ არაფერი გილაპარაკნიათ?

— როგორ არა, ვუთხარი, პიესას თქვენთან არ მატანდა, ჯერ მას უნდა დაედგა-მეთქი.

ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ ლადო ვარლამიშვილი ცივად მობ-
რუნდა და სარეპეტიციო დარბაზში შევიდა, სადაც „ოტელოს“ რეპეტი-
ციებს ატარებდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რამდენიმე დღის განმავლობაში დრამა-
ტურგების ქალაქი, სამსონ ალავიძის პიესის გარდა, არაფერზე არ ლაპარა-
კობდა: არც ფეხბურთზე, არც ბაზრის გაძვირებაზე და არც შავკანიან მო-
სახლეობის უუფლებო მდგომარეობაზე სამხრეთ აფრიკაში. სხვებთან შე-
დარებით მშვიდად მხოლოდ ნომერ პირველი დრამატურგი გუგული ჩხო-
ბაძე გამოიყურებოდა, რადგან უკვდავება უკვე განაღდებული ჰქონდა და არა-
თუ თბილისში, საერთაშორისო ორბიტაზეც ენერგიულად ბრუნავდა. თავისი
მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება უმცროს კოლეგას მან გულაჩდი-
ლად გაუზიარა და თითქოს სხვათა შორის ჰკითხა:

— შენი აზრით, მაინც როდის შეიძლება დრამატურგმა თავი გამარჯვე-
ბულად ჩათვალოს?

— მაშინ, როდესაც თეატრი მის პიესას დასადგმელად მიიღებს. — სხაპასხუპით მიუგო სამსონმა.

— ოლოლო შენ, ვერ გამოიცანი!.. ამის თაობაზე აი, რას გვასწავ-
ლის ერთი გამოჩენილი ქართველი რეჟისორი: როდესაც თეატრი პიესას მიიღებს, არ დაიჯერო, რომ ის დაიდგმება... მუშაობას რომ დაიწყებენ და გენერალურ რეპეტიციას დანიშნავენ, არც მაშინ უნდა იფიქრო არაფერი. პრემიერის აფიშას რომ გამოაკრავენ, ნურც ამ აფიშას ენდობი... დანიშნულ დღეს დარბაზი სალხით რომ გაიჭედება, მაშინაც ფრთხილად უნდა იყო,

პრემიერის ზარს რომ მისცემენ და ფარდაც გაიხსნება, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, მაგრამ როცა ის ფარდა სპექტაკლის შემდეგ დაიხურება, აი, მაშინ უნდა ჩათვალო თავი გამარჯვებულად, რადგან შენი პიესა ნამდვილად დაიდგა...

პირველი დრამატურგის პირით გადმოცემული გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სიტყვები სამსონ ალავიძეს წინასწარმეტყველურად ენიშნა, მაგრამ ვითომ არ შეიმჩნია და სიცილი დაიწყო, რა შესანიშნავი ხუმრობააო.

ხუმრობა ხუმრობაა, მაგრამ იგი სიმართლეს მოკლებული რომ იყო, ამიტომ სამსონ ალავიძე გულისფანცქალით ადევნებდა თვალს მოვლენების შემდგომ განვითარებას. კვირაში ორჯერ მაინც ქალბატონ დეას ურეკავდა, რეპეტიციები როგორ მიმდინარეობსო, და თბილისიდან ყოველთვის კარგ პასუხს ეუბნებოდნენ, ნორმალური სპექტაკლი უნდა გამოვიდესო, მაგიდასთან რეპეტიციები რომ დამთავრდა და სცენაზე რომ გადავიდნენ, სამსონი დედაქალაქში ჩავიდა და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, რასაკვირველია, ნამუშევარი მოეწონა და სიამაყით გაიფიქრა, ეს რა კარგი პიესა დამიწერიაო, რეპეტიციას ბატონი ალექსიც დაესწრო და მთელი დასის გასაგონად განაცხადა:

— აი, თქვენ ნახავთ, უცნობი ავტორის პიესა ჩვენ როგორ სახელს მოგვიხვეჭს!

თვის ბოლოს გენერალური რეპეტიცია დანიშნეს და ავტორს ისღა დარჩენოდა, ბანკეტისათვის მზადება დაეწყო. არჩევანი მტკვრის სანაპიროზე მდებარე რესტორანზე შეაჩერა და საბანკეტო დარბაზიც წინასწარ დაჯავშნა. სპექტაკლის ყველა მონაწილის დაპატიჟება გადაწყვიტა. ცოტა ძვირი დაუჯდებოდა, მაგრამ უკან არ დაიხევდა, თუნდაც პირველი პიესის მთელი ჰონორარი დაეხარჯა.

თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ სამსონი რატომღაც შინაგანად მაინც შეშფოთებული იყო და გული სასიკეთოს არაფერს ეუბნებოდა. მართლაც, დრამატურგების ქალაქში დაბრუნებიდან ერთი კვირის შემდეგ, ქალბატონმა დეამ დაურეკა და ყველაფერი ამ დარეკვით დაიწყო (უფრო სწორად, დამთავრდა).

— ხომ მშვიდობაა? — ხმის კანკალით ჰკითხა სამსონმა.

— არც მშვიდობაა და არც სპექტაკლის გასინჯვა იქნება, — სათქმელი პირში მიახალა ქალბატონმა დეამ (მას მტკიცე ხასიათი ჰქონდა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ უყვარდა).

დრამატურგს ყურმილი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— რა მოხდა?

— ტელეფონში არ ღირს ამაზე ლაპარაკი. თბილისში რომ ჩამოხვალთ, მაშინ ვეტყვით ყველაფერს.

— მანამდე თუ ცოცხალი დავრჩი კი. — ვითომ იხუმრა სამსონმა.

— ყველაფერი მანჯავიძის რომანთან დაკავშირებით მოხდა... მისი „პატიოსანი კაცი“ ხომ წაკითხული გაქვთ?

— როგორ თუ არ მაქვს წაკითხული, შესანიშნავი რომანია, მამხილებელი, გაბედული.

— აი, სწორედ მაგ გაბედულებისათვის დაესხნენ თავს განაწყენებული ხელმძღვანელები, სინამდვილის დამახინჯებაათ, უარყოფითი მოვლენების გაზვიადებაათ და რა ვიცი, კიდევ რა!

— მონდომებული კაცი ნაკლს ყველაფერს გამოუნახავს... დაბეჭდილი რომანის კრიტიკა გასაგებია, მაგრამ ჩემი პიესა ხომ ჯერ არ დადგმულა?

— საქმეც ისაა, რომ არ დადგმულა... ტელეფონში ამის გარჩევა არაა საჭირო, ჩამოდით და დანარჩენი მაშინ ვილაპარაკოთ.

თითოეული თქვენთაგანი ადვილად წარმოიდგენს, ძვირფასო მკითხველებო, რა გუნება-განწყობილებით ჩავიდოდა სამსონ ალავიძე დედაქალაქში, როგორ აფორიაქებული შეალებდა იმ თეატრის კარებს, სადაც სულ მალე მისი სატირული კომედიის პრემიერა უნდა გამართულიყო.

პირველი, რაც სამხატვრო ხელმძღვანელის კაბინეტში შესულ სამსონ ალავიძეს თვალში ეცა, ის იყო, რომ სავარძელში ადრინდელი მოძრავ-მომღიმარი ბატონი ალექსის ნაცვლად ვიღაც ინერტული, მოღუშული კაცი იჯდა.

— რას მიპირებთ, თუ იცით, თქვენ, ბატონო დრამატურგო? — წყნარად ჰკითხა მან კარებთან ატუზულ სამსონს, რომელსაც, დაბნეულობის გამო, გამარჯობის თქმაც ვერ მოეხერხებინა.

— რას უნდა გიპირებდეთ, ბატონო ალექსი?.. არაფერი მესმის.

— თქვენ ჩემი სამსახურიდან მოხსნა გინდათ, არა?

— როგორ გეკადრებათ!

— თქვენ როგორ გეკადრებათ, რომ პიესაში ერთი დადებითი გმირიც არ გამოიყვანიათ, ყველაფერი მუქი ფერებით დახატეთ.

თავზარდაცემულ დრამატურგს ნერვიულობისაგან პირი გაუშრა, მაგრამ ბატონ ალექსის ხომ ვერ ეტყოდი, თუ კაცი ხარ, მაცივარი გაალე და „ბორჯომი“ დამალევინეო. მან მხოლოდ ნერწყვი გადაყლაპა და რაც შეეძლო, წყნარად აუხსნა:

— ბატონო ალექსი, აკი თქვენ ბრძანეთ, დადებითი გმირი სპექტაკლში სიცილი უნდა იყოსო, ჩვენი პოზიცია უარყოფითის მხილებით უნდა გამოიხატოსო.

— არ ვუარყოფ, ასე ვთქვი, მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო, მანჯავიძის რომანს ხალხი არ იცნობდა... ჰო, მართლა, „პატიოსანი კაცი“ ხომ წაიკითხეთ?

— წავიკითხე და ძალიანაც მომეწონა.

— მეც მომეწონა, მაგრამ უნდა გენახათ, პლენუმზე რა დღე დაყარეს.

— განა ამით რომანის ღირსება იცვლება, ბატონო ალექსი?.. მთავარი ხომ ჭეშმარიტებაა.

ბატონმა ალექსიმ ფანჯარაზე ჩამოშვებული ფარდა გადასწია და ქუჩის, გასწვრივ ჩამწკრივებულ ფოთოლგაცვენილ ჭადრებს შეხედა.

— ადრე მეც ასე ვფიქრობდი, ჩემო კეთილო... ვიბრძოდი კიდევაც... ყოველ შემთხვევაში, პროტესტის ნიშნად, თეატრიდან წავედი... რიდესაც დაბრუნება მეღირსა, ვატყობ, ძველებური შემართება მღალატობს, მაგრამ ეს უკვე ლირიკული გადახვევაა, სჯობს რეალობას დავუბრუნდეთ... თქვენი მდგომარეობა შესანიშნავად მესმის, მაგრამ, ვთქვათ, დავნიშნეთ განიხილვა, როგორ ფიქრობთ, დღევანდელ სიტუაციაში მხარს დაგვიჭერენ მის საჩვენებლად?

— რატომ არ უნდა დაგვიჭირონ?

— დაჭერაში თუ თქვენ ციხეში წასვლას გულისხმობთ, მაშინ ადვილი შესაძლებელია, — გაიცინა ბატონმა ალექსიმ და ამ სიცილმა ისევ ძველი მომხიბვლელობა დაუბრუნა, — ახლა ხუმრობა იქით იყოს და, ასეთ კითხვაზე უნდა მიპასუხოთ: რატომ არ არის თქვენს პიესაში ისეთი დადებითი გმირი, რომელსაც ახალგაზრდობამ უნდა მიბაძოს.

— რომელი დადებითი გმირი, პავლიკ მოროზოვი?

— ასეთი ლაპარაკი არ გინდათ, მე სერიოზულად გეკითხებით.

— დადებითი გმირი, სხვათა შორის, არც „რევიზორშია“, ბატონო ალექსი.

— ეს ვინ ახალი გოგოლი მოსულა, გამარჯობა, კლასიკოსო!

— მე არც ახალი გოგოლი ვარ და არც კლასიკოსი... რაკი ჩემი კომედია დღევანდელ სინამდვილეს არ შეეფერება, სხვა გზა არ დამრჩენია, გარდა იმისა, რომ...

ღიღმა რეჟისორმა სტუმარს მწყრალად შეხედა.

— ძალიან გთხოვთ, გაბრაზებული დრამატურგის როლს ნუ ითამაშებთ!.. დიახ, მდგომარეობა შეიცვალა. ყველაფერი იმის შემდეგ, რაც მანჯავიძის რომანთან დაკავშირებით მოიმოქმედეს, ასეთი პიესის დადგმის ნებას არ მოგვცემენ, ამიტომ დროებით უკან უნდა დავიხიოთ და სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედოთ... პიესის მთავარ გმირს... დაიცა, სახელად რა ჰქვია?

— ნანო ნანეიშვილი.

— სწორედ ნანო ნანეიშვილს უარყოფითთან ერთად ცოტა დადებითი თვისებებიც უნდა დავუმატოთ.

სამსონ ალავიძემ უმალ აწონ-დაწონა ყველაფერი: გადაუკეთებლად „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“ სცენურ სიცოცხლეს ვერ ელირსებოდა. მარცხი, თქმა არ უნდა, დრამატურგის მტრებსა და ზოგიერთ მოყვა-

რესაც უზომოდ გაახარებდა. კომპრომისზე თუკი წავიდოდა, იქნებ პიესის ჩვენებაზე უარი არ ეთქვათ, მაგრამ განა შეიძლებოდა ისეთი კომპრომისი, როცა ღვინის მოყვარული კაცი ერთბაშად მისი მოძულე ხდება და ქორწილში მეფე-დედოფალს რქაწითელის ნაცვლად მანდარინის წვენით დალოცავს? რასაკვირველია, არ შეიძლებოდა!

მცირე ყოყმანის შემდეგ სამსონ ალავიძემ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

— თქვენი ულრმესი მადლობელი ვარ, ბატონო ალექსი, მაგრამ პიესის გადაკეთებაზე უარს ვაცხადებ!

— ასე უცებ ნუ იტყვით უარს, — გააფრთხილა რეჟისორმა, — ცოტა კიდევ მოიფიქრეთ.

— ჩემი გადაწყვეტილება საბოლოაა!

— მაშასადამე, მიგაქვთ პიესა?

— დიახ, მიმაქვს.

სიტუაციის კვალობაზე, ბატონი ალექსი სასტიკად უნდა გაბრაზებულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა: სავარძლიდან წამოდგა და დრამატურგი გადაკოცნა, ძალიან დიდი მადლობელი ვარო!

— რისთვის მიხდით მადლობას. ბატონო ალექსი? — ჰკითხა შემცბარმა სამსონ ალავიძემ.

— პრინციპულობისათვის, პატიოსნებისათვის! — ჩამოუთვალა დიდმა რეჟისორმა, — არ დაგიმალავ და, მეშინოდა პიესის გადაკეთებაზე თანხმობა რომ გეთქვათ. ახალგაზრდისათვის კომპრომისზე წასვლა დიდი ცოდვაა, თუმცა ძველგაზდისთვისაც არანაკლები დანაშაულია, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა! — აი, რა უნდა იყოს შემოქმედი კაცის დევიზი.

— მაგრამ სიმართლის მოსმენა რომ არავის უნდა, ბატონო ალექსი?

— მხოლოდ დროებით, ჩემო კეთილო!.. როგორც ახლა თქვენ გიყურებთ და მჯერა, დრამატურგი სამსონ ალავიძე ბრძანდება, ასევე მჯერა, რომ თქვენი დიდებული კომედია, რომელსაც არანაკლებ დიდებული სახელი „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“ ჰქვია, ისევ აჟღერდება ჩვენი თეატრის სცენაზე.

— ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ როდის, ბატონო ალექსი?

— როდესაც სიმართლის თქმას არ აგვიკრძალავენ.

— მე რომ ცოცხალი არ ვიქნები, მაშინ?

— როგორი პესიმისტი ყოფილხართ!.. თქვენ კი არა, მეც ვიქნები ცოცხალი და ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას.

ბატონი ალექსი ისევ ძველებური პათოსით ლაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვების ნაცვლად სამსონ ალავიძეს ყურში სხვა გამოჩენილი რეჟისორის ნათქვამი ესმოდა: მხოლოდ პრემიერის ფარდის დახურვის შემდეგ შეიძლე-

ბა თქვას დრამატურგმა , რომ ჩემი პიესა ნამდვილად დაიდგაო!.. ეს, რასაკვირველია, ზოგადი მოსაზრება იყო, კონკრეტულად, სამსონ ალავიძეს იმის რდა როგორ დაიხურებოდა, როცა იგი საერთოდ არ გახსნილა.

ობლის კვერის ამბავი

როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისში განცდილი მარცხის შემდეგ სამსონ ალავიძეს ერთბაშად გამოეცვალა ხასიათი. თქვენ ახლა იფიქრებთ, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და დარდის განსაქარვებლად ალკოჰოლს მიეძალაო. გულზე ხელი რომ დავიდვათ, დალევაზე არც მანამდე აბობდა უარს, ღვინო და არაყი ერთნაირად უყვარდა, მაგრამ გაბმულ სმაში მაინც პირველს ამჯობინებდა. სხვა სიკეთესთან ერთად, დრამატურგების ქალაქის პირობანი, პატივცემული საბსონი არცთუ ისე ურიგო თამადა იყო

ყველაფერი ეს გარეგნული შთაბეჭდილებებია, სოლო შინაგანად ყოფილ დრამატურგში დაკვირვებული კაცის თვალი სულ სხვანაირ ფერისცვალებას დაინახავდა: საბედისწერო დღის შემდეგ სამსონს თეატრის სახელის გაგონებაც აღარ სიამოვნებდა , შიგ შესვლაზე სომ ფიქრიც ზედმეტი იყო (კონკრეტულად, დრამატურგების ქალაქის თეატრზე გეუბნებით, რომელიც, თუ გახსოვთ, ახალგარემონტებული იყო და ამ თეატრში სამსონს მტრებზე მეტი მაინც მეგობრები ჰყავდა და პრემიერაზეც ხშირად ეპატიჟებოდნენ).

ერთი სიტყვით, სამსონის განაწყენების მიუხედავად, თეატრი ჩვეულებრივად ცხოვრობდა: იდგმებოდა დასავლეთევროპელი კლასიკოსების და თბილისელი ავტორების პიესები, დროგამოშვებით აფიშაზე ნომერ პირველი დრამატურგის, გუგული ჩხობაძის, ნაწარმოებებიც გამოჩნდებოდა ბოლმე. მეორე ადგილზე გადასული ვეტერანი ვოლდემარ შარაშიძე, ტრადიციისამებრ, უკრაინის თეატრებს ლაშქრავდა, მესამე და მეოთხე ურალსა და ვლადივასტოკში ცდიდნენ ბედს, მეხუთე დრამატურგს კი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ბედი არ სწყალობდა , მისმა ნიჭმა გაფურჩქვნა ვერ მოასწრო და, ცხადია, ვერც დაინტერესებული საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

დრო კი ულმობლად მიიწევდა წინ. მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, ღამეს დღე ცვლიდა, სამსონ ალავიძისათვის კი ყველაფერი უცვლელი იყო... ამასობაში ცხელი ზაფხული დადგა და წვიმიანი ქალაქის მოქალაქეებს წვიმა მოანატრა. მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში გაიმეტა ზეცამ წყალობა. გთხოვთ კარგად დაიმახსოვროთ: შემოდგომის იმ პირველ თვეს დამთავრდა მეხუთე დრამატურგის შემოქმედებითი გვალვაც, მაგრამ მანამდე ერთი თვე დარჩენილი და ჩვენ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

მაშასადამე, აგვისტოს ერთ ცხელ კვირადღეს, როდესაც ტახტზე ტრუსების ამარა წამოწოლილი სამსონი ქალაქში გასვლას არცკი ფიქრობდა, მის ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. ეს წკრიალი სამსონს გულზე ძალიან უსიამოვნოდ მოხვდა, რადგან დარწმუნებული იყო, ზაფხულში ტელეფონზე სასიკეთოს არავინ შეატყობინებდა. ალბათ, რომელიმე თბილისელი ნაცნობი იყო, ან თვითმფრინავის ბილეთი უნდოდა ან სასტუმროს ნომერი. აბა, სამსონი რისი მშოვნელი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, ტელეფონს ხელს არ მოვკიდებო, მაგრამ ბუნებით კეთილ კაცს დაუსწრებლად ვინმეს მოტყუება არ შეეძლო.

— გისმენთ. — სევდიანად ჩასძახა მან ყურმილში.

— სამსონი ხარ, არა? — დაიბუხუნა ვიღაცამ ტელეფონში, თუმცა, რატომ ვიღაცამ? — ყოფილმა დრამატურგმა უმალვე იცნო იოსებ ქობულაძის ბარიტონი.

— დიახ, ბატონო იოსებ, მე ვარ.

— დიდებული სმენა გქონია, ჩემო კეთილო, — შეაქო იოსებმა — სადა ხარ, რატომ დაიკარგე?

— რა ვიცი, საქმე მქონდა.

— პიესაზე მუშაობ, ხომ?

— პიესაზე კარგა ხანია აღარ ვმუშაობ.

— და ფიქრობ, კარგ საქმეს აკეთებ, არა?.. ხომ ხედავ, გუგული ჩხობაძის ტრაგედიამ ჩინეთშიც შეაღწია.

— ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს!

— თუ ღმერთი გწამს, ასეთი ლაპარაკი არ გინდა!.. იცი, ახლა, სადან გირეკავ?

— თეატრიდან, ალბათ.

— რესტორან „სალხინოში“ ვართ მე, ასლან მეგრელიშვილი და კიდევ ერთი ჩვენი თანასოფლელი კაცი, მეჩაიეთა ბრიგადირი დურმიშხან გოგიტიძე.

— ეჰვი არ მეპარება, კარგ დროს გაატარებთ.

— უშენოდ ვერაფერსაც ვერ გავატარებთ... ყველა გთხოვთ, ჩვენთან მოხვიდე, დურმიშხან გოგიტიძეს უნდა რაღაცა მოგიყვეს, მწერალმა კაცმა მინდა მომისმინოსო.

— მე მწერალი კი არა, ჟურნალისტი ვარ!

— სულ ერთია, მაინც მწერალი ხარ და გეყოფა ახლა, ამდენს ნუ მალაპარაკებ!.. გელოდებით „სალხინოს“ მეორე სართულზე, ზღვისპირა აივანზე.

ყველას გაწბილება შეიძლებოდა, მაგრამ იოსებ ქობულაძეს სამსონისაგან უარი არ ეთქმოდა. არც ასლან მეგრელიშვილის წყენა ღირდა. ისიც

ხომ უნდა გაეგო, დურმიშხან გოგიტიძემ რა სათქმელი ჩამოიტანა სოფლიდან.

ორი წუთის შემდეგ სამსონ ალავიძე სუფრაზე შემოსწრებულის სადღეგრძელოს სვამდა, ჩემს მოსვლას და თქვენს დახვედრას გაუმარჯოსო. თამადა, რასაკვირველია, ბატონი იოსები იყო და ისე ტკბილად მიჰყავდა სუფრა, რომ უხასიათოდ მოსულ სამსონს, ორი ჭიქა ჩაციებული „წინანდალის“ შემდეგ, ერთბაშად გამოუკეთდა გუნება-განწყობილება.

გლეხის მარჯვენის სავალდებულო სადღეგრძელო რომ დალიეს, დურმიშხან გოგიტიძემ თავისი გაჭირვება მოჰყვა: ჩვენისთანა გლეხი , აბა, რა პატივისცემის ღირსია, რაოდენობას გამოვეკიდეთ და ხარისხზე არავინ ფიქრობს, მეჩაიეებს მთელი ქვეყნის დასანახად თავი მოგვეჭრაო... სხვისი არ ვიცი და, მე, პირადად, ჩაის მაგივრად ღვინის სმა ამიტომ დავიწყეო.

— როგორი ხუმრობა იცი, დურმიშხან, — უსაყვედურა ასლან მეგრელიშვილმა, — შენი წინაპრები რომ ღვინოს სვამდნენ, ჩაის სახელიც არავინ იცოდა.

— ჩაის ღვინოზე ნაკლები სახელი არ მოუტანია ჩემთვის, ასლან ბატონო, მაგრამ ღმერთი-რჯული, აღარ მინდა ეს ჯილდოები... ჩვენთან მოკრეფილი ჩაი ინდურში თუ არ გაურიე, კაცი სათოფედ არ მიეკარება. სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის ეს?

— მერე ვინ გიშლით ხელს, ძველებურად ხარისხიანი ჩაი რომ მოკრიფოთ? — ჰკითხა თამადამ.

— გეგმა გვიშლის ხელს, ბატონო იოსებ. განა შეიძლება რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდეს?.. ბოლოსდაბოლოს, ზღვარიც სომ არსებობს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვალდებულებებს ვალდებულებებზე ვღებულობთ. წელს, მაგალითად, ჩემი ბრიგადა გამოვიდა ინიციატივით, შარშანდელზე ორჯერ მეტ ფოთოლს მოვკრეფთო.

— მერე მოკრეფთ?

— ვერც მოვთიბავთ... ამიტომ ავდექით და ფაბრიკაში ვიყიდეთ. სხვა გამოსავალი არ იყო. — დურმიშხანმა ხმას დაუწია.

— თუ კაცი ხარ, ნუ ჩურჩულებ, აქ ჩვენი ხალხი ზის. — შეაგულიანა თამადამ.

— ჩვენი და სხვისი ხალხი ვინ გაყო, საქმეს ერთიანად უნდა ვუშველოთ... ბატონო სამსონ, მწერლებს ყველაზე მეტი დახმარება შეგიძლიათ... აბა, ამაზე დიდი პრობლემა სხვა რა უნდა ნახოთ?

— მე რომ შენს ადგილას ვიყო, ჩემო სამსონ, სწორედ ამ პრობლემაზე დავწერ პიესას, — ურჩია იოსებმა, — მაინც რატომ უნდა თქვა უარი?

— პიესის დაწერაზე მე ხელი ავიღე! — გადაჭრით განაცხადა ყოფილმა დრამატურგმა.

— განაწყენებული ხარ და იმიტომ... მე კი იცი, რას გეტყვი?.. ჯარის-

კაცს ბრძოლის ველიდან გაქცევის უფლება არა აქვს, რადგან გაქცევა ლაჩართა სვედრია... ამიტომ ჯერ საკუთარ თავს უნდა მოერიო და შემდეგ ხალხს უნდა დაუმტკიცო, რომ სხვებზე ნაკლები დრამატურგი არა ხარ!

ალელვებულმა სამსონმა, თავისი სულიერი განწყობილების დასაფარავად ჭიქაში დატოვებული ღვინო ბოლომდე დაცალა და დაბინდული მზერა აივნიდან გაშლილი ზღვის უკიდეგანო სივრცეს მიაპყრო. მართლაც შესანიშნავი სანახავი იყო ლურჯი ზღვა და თეთრი თოლიები, ჰორიზონტისაკენ მიმავალი საოკეანო ხომალდი...

— ვაცხადებ თავისუფალ სადღეგრძელოს... პირველი სიტყვა სამსონ ალავიძეს ეკუთვნის. — ბრძანა თამადამ.

სამსონი წამოდგა.

— მინდა ჩვენი დიდებული ბუნების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. აბა ყური დაუგდეთ:

ზღვა იყო ისე მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა...

მე ნუ მიკრავთ ტაშს, ბატონო თამადავ, ეს ტიციან ტაბიძემ თქვა.

— მაგას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ჩემო სამსონ, მთავარი ისაა, რომ კარგადაა ნათქვამი... თუ მეხსიერება არ მღალატობს, ლექსებს შენც წერდი ბავშვობაში? — ეშმაკურად ჰკითხა იოსებ ქობულაძემ.

— ბავშვობაში კი არა, ახლაც ვწერ ხანდახან, — გამოუტყდა სამსონი,— მაგრამ არ ვბეჭდავ.

— და მაინც, ჩემო კეთილო, დროებით პოეზიას უნდა შეეშვა და დრამატურგიას დაუბრუნდე... ხომ ხედავ, აგერ, სამი მამისტოლა კაცი გთხოვთ.

როგორც კი თამადა დაჯდა, დურმიშხან გოგიტიძე წამოდგა.

— ჩემო ბიძია, პიესის დასაწერად, მე რაც მოგიყევი, იმაზე უკეთეს თემას ვერსად ნახავ. თუ ჭკუაში დაგიჯდეს, სოფელში ჩამოდი და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახე... იცოდე, ჩემი სტუმარი იქნები და შემოქმედებითი მივლინების სარჯებსაც მე ავინაზღაურებ.

— ღიდებული აზრია, — კვერი დაუკრა ასლან მეგრელიშვილმა, — დურმიშხანზე უკეთეს კონსულტანტს სად ნახავ!

უარის სათქმელად მომზადებულ სამსონს სმა გაებზარა.

— კიდევაც რომ დავწერო პიესა, დამდგმელი მაინც ვინაა, ლადო ვარლამიშვილი?

ასლან მეგრელიშვილმა სამსონს გაკვირვებით შეხედა.

— როგორ, შენ არაფერი იცი? ლადო ვარლამიშვილმა ჩვენი თეატრი მიატოვა და თბილისში გაიქცა.

— აკი, „ოტელო“ უნდა დავდგაო?

იოსებ ქობულაძემ ულვაშებში ჩაიცინა.

— სწორედ მაგ „ოტელომ“ გააქცია... წავიდა და წავიდა!.. სიმართლე გითხრა, ბევრს არ დასწყვეტია გული. მის ნაცვლად ერთი კარგი რეჟისორი ჩამოდის, რეზო ჭორდანიძე... აი , ნახავ, მაგან თუ არ დადგას შენი პიესა.

— რეჟისორებში მე ბედი არ მწყალობს, — აღიარა სამსონმა, — ისე, სხვანაირად ნუ ჩამომართმევთ და, ვარლამიშვილის წასვლა შეიძლება კიდევაც წაადგეს ჩვენს თეატრს.

— ჯეშმარიტად წაადგება! — დაუდასტურა იოსებ ქობულაძემ, — კიდევ დირექტორიც ახალი გვეყოლება, დავით შოთაძე, ფრიად ენერგიული და საქმიანი კაცი. აგერ ნახავ, სულ ცოტა სანში ჩვენს თეატრს მოსკოვში საგასტროლოდ წაიყვანს.

— მოსკოვი ჯერ შორსაა, — გაიცინა სამსონმა, — მანამდე თბილისში წასვლაც არ გვაწყენდა.

— რასაკვირველია, ჯერ თბილისში წავალთ და იქაურ მაყურებლებს ავალაპარაკებთ.

საუბარში ასლან მეგრელიშვილი ჩაერთო.

— არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ჩვენი თეატრი სანდრო ახმეტელის ჩამოყალიბებულია... ძალიან მეამაყება, რომ ბატონ იოსებთან ერთად ამ დასის პირველი წევრი ვარ...ო, რა დიდებული სპექტაკლები გვქონდა: „სასტუმროს დიასახლისი“, „ბრმა“, „ალკაზარი“, „ორი ბატონის მსახური“.

ოცნებებში გადაჭრილი ასლანი თამადამ სინამდვილეს დაუბრუნა.

— „გვქონდა“ წარსული დროა, ჩემო ასლან... იმაზე უნდა ვიფიქროთ, დღეს რა გვაქვს და ხვალ რა გვექნება.

— მაგაზე რეზო ჭორდანიძე და დავით შოთაძე იფიქრებენ... რასაკვირველია, რეპერტუარის შედგენაში ჩვენც უნდა ვთქვათ საკუთარი სიტყვა.

— აგაშენა ღმერთმა! — მოუწონა იოსებ ქობულაძემ, — სწორედ ამიტომ გვინდა ჩვენ ახლა სამსონ ალავიძის პიესა. დღევანდელობის ასეთ მწვავე პრობლემას თეატრი აუცილებლად უნდა გამოეხმაუროს. გული მეუბნება, ჩვენი საყვარელი დრამატურგი ისეთ პიესას მოგვიტანს, რომელიც აუცილებლად დაიდგმება... აბა, აბა, ჩემო სამსონ, თავს ნუ აქნევ, უარი არ გამოგივა! ხომ ხვდები, სპეციალურად შენთვის შევიკრიბეთ ეს სამი კაცი და ამ გაგანია სიცხეში ღვინოს ვსვამთ. კი, ბატონო, სუფრა მხოლოდ მიზეზი იყო... არა, კარგ ხალხში პურის ჭამას არაფერი სჯობია, მაგრამ ნამდვილ კმაყოფილებას კაცი მხოლოდ მაშინ გრძნობ, როდესაც კარგ საქმეს გააკეთებ... დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს თხოვნას ყურად იღებ და ხვალიდანვე შეუდგები პიესის წერას... სხვა შეკითხვები ხომ არ გექნება?.. კიდევაც რომ გქონდეს, მაინც არ მოგისმენთ... ყველაფერი ამის შემდეგ კი, თამადის უფლებით, მინდა კიდევ ერთი კარგი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ: ამ ჭიქით სამსონ ალავიძის მომავალ პიესას გაუმარჯოს!

დაახლოებით ისეთი ამბავი ხდებოდა, ერთ ანდაზაში რომაა ნათქვამი,

ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო, მაგრამ ყველაფერი ამის მიუხედავად, იოსებმა, ასლანმა და დურმიშხანმა დიდი ალფრთხოვანებით შესვეს ეს სადღეგრძელო, მერე ჭიქები გადმოაბრუნეს და ერთხმად დააყოლეს, ასე მტერი დაგეცალოსო. სამსონ ალავიძეს, ულრმესი მადლობის გადახდის გარდა, სხვა არაფერი დარჩენოდა. რაც მთავარია, სამეულს მტკიცე პირობა მისცა, პიესაზე მუშაობას ხვალიდანვე დავიწყებო.

მართლაც, დრამატურგს სიტყვა არ გაუტეხია, მეორე დღესვე გაემგზავრა დურმიშხან გოგიტიძის სოფელში და ერთი კვირა იქ გაატარა. მასპინძლობას, რა თქმა უნდა, დურმიშხანი უწევდა, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს იმ ერთ კვირას სამსონი ცხელი ხაჭაპურების ჭამისა და ცივი ღვინის სმის გარდა არაფერს აკეთებდა... კი, ბატონო, ჭამა-სმაც იყო, მაგრამ დილიდან საღამომდე დრამატურგი პლანტაციებში ტრიალებდა, მეჩაიეებთან ერთად კრეფდა, გლეჯდა, ცელავდა ფოთოლს, ფაბრიკაშიც ხშირად დადიოდა, ერთი სიტყვით, პრობლემის ყველა კუთხე-კუნჭულში ჩაიხედა და თავისი შთაბეჭდილებებით საერთო რვეული გაავსო. მთავარი საქმე ეს იყო, თორემ დაწერას რა უნდოდა!

ასე და ამგვარად შეიქმნა ორმოქმედებიანი და ორვარიანტიანი კომედია „ჩემი მეგობარი სილვანი“. პირველ ვარიანტში დრამატურგი დაუფარავად ამხელდა ყოველივე იმას, რაც საკუთარი თვალით ნახა და მოისმინა. მაგალითად, კომედიის გმირები ასეთ კრამოლურ წინადადებებს ლაპარაკობდნენ: „ამდენი ჩაის ფოთლის მოკრეფა შეუძლებელია“, „არც თავი მოვიტყუოთ და არც სხვა მოვატყუოთ“, „ვკრიფოთ მხოლოდ სამფოთლიანი დუყები“ და ა. შ.

როგორც უკვე გითხარით, სამსონ ალავიძეს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი სიმართლის გარდა, მაგრამ თბილისში განცდილმა მარცხმა მაინც კომპრომისზე წასვლა უკარნახა, ანუ არც მწვადი დასწვა და არც შამფური. წინაალმდეგ შემთხვევაში, მის ახალ კომედიას სცენური სიცოცხლე არ ეწერა. ავტორსაც ერთხელ და სამუდამოდ უნიჭო დრამატურგის სახელი შერჩებოდა.

ასე დაიბადა კომედიის მეორე ვარიანტი, რომელიც, იოსებ ქობულაძისა და ასლან მეგრელიშვილის ენერგიული აგიტაციის წყალობით, საკმაოდ კარგად მიიღეს, ყოველ შემთხვევაში სამხატვრო საბჭოზე წინააღმდეგ ხელი ყოფილი მთავარი რეჟისორის ჯგუფის წევრებსაც არ აუწევიათ. ახალმა დირექტორმა, დავით შოთაძემ, ხაზგასმით აღნიშნა, ადგილობრივმა თეატრმა უპირველესად ადგილობრივი ავტორები უნდა მიიზიდოსო (რასაკვირველია, მხოლოდ ნიჭიერი). ადგილობრივი ავტორების ნაკლებობა კი, როგორც შესანიშნავად მოგეხსენებათ, დრამატურგების ქალაქში მაინცდამაინც არ იგრძნობოდა. ყველაზე სასიხარულო ამბავი ახალმა მთავარმა

რეჟისორმა, რეზო ჭორდანიძემ, თქვა: ამ თეატრში ჩემი პირველი ნამუშევარი სამსონ ალავიძის კომედია იქნებაო. სამხატვრო საბჭო ტაშით შეხვდა და ასეთ გაბედულ განცხადებას. ამ ტაშმა ზოგიერთი ავისმსურველის ქირქილიც დაფარა, „ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო“. კაცის ენა, ცხადია, ყველაფერს იტყვის, მაგრამ ერთ ფაქტს ვერავინ გაექცეოდი: პიესა თუ არა, პრობლემა მაინც ხომ იყო!

ერთი სიტყვით, სამსონ ალავიძის კომედიაზე მუშაობა წაკითხვისთანავე დაიწყო და არც შემდეგ შენელებულა. დრამატურგი ყველა რეპეტიციას ესწრებოდა, თან კიდევ რეჟისორისა და მსახიობების შენიშვნებს იზიარებდა. ასეთი შემოქმედებითი ურთიერთშეთანხმებულობით პიესა თანდათან დაიხვეწა და გაშალაშინდა. კმაყოფილმა რეზო ჭორდანიძემ დირექტორი დაამშვიდა: ასეთი ნაყოფიერი მუშაობა უსათუოდ კარგ შედეგს მოგვიტანსო. სამსონ ალავიძე მაინც ურწმუნო თომასავით აქნევდა თავს, რადგან წინანდელი ფათერაკები არ დაევიწყებინა და ყურში ისევ გამოჩენილი რეჟისორის სიტყვები ჩაესმოდა: პიესა დადგმულად მაშინ ჩათვალე, როცა პრემიერის ფარდა დაიხურებაო.

სამსონ ალავიძის კომედიის პრემიერა კი ზუსტად 1 იანვარს გაიმართა. სადღესასწაულო განწყობილებამ, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა საბოლოო შედეგზე. გამხიარულებული ხალხი შინაარსზე უფრო ცეკვა-სიმღერას უკრავდა ტაშს და ხანდახან ოხუნჯობაზეც იცინოდა. ერთი სიტყვით, გახსნილ ფარდას დახურვა ელირსა და ობლის კვერიც, ბოლოსდაბოლოს, გამოცხვა! დიახ, ოფიციალური სტატისტიკით, სწორედ 1 იანვარს დაიბადა ქალაქში მეხუთე დრამატურგი, მის დაბადებას პირველი ოთხი დრამატურგი არ დასწრებია, მაგრამ სამსონ ალავიძეს მაინცდამაინც არ სწყენია, რადგან იფიქრა, ალბათ გადაუდებელი საახალწლო საქმეები აქვთო.

ალბათობრივი დრამატურგების არყოფნა დარბაზს დიდად არ დასტყობია, რადგან პრემიერას ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები მრავლად ესწრებოდნენ და არამარტო ინტელიგენციისა! სამსონ ალავიძის ნაცნობ-მეგობრები პარტერის შუა რიგებში ისხდნენ. ბილეთები მათ დრამატურგმა დაურიგა. და ამიტომ თავგამოდებით უკრავდნენ ტაშს. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ზოგიერთი მათგანი პირველად მოვიდა თეატრში.

რასაკვირველია, ბანკეტიც იყო. იგი, პრემიერასთან ერთად, ახალი წლის შეხვედრას დაუკავშირდა. ამ ორი დიდი მოვლენის აღსანიშნავად სადღეგრძელოები განსაკუთრებით საზეიმო და გულისამაჩუყებელი იყო. სამსონს ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ვალიკო გობეჩიას ნათქვამი: ახალი წლიდან ახალი ცხოვრება დავიწყოთ და ყველას თავისი ნიჭის გამოვლინების საუკეთესო პირობები შევუქმნათო!

ჰო, მართლა, სუფრა „ინტურისტის“ საბანკეტო დარბაზში იყო გაშლილი, ზღაპრული ფერებით ელვარებდა საახალწლო ნაძვის ხე, უკრავდა მუსიკა, დიდებული თამადა (ბატონი იოსები) წარმოთქვამდა დიდებულ სადღეგრძელოებს, სუფრის წევრებიც ენამჭევრობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თან მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ერთი სიტყვით, ქეიფი (ზომიერი!) თავის ეშხში შედიოდა, მაგრამ, თუ ობიექტური ვიქნებით, სიხარული სამსონ ალავიძის გულს რატომღაც არ ეკარებოდა. მეხუთე დრამატურგი დაახლოებით ისეთ მდგომარეობაში იყო, რომლის დროსაც ერთმა ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა სინანულის გალობანი დაწერა. დიახ, ეს სევდიანი სინანული საკუთარი თავის მიმართ უკმაყოფილების გრძნობა იყო, რაც ჩვეულებრივად, გამოჩენილ ადამიანებს ახასიათებთ ხოლმე... გამოუჩენელი ადამიანისათვის რომ გეკითხათ, სამსონისთანა ბედნიერი კაცი იმ დღეს დრამატურგების ქალაქში არავინ იყო, მაგრამ ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, ძვირფასო მკითხველებო, რომ სამსონ ალავიძის უბედურება სწორედ იმ პრემიერის დღიდან იწყებოდა, როდესაც დამთავრდებოდა ლამაზი სადღეგრძელოები და ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგებოდა თავისი ეშვით, უნდობლობით, შურითა თუ სინანულითა, სხვანაირად არც შეიძლებოდა. არსებობისათვის ბრძოლა მოკვდავთა ხვედრია, დიდების გვირგვინს მხოლოდ რჩეულნი იდგამენ, სამსონ ალავიძე კი მშობლიური ქალაქის მასშტაბითაც მხოლოდ მეხუთე დრამატურგი იყო.

ობლის კვერი ნამდვილად გამოცხვა, მაგრამ მას მწარე გემო დაჰკრავდა.

ფიქრები ხმამაღლა ანუ მაინლოგი

სამუშაოდან დაბრუნებულმა და გვარიანად დაღლილ-დაქანცულმა ვიქტორია თოხაძემ ის იყო ახალშეკერილი ყაყაჩოსფერი კაბა გაიხადა და მწიფე ქლიავისფერი ძველი ხალათი გადაიცვა, რომ მის საძინებელ ოთახში თეთრი ტელეფონი აწკრიალდა.

18 საათი და 15 წუთი იყო ადგილობრივი დროით.

ალბათ, სამსახურიდან მირეკავენო, გაიფიქრა ვიქტორიამ, რადგან ბოლო რეისის თვითმფრინავით იმ დღეს დრამატურგების ქალაქში კანადელი პარლამენტარების მოზრდილი ჯგუფი უნდა ჩამოსულიყო და ასეთ საპატიო ხალხს გამორჩეული გიდი უნდა დახვედროდა.

ამ გაფიქრების შემდეგ ლამაზმა ვიქტორიამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

ტელეფონში ხმას არავინ იღებდა, მაგრამ ქალიშვილისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, ალბათ, ვინმე მორიგი თაყვანისმცემელი იქნებოდა. ვიქტორიამ უცნობს გაბედულების მოსაკრებად რამდენიმე წამი აცალა და შემდეგ წყნარად გაუმეორა:

— ალო, გისმენთ!

— გამარჯობა! — გაბედა, როგორც იქნა, იმ კაცმა. დიახ, კაცის ხმა იყო და იმ ერთადერთი სიტყვის წარმოთქმის მიუხედავად, ქალიშვილი უმალვე მიხვდა: სამსონ ალავიძე რეკავდა.

— გაგიმარჯოს! — ჩვეულებრივი ინტონაციით დაუბრუნა სალამი ლამაზმა გიდმა (ვითომ, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარიყო), მაგრამ ბარტყივით აფრთხიალებული მისი გულის ბაგა-ბუგი რომ მოგესმინათ, უეჭველად დაასკვნიდით: ამ ზარს ვიქტორია თოხაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უცდიდა.

შეხუთე დრამატურგმა მცირე ხნით პაუზა დაიჭირა და შემდეგ ჰკითხა:

— იცი რატომ გირეკავ?

— ალბათ, პაემანი გინდა დამინიშნო. — კეკლუცად გაიცინა ვიქტორიამ.

— არ შემცდარხარ, — დაუდასტურა სამსონმა, — აუცილებლად მინდა გნახო... როდის გეცლება?

— როდესაც შენ მეტყვი.

— კარგი, აბა, ახლავე მოვდივარ. კათოლიკურ ეკლესიასთან შეხვდეთ ერთმანეთს.

ალელეებულ-აცახცახებულმა ვიქტორიამ ისევ ყაყაჩოსფერი კაბა ჩაიცვა და ვალერიანის წვეთები დალია, რომ გულის ბაგა-ბუგი ოდნავ მაინც შეენელებინა, მაგრამ სულ ამაოდ დაშვრა, რადგან შვება არ უგრძვნია, ანკი როგორ იგრძნობდა, როდესაც წინ ასეთი მოულოდნელი და მოუმზადებელი შეხვედრა ელოდა. პირველ პაემანს, ალბათ, პირველი სიყვარულის ახსნა მოჰყვებოდა, რაზეც ქალიშვილს თავისი დასაბუთებული „ჰო“ ან „არა“ უნდა ეთქვა, მაგრამ ერთი ნახვით გადაჭრილ პასუხს ვინ გაბედავდა, ვიქტორიას რომ გაებედა. ყველაფერს მოვლენების შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებდა. სწორედ ამიტომ იყო პაემანზე მიმავალი ქალიშვილი ასე ალელვებულ-აფორიაქებული, ხოლო მისმა სულიერმა მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მაშინ მიაღწია, როდესაც კათოლიკურ ეკლესიის შესასვლელთან, აყვავებულ მაგნოლიასთან გაჩერებული სამსონ ალავიძე დაინახა. მუხლებმოკვეთილმა ლამაზმა გიდმა ნებისყოფის დიდი დაძაბვით მაინც მოახერხა მეხუთე დრამატურგთან მისვლა და უდარდელი ხმით ჩაილაპარაკა, აი, მეც საკუთარი ფეხით მოვედიო.

— ძალიანაც კარგი, რომ მოხვედი, — მადლობა გადაუხადა სამსონმა, — ახლა ეზოში შევიდეთ და სკამზე ჩამოვჯდეთ.

მარადმწვანე მცენარეებით დაბურულ კათოლიკური ეკლესიის ეზოში ისეთი საამო სიწყნარე სუფევდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა მონდომებული კაცი ამ ორი აფორიაქებული ადამიანის ნერვების დასაწყნარებლად.

სამსონმა ჰორტენზიის ბუჩქებში ჩადგმულ ძელსკამს მიაშურა, გვერდით კი ვიქტორია ჩამოუჯდა — არც ძალიან შორს და არც ძალიან ახლოს — რომ-გორც პირველ შეხვედრას შეეფერებოდა.

— გისმენთ, ბატონო დრამატურგო. — შეახსენა მან.

ბატონმა დრამატურგმა გალაკტიონი გაიხსენა:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა.

დიდებული ლექსი იყო, სიმბოლურად მათ მოულოდნელ შეხვედრას რომ ესადაგებოდა, მაგრამ მარტო ამ ლექსის წასაკითხად ხომ არ დაუძახებდა ქალიშვილს ვერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ეკლესიის ეზოში?

— გატყობ, რაღაც გაწუხებს. — შეახსენა ვიქტორიამ მეხუთე დრამატურგს.

— მაწუხებს და მერე როგორ!.. — გამოუტყდა სამსონი.

— მაინც ისეთი რა დარდი გაგიჩნდა? (სიყვარული რომ არ იყო, დიდი მიხვედრა არ უნდოდა).

სამსონმა ვიქტორიას სევდიან თვალებს მზერა მოარიდა და ახალგარემონტებული ეკლესიის გუმბათს ახედა.

— საკუთარი თავის მიმართ უკმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა, — ყრუდ თქვა მან, — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა თეატრში ჩემი სპექტაკლი ნახეს.

ვიქტორიამ გიშრისფერი დალალები ნატიფი თითებით ჩამოივარცხნა.

— და, ალბათ, მე მადანაშაულებ, ტურისტები რომ მოგიყვანე სპექტაკლზე...

— შენ არაფერ შუაში ხარ... პირადად ჩემი ბრალია ყველაფერი.

— ასეთი მკაცრი განაჩენი რატომ გამოუტანე საკუთარ თავს?

— იმიტომ, რომ ის ვერ დავწერე, რაც მინდოდა... სიმართლის მაგივრად ნახევარსიმართლე გამოვიდა...

ეს უკვე ალსარებას გავდა, მით უფრო, რომ მას ეკლესიის ეზოში წარმოთქმადა შეწუხებული სამსონი. ქალიშვილი მის მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალა.

— პირველი სიცრუე მოწაფეობის დროს შევთხზე, — განაგრძო მეხუთე დრამატურგმა, — შევთხზე და მერე მწარედ ვინანე. ის, ალბათ, ასაკის გამო შეპატიებოდა, მაგრამ დიდი გაბედული და სიმართლის ქომაგი არც ბავშვობის შემდეგ ვყოფილვარ... „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა“, ვფიქრობ, ჩემი ყველაზე მართალი პიესა იყო, მაგრამ მისი დადგმა არ მოხერხდა... ამან, რასაკვირველია, გული გამიტეხა და კომპრომისზე წავედი, თან კიდევ პატივმოყვარეობის ჭია მღრღნიდა. ბოლოსდაბოლოს, მეც ხომ უნდა დამე-

მტკიცებინა საზოგადოებისათვის და, სხვათა შორის, შენთვისაც, რომ
— ჩემთვისაც? — ლამაზი გიდი მოულოდნელობისაგან შეკრთა.
— დიახ, პირადად შენთვისაც უნდა დამემტკიცებინა, რომ მთლად უნიჭო და წყალწაყებული დრამატურგი არ ვიყავი... ამიტომ სიმართლე ბოლომდე ვერ ვთქვი. თუმცა, კიდეც რომ მეთქვა, თეატრი, ალბათ, არ დადგამდა... მე კი სახელი მინდოდა, ფულიც, რასაკვირველია... ჰოდა, ამიტომ აღმოვჩნდი ასეთ დღეში... იცოდე, პირდაპირ მითხარი, განა შეიძლება ჩემი კომედიის ინგლისში წაღება?
— თუ არ შეიძლება, ნურც დარდობ მაგაზე, — დაუყვავა ვიქტორიამ, — შენ როგორ გგონია, სხვები უკეთესად წერენ?
— მე ის მგონია, როგორც აქამდე ვწერდი, ისე წერა ნამდვილად არ შეიძლება!... — გადაჭრით განაცხადა სამსონმა და შემდეგ ქალიშვილს ჰკითხა:
— რას მეტყვი, არ მოგეწონა ჩემი აღსარება?
— მომეწონა, მაგრამ მე სულ სხვა აღსარებას ველოდი.
სამსონ ალავიძემ ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა და ვიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო.
ვიქტორიას ლოყები წამოუწითლდა.
— რა არის ეს, სამიჯნურო ბარათი? — მღელვარებით ჰკითხა მან.
— ლონდონში მაიკლ ჯექსონის სახელზე გასაგზავნი წერილია, ოღონდ ქართულად დაწერილი...
— და ინგლისურად მე უნდა გადაგითარგმნო, ხომ?
— სწორედ შენ უნდა გადამითარგმნო... ახლავე წაგიკითხავ: „მისტერ ჯექსონ! ღმერთს თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობას ვთხოვ უპირველესად, შემდეგ კი ჩემს თხოვნასაც მოვაყოლებ პირადად თქვენს მიმართ. — ჩემი პიესის თაობაზე ინგლისელ რეჟისორებს მეტს ნუღარ შეაწუხებთ, რადგან დღევანდელ ეტაპზე მისი დიდი ბრიტანეთის თეატრებში დადგმა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მარად თქვენი კეთილისმსურველი სამსონ ალავიძე“.
მშრალი, კაზიონური წერილი იყო, მაგრამ ქალიშვილის სათუთმა გულმა მასში მძაფრი ადამიანური ტკივილი ამოიკითხა და გრძნობამორეულმა თავისი უბეჭდო მარცხენა ხელი სამსონ ალავიძის მარჯვენას შეახო, იმ მარჯვენას, რომელმაც დრამატურგების ქალაქს „ჩემი მეგობარი სილვანი“ აჩუქა...
უცნაური იდუმალება გამეფებულიყო კათოლიკური ეკლესიის ეზოში, ყველაფერი შემოდგომასავით მწუხარე იყო. მზე კარგა ხანია ალარ ანათებდა, ტაძრის გუმბათები სიბნელეში ჩაძირულიყო, ქროდა ქარი და მიწაზე ცვიოდა მაგნოლიის ყვითელი ფოთლები.
რასაკვირველია, წვიმდა!

ფიქრის ნამცეცები

ბორგავდა ძილში, დასუსტებული
სული მებრძოლი და დაქანცული.
ამაღლებული განცდით და ფიქრით,
ამომავალი გონების კიბით –
ძილის ეკრანზე ფარულად, მკრთალად,
ჯერ გაუმხელელ სიზმრებში სჩანდა.
ადამიანის გამჩენთან ბჭობდა,
ბნელ სამეფოში სინათლეს სთხოვდა.
გადაჭრილიყო იმედის ძაფი,
უსასრულობას მიჰქონდა ხედვა.
დინების ძძლავრი, მღვრიე ნაკადით
თავაწყვეტილი მიაქროლებდა.
ყველაფერს ჰქონდა კუთვნილი ჯამი,
ყვავილს – ქოთანი, გარდაცვლილს – კუბო,
ბრმას – სილამაზის აღთქმის უნარი,
წარმოსახვებში ზღაპრად აენთო
საბურავივით სინათლისაკენ,
გამოაგორა სიკვდილმა გული.
მამლების შეჯიბრზე გამოელვიძა,
ყველამ იყივლა, მთისამ და ბარისამ.
ეს იყო ღამის მესამედ გაფიცვა,
შემდეგ სოფელმა სიჩუმე ჩაიცვა.
ნისლი წარმოშვა მომდგარმა შიშმა,
ეს შიში უცებ ლექსივით იშვა.

ნამცეცი – ღმერთმა იცოდეს, მძიმე ცას ვირჩევ,
ვიცი, ამ ფრენას განიცდი, მაგრამ
უნდა გავფრინდე თბილ ქვეყნებისკენ,
თუნდაც, ძვირფასო, სიკვდილის ფასად.
ნუ შეშინდები, ყველა ბრუნდება,
ვინც წავიდა და თქვა, დავბრუნდები.
მხრებზე მოიგდო ძიების ტვირთი,
ფერის და სიტყვის, გრძნობის და ხედვის.

ფიქრი – ცხოვრების გზაზე ღრმა ორმოები

ამოუთხრიათ საქმიან კაცებს.
ყოველდღიური მსხვერპლის ჩავარდნა
ართობთ და ითრევთ, აზარტში აგდებთ.

ნამცეცი — ყველაფერს ელის, რაც რამ მოძრაობს,
წინაღობების ურიცხვი ჯაჭვი.
ერთმანეთშია გადახლართული
ტკბილიც და მწარეც, ცუდიც და კარგიც.

ფიქრი — ეს მაშინ, როცა ყოველდღიურად
მოზიდულ მშვილდით ესვრი სამიზნეს.
ხომ არ გგონია, ერთმევა აზრი
ტანჯვა-წამების წრეს და სამკუთხედს?

ნამცეცი — სული კაცისა საოცრებას ჰგავს:
ჰყვავის, მწიფდება, კნდება და ისევ
მეორდება, უსასრულობას,
ბუნების მსგავსად, თავიდან იწყებს.
ელვის სისწრაფით გავიდა წელი.
სიახლის ბევრი ყუმბარა გასკდა.
ხმა გაიგონეს იქაც და აქაც.
მაგრამ რაც იყო, წარსულს ჩაბარდა.

ფიქრი — რა ხდება, განგაშს გამოსცემს გული,
აღდგომა იპყრობს ზღვასა და ნაპირს.
გრძნობაა, ცრემლებს ჭედავენ ჯვრებად
და ღრმად მიწაში უდგამენ ფესვებს.

ნამცეცი — ვერ დამალავენ კვალს ჯალათები,
საქმე დახურულ წიგნებს სცილდება.
სიმართლე ბრალმდებელი მკვლევარი
თავისი გზით მოძრაობს მკვიდრდება —
ამიტომ, ჩემო ძვირფასო ძვალო,
ხერხემალო და სისხლო უმჭკნარო,
გახსოვდეს! ყოველ სიტყვის და საქმის
კეთება არის საჭირო ქანცი.

ფიქრი — ძალა ბევრს ნიშნავს...

ნამცეცი — ძალა-უფლება?
მას ორი გზა აქვს, როგორც ორ სიტყვას.
მაგრამ ყოველთვის გვერდი-გვერდ დგანან
წლები წლებს ჰგვანან, ნიშანი ნიშანს.

ფიქრი — თოვლმა დაფარა დასაფარავი!
ხალხი, რომელთა გვერდით გვიყვარდა
თამამი აზრის მოსმენა, ტკბობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გზებით, სწრაფვა, ძიება.
აუნთებელი სანთლების ზღვაში
გადაისროლე ასანთის ღერი.
არ ავარდება მთენია შუქი
ჯადოსნურობით მზის შესაფერი.


ნამცეცი — მღელვარე დღეებს, წლებსა და თვეებს,
ახალ გზებსა და დიდ ფათერაკებს
ხელში უპყრიათ უცვეთი ფარი,
რწმენაა ქვეყნის თავშესაფარი.

ფიქრი — მწვერვალებიდან მოსჩანს ტრამალი,
ხელის გულზეა მზეცა და ქარიც.
ხელიდან ხელში...

ნამცეცი — გულიდან გულში
გადადის რწმენა გზის გამკვალავი.

ფიქრი — ქვიშად გექცევა ყველა ტკივილი,
სულით განცდილი ნატვრაც და განსჯაც.

ნამცეცი — ხედავ რა ხდება, წვეთ-წვეთად ავსებს
ცხოვრება ახალ დარდსა და ვარამს.
როგორც მოსავლით სავსე ბელელი,
დიდ შთაგონებას გაცემა ახლავს.
ლოდინის ბაღში მებაღე უვლის,
მარგლავს და ბარავს ბზასა და დაფნას.
ვარსკვლავებს გზების გაჭრა სცოდნიათ,
მათი ციმციმის მნახველს მგონია,
მხოლოდ გალობა გამიგონია,
და არაფერი სხვა რამ მიწაზე.



ჯემალ ქათამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კაცს ენდობი...

მეოთხე ნაწილი

შემოდგომის ერთ დღეს დავით ასამბაძის კაბინეტში შუახნის ქალი შემოვიდა, ჭალალში გახვეული შეკვრა მაგიდაზე დადო და „ნაჩალნიკს“ მორიდებით შეხედა.

— ქრთამი მომიტანეთ? — ქალს ღიმილით შეხედა დავითმა.

— წინდაა, შვილო.

— რაო? — გაუკვირდა უფროსს.

— წინდა მოგიტანე საჩუქრად, შენს პატივსაცემად მოქსოვილი ნაქსოვი.

— ჩემს პატივსაცემად? — კიდევ უფრო გაუკვირდა და უბრძანა, — არა, არა, წაიღე, ოღონდ თქვი, რა გინდა, რა გაჭირვებამ მოგიყვანა ჩემთან?

— გაჭირვებამ არა, სიხარულმა, შვილო.

უფროსი სკამიდან წამოდგა, ქალალდების დასტა გვერდზე გადადო და ჭალარა ქალთან მივიდა, დააკვირდა, ვერ იცნო.

— შენ რომ იცოდე, რამდენ ხანს ვქსოვდი წინდას, მაგას არ მაკადრებდი.

— რა გაკადრეთ ასეთი?

დავითმა ჭალალდში გახვეული წინდები ქალს უკანვე დაუბრუნა და კითხვა გაუმეორა:

— რა გიჭირთ, რაში დაგეხმაროთ?

— არაფერი მიჭირს-მეთქი, ხომ გითხარი, მადლობის სათქმელად მოვედი და საჩუქრად ღაწლის წინდა მოგიტანე, ბედნიერი დედის ხელით მოქსოვილი... ხელცარიელი ვერ მოვედი, ეს წინდა შენია, შენი სიყვარულით სამ თვეს ვქსოვდი.

— როგორ თუ სამ თვეს? — გაუკვირდა დავითს და გაზეთი წინდას შემოაცალა, რაა ასეთი, სამ თვეს რომ ქსოვდაო, — გაიფიქრა.

— დიახ, დიახ, სამ თვეს. მოვქსოვდი, ისევ დავარღვევდი, ათჯერ მაინც მოვქსოვე და დავარღვიე, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ჩემს სულში იმ სიყვარულის კეთილი მარცვალი, დედის გულში რომ დათესე. ამ წინდის თითოეულ თვალში ჩემი გულის სითბო და მადლია, აწი მარტო ჩემი ლოცვა გეყოფა, შენ გადამირჩინე შვილი, ჭკუა დაარიგე, გზა ასწავლე და გმირი გახადე...

უფროსი დაიბნა, ვერ გაეგო რა ხდებოდა, ან რას ნიშნავდა ჭალარა დედის ამდენი მადლობა.

ბოლოს დედამ უბიდან წერილი ამოიღო, გაშალა და „ნაჩალნიკს“ გადასცა: — წაიკითხე ჩემი ბიჭის წერილია ფრონტიდან, ორი ორდენი მიუღია და სარდლობის მადლობაც დაუმსახურებია, ეს ორდენებიც და მადლობა შენც გეკუთვნის.

— მე რა შუაში ვარ. — შეცბა უფროსი.

— ამ სურათს დახედე და მიხვდები.

დავითმა სამხედრო ფორმაში გადაღებულ სურათს დახედა და ღიმილით წამოიძახა:

— შავიშვილი, ნური შავიშვილი! შეხედე, ერთი, მტრის რისხვა არ გამხდარა! მა-

რთლა მარჯვე ბიჭი და სიტყვის კაცი ყოფილა, გაამართლა, გაამართლა! — დავითი სიხარულს ვერ ფარავდა, ბავშვივით უხაროდა ახალგაზრდა ჯარისკაცის გმირობა. — შეხედე ერთი, შეხედე ერთი, რა კაცი გამხდარა!..

მერე დედას ხელები დაუკოცნა და მუდარით უთხრა: — ხომ არ აჯობებდა, ეს წინდები ნურის გაუგზავნოთ, რუსეთში ყინვებია, მე ოთახში ვზივარ, ის კი ყინვაშია...

— არა, არა, ეს შენია, შენ გეკუთვნის, შვილს ათი წყვილი წინდა გავუგზავნე, რომ სხვებსაც ჩააცვას.

სხვა გამოსავალი ვერ მონახა დავითმა, წინდები დაიტოვა, ჯარისკაცის დედას გაჰყვა და შინ „ემადინით" გაგზავნა.

* * *

გეოლოგები მთებში სამუშაოს რომ მორჩნენ, რაიონის ცენტრში ჩამოვიდნენ, იმ დღეს ხელფასიც აიღეს და თითო ბოთლით აღნიშნეს სამუშაო დღის კარგად დამთავრება.

მალე სასადილოში დავით ასამბაძე შემოვიდა, ცალკე მაგიდასთან დაჯდა და მიმტანს ვაბშამი შეუკვეთა.

გეოლოგებმა დავითი მიიწვიეს, იცოდნენ ხათრიანი, ახალგაზრდების მოყვარული, დამფასებელი კაცი იყო და უარს არ ეტყოდა. ცოტა წაივახშმა, ცოტაც კონიაკი დალია და წავიდა.

იმ საღამოს, სამწუხაროდ, გეოლოგებს, გარეთ რომ გამოდიოდნენ, კარის მინა გაუტყდათ. ჭორს ვილაცამ კუდი გამოაბა, ფრთებიც გაშალა და ქვეყანას მოედო: ქედაში მთვრალ გეოლოგებს კინაღამ ერთმანეთი დაუხოცავთ, მინები ჩაუმტვრევიათ, კილევ კარგი, მილიციის უფროსი მონაწილეობდა ამ ღრეობაში, თორემ ვინ იცის რა მოხდებოდაო და მისთანები.

დავითი, ჩვეულებრივ, თავის დროზე მოვიდა, კაბინეტის კარი შეაღო თუ არა, ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— დაუთ, შენ ხარ? — საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რეკავდა.

—კი ბატონო, მე ვარ.

— რა მოხდა წუხელ ქედაში? — მოკლედ იკითხა მდივანმა.

— არაფერი! — ასევე მოკლედ უპასუხა.

— და შენ ამბობ ამას?

— ერთი მინა გატეხილა შემთხვევით.

— მიწა, მეტი არაფერი? მსხვერპლი არ არის?

დავითი დაიბნა. რა მსხვერპლი, რა ჩხუბი, ამის მსგავსი არაფერი მომხდარა, დაამშვიდა კიდევაც, ჩინებული ბიჭები არიანო:

— ჰოდა, მაგ ჩინებულმა ბიჭებმა კინაღამ დახოცეს ერთმანეთი, რამდენია დაჭრილი?

— რას ამბობთ, ბატონო, გეოლოგები დილით ისევ მთაში წავიდნენ, ყველაფერი ჭორია. არავითარი ჩხუბი არ მომხდარა.

— შენ პირადად აგებ პასუხს.

— კი, ბატონო, მაგრამ...

ღია ფანჯრიდან დავითმა ძირს გადაიხედა. აჭარისწყალი გიჟივით აწყდებოდა კლდეებს და იქაურობას ხმაურით აყრუებდა, შეხედა გაღმით ცამდე აღმართულ გოლიათ მთებს, ცა ფირუზივით იყო გამჭვირვალე. სახე მოეღრუბლა, ჩაფიქრდა და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა: — რატომ უნდა დაიბადოს ასეთ ჯანსაღ ბუნებაში ბინძური სულის კაცი, რატომ? განა შეიძლება ასე? კაცმა, ვთქვათ ცოტა დალიოს და ქვეყანას მოედოს ეს ამბავი? უარი მეთქვა ახალგაზრდებზე? რამხელა საქმეს აკე-

თებენ, ცოდნასა და ძალას არ ზოგავენ, განათლებული, კულტურული, პკვიანი ბიჭები არიან, ბოლოსდაბოლოს, სტუმრები... შემთხვევით მინა გატყდა, ჩვენი ჭირიც ვაულია!

შეწუხებული სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. ტელეფონის ყურმილი აილო და დარეკა.

— არჩილ, გაიგე რა ჭორებს მივრცელებენ? ლოთობა დამწამეს, შფოთის თავად გამომაცხადეს... ასე შეიძლება მუშაობა, ცხოვრება, ხალხში ტრიალი? ერთი უბრალო მინა გატყდა და ამის გამო ოქის პირველი მდივნის შეწუხება შეიძლება? მითხარი, ერთი შენ, საქმეა აგი?

დავითს მძიმე სევდა რომ მოაწვებოდა, ყოველთვის ისეთ კაცს დაურეკავდა, რომელიც ანუგეშებდა, გულს გაუმაგრებდა, ოხუნჯობით ტკივილს გაუქარვებდა, ხასიათზე დააყენებდა ამ დევივით კაცს, ალალ-მართალსა და ბავშვივით დამყოლს.

— ერთხელო, — იგონებს არჩილ ტაკიძე, — ქალალდებში მქონდა თავი ჩარგული, როდესაც ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— არჩილ, დაუთაი ვარ.

— ვისენ.

— ერთი საათით ბეშუმში მინდა ავირბინო პირად საქმეზე, წავიდე?

— წადი! — დაუფიქრებლად ჩავძახე ყურმილში და აპარატი ჩამოვკიდე.

დღის მეორე ნახევარში სოფელ მერისში პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას უნდა დავსწრებოდი. საღამოს ცუდი ამბავი მოხდა, მანქანა გადავარდა ხრამში და ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თავგატეხილი შოფერი შეშინდა და გაიქცა.

მთელი რაიონის ხელმძღვანელობა საბედისწერო შემთხვევის ადგილას მივიდა, მაგრამ არ ჩანდა რაიონის მილიციის უფროსი დავით ასამბაძე.

— სად არის დაუთ ასამბაძე, აქ არ უნდა იყოს ახლაო? — უკითხავს რაიკომის პირველ მდივანს.

ბეშუმში დაუთას გაუგია ავარიის ამბავი და „ერთი საათით“ წასული უფროსი გვიან ღამით დაბრუნდა რაიონში. იმ წამსვე მოახსენეს, პირველი მდივანი გადარეულია, სად გაქრა, რამ ჩაყლაპა ამხელა კაციო.

დავითს გაუკვირდა, მე ხომ უნებართვოდ არ წავსულვარ, არჩილს ვთხოვე, ნუთუ დაავიწყდა, რატომ არ უთხრა პირველ კაცს ამის შესახებო? გადაწყვიტა, ღილით ადრე მივალ და ყველაფერს მოვახსენებ, მე პოსტი უნებართვოდ არასოდეს არ დამიტოვებიაო.

დავითმა რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის კარი რომ შეაღო, მისი სიტყვები ისარივით მოხვდა ყურს: — აგერ გამოჩნდა წესრიგის დამცველი, სად ბრძანდებოდითმაინც, იცოდეს ხალხმა. ამხელა ამბავი დატრიალდა, შენ კი სად ხარ?

— როგორ თუ სად? — გაუკვირდა ასამბაძეს.

— ჰო, სად! — ხმას აუწია მდივანმა.

— ბეშუმში ჩავირბინე ერთი საათით.

— ერთი საათით? თვითმფრინავით?

დავითი დაიბნა, მდივანს ნაღვლიანად გადახედა.

— ვის ჰკითხეთ?

— არჩილმა გამიშვა.

— ერთი საათით ბეშუმში?

— არა, მთელი დღით, — გამოასწორა ადრე ნათქვამი.

მდივანი ოდნავ დაცხრა, მაინც არ ოიჯერა, ეს უნდობლობა დანახვით გულს

უსერავდა დავითს. რატომ არ მენდობა ეს კაცი, მაინც უნებართვოდ წასული ვგონივარ, მოვა არჩილი და ყველაფერი გაირკვევა.

— შოფერი დაიჭირე? — ჰკითხა მდივანმა.

— არა!

— რას უცდი?

— ერთ საათში მოვიყვან.

— მაგასაც ვნახავ. — ცივად უპასუხა.

დავითს არაჩვეულებრივი ინტუიცია ჰქონდა, იცოდა, ვინ ვისთან შეაფარებდა თავს გაჭირვების ჟამს. მართლაც ერთ საათში დააკავა შოფერი. იგი თავს იმართლებდა, მუხრუჭების ბრალიაო, მაგრამ იმაზე რა უნდა ეთქვა, დაშავებული ბალხი რომ მიატოვა და გაიქცა?

სალამოს დავითი ჩემს კაბინეტში შემოვიდა, ცივად გამიღიმა და მკითხა.

— ხომ გამიშვი?

— მხოლოდ ერთი საათით. ვუთხარი.

— მერე ერთი საათი კაცს ეყოფა ბეშუმში ასასვლელად, თვითმფრინავით ხომ არ ჩაფრინდებოდი — მერე მხარზე მეგობრულად დიდრონი ტორები დამადო და მითხრა:

— ახლა წამოდი და დაარწმუნე მდივანი, რომ შენი ნებართვით წაველი.

— მე უკვე ვუთხარი მდივანს.

— არ სჯერა, ტყუილი ჰგონია მაინც... არ მინდა, ჩემს სამართლიანობაში ვინმე დაეჭვდეს... ბეშუმში წაველი შენი ნებართვით, ხომ ასეა?

საშველი არ მომცა. შევედით პირველ მდივანთან და ყველაფერი თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოვუყევი. დავითი დარწმუნდა, რომ მდივანმა ყველაფერი გულთან მიიტანა და დაიჯერა.

გარეთ რომ გამოვედით, ოდნავ გრილოდა, დავითი ჩვეულ გუნებაზე დადგა.

— ახლა გული მშვიდად მაქვს, წავიდეთ! — თქვა და ქვემოთ დავეშვით.

დავით ასამბაძე სიყალბეს ვერ იტანდა, იგი მართალი და პირიანი კაცი გახლდათ.

* * *

— აბა, რა მოხდა, რამე არის ახალი? — იკითხა უფროსმა და რბილ სავარძელში ჩაეშვა, დაღლილი და უძინარი ჩანდა.

— ახალი შეტყობინებაარ, — მოახსენეს.

— რა მოხდა?

— ისეთი არაფერი, პირდაპირ გასაწვევი პუნქტიდან გაიქცა ვილაც რამიზ გორჯელაძე.

— მერე აგი არაფერია? ამისათვის გვცალია ახლა ჩვენ? ახლავე დაადგინე ყველაფერი! სანამ ტყეში გავიდოდეს, შეუთვალე, მოვიდეს!

— ძალზე ჯიუტი ყოფილა.

— რას ნიშნავს ჯიუტი! — აყვირდა უფროსი, — მაგას კი არა, ფაშისტები მოგვყავს ჭკუაზე, ახლავე მონახეთ და მოიყვანეთ, მაგას ვაჩვენებთ ჯიუტობას!

დავითი მეტად მკაცრი იყო დეზერტირების მიმართ, სამშობლოს ღალატს არავის აპატიებდა, იგი მძიმე მუშტებს მაღლა შემართავდა:

— შეშინდი? ფრიცებმა დაგაფეთეს? შეგირცხვეს ქართული ულვაში, შე ქალაჩუნა, უჯიშო, ცოდვისშვილო, მოგკლავ, მოგკლავ, შე არამზადა, ფრიცებმა შეგაშინეს? როგორ არ გაგისკდება მიწა, შიგ ცოცხლად რომ დაიმარხო... შეუთვალეს გორჯელაძეს, შენი ნებით მოდიო, მაგრამ იგი არსად ჩანდა, არც არაფერი ისმოდა, წავიდა ტყეში,

ულალატა სამშობლოს, ისე მიიმალა, რომ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. შეწუხდა დავითი, მეზობლებს, სოფლის ხელმძღვანელებს, მშობლებს მკაცრად მოთხოვეს ცოცხალ-მკვდარი გააჩინეთო, მაგრამ ვერ „გააჩინეს“, ვერ ნახეს, კიდევ სამი თვე გავიდა, გორჯელაძე არსად ჩანდა. ამ ხნის განმავლობაში იგი თვალით არავის უნახავს, იქნებ მოკვდა, ნადირმა დაფლითაო, ფიქრობდნენ, მაგრამ იარაღით გაჭედილ კაცს ნადირი რას უზამდა, იქნებ საზღვარზე გადავიდა? მაგრამ არა, ხალხს არ სჯეროდა, გორჯელაძეს სხვა რამ სჭირდა.

დავით ასამბაძის სამუშაო ოთახში შემოდგომის ერთ დღეს თეთრწვერა მობუცი შემოვიდა და პირდაპირ მოახსენა, მე ვიცი სად იმალება გორჯელაძეო.

— სად? — წამოდგა ასამბაძე.

— ამას კი ვერ გეტყვი.

— აბა, რატომ მოდი აქ?

— შესარიგებლად.

— რატომ აარიდა თავი ჯარს! მაგი სამშობლოს მოღალატეა, შენ იცი ეს?

— ვიცი, მარა მთლად ასე არაა საქმე.

— გაწვევის პუნქტიდან გაიქცა.

—ვიცი, ვიცი. — თქვა მოხუცმა და ჩაახველა, — მაგრამ რამიზას ერთი გოგო უყვარს, ფერიდე.

— მერე უყვარდეს, ვინ უშლის. ომს რომ მოვიგებთ, ჩამოვა და შეირთავს.

— უფროსო, იმ გოგოს სხვა ჰყავს მთხოვნელი, ფერიდეს რამიზა მოსწონს, მშობლებს — დურსუნი... რამიზა ფრონტზე მიდის, დურსუნაი კი შინ რჩება.

— რატომ? — წარბი შეჰკრა უფროსმა.

— ხომ იცი, მდიდარი კაცის შვილია და რაცხა საბუთი გაუკეთებიათ, ჯანმრთელი არააო და ამაზე გადარეულა გორჯელაძე, ფერიდეს სანამ არ შევირთავ ცოლად, აქედან ფეხს არ გავადგამო.

— ეს ვერაფერი საბუთია გამართლებისათვის. კარგი, ახლა საქმეზე. როდის შემიძლია ვნახო?

— წერილი უნდა მისწეროთ, ისე არ გენდობათ.

— მე არ მენდობა? — გაეცინა დავითს. — კარგი, მივწერ.

ქაღალდი აიღო და მოკლედ დაწერა: „რამიზ, მოვდივარ, შევხვდეთ, შევრიგდეთ! ყველაფერს გაპატიებ, ჩემი სიტყვა ბეჭედია. წინააღმდეგობა არ გამიწიო, ღმერთი არ გაგიწყრეს“.

ორი დღის შემდეგ დავით ასამბაძე ცხენით ხეობას მიჰყვებოდა. თვალს ახარებდა მომაჯადოებელი ფერები, შემოდგომის სურათი მაინც სხვაა მთაში. ტყეებით დაფარული გორები, ირგვლივ ყვავილების დამათრობელი სურნელი, კლდეების ვიწრო არტახებში მოჭუხს მთის ბობოქარი მდინარე, შორს, კლდეების ვიწრო კენწეროებში, ცის ლაჟვარდებში დაცურავს ფრთებგაშლილი ორბი. — მართლაც, რა ლამაზია ეს დალოცვილი კუთხე! — ჩაელიმა დავითს, თითქოს პირველად ხედავდეს ამ დიდებულ გარემოს.

ცხენიდან ჩამოხტა, დიდხანს დუმდა, მერე თითქოს ჩურჩულით წარმოსთქვა: კაცო, ფაშისტი გადამთიელები ამ ლამაზ ქვეყანას გვართმევენ და აგი ბიჭი ამ ტყეში იმალებოდეს? ცეცხლს გვიკიდებს, გვემუქრება, გვანადგურებს მტერი და შენ ზურგი უჩვენო, სადაური ქართველობაა ეს?.. ასეთი მშიშარა წინაპარი რომ გვყოლოდა, ამ სამოთხეში მტერი შემოგვიშვებდა? ეს რას ჰგავს, რა დროს ქალი და სიყვარულია ახლა, სიკვდილი კარდაკარ დადის....

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ მდინარის მეორე ნაპირას წიფლის დიდ ხეს

ამოფარებულ წვერმოშვებულ კაცს თვალი ჰკიდა. დავითი არ შეჩერებულა, გზა განაგრძო.

— იარაღი დაყარე! — გაისმა ბრძანება.

მილიციის უფროსმა ცხენის ალვირს უფრო მარჯვედ მოჰკიდა ხელი და გზა გააგრძელა.

— იარაღი დაყარე-მეთქი! — გაიმეორა ბრძანება და შავწვერა კაცი ხეს მიეფარა.

— მე დაუთაი ვარ, — უთხრა, — იარაღი შენ უნდა დადო, მე კი იარაღი არ წამომიღია, შენს დასაჭერად არ მოვსულვარ აქ, სიტყვა სიტყვაა.

ისევ გამოჩნდა უცნობი. აბალგაზრდა კაცი ჩანდა, ოდნავ გამხდარი, წვერმოშვებული, სანადირო თოფი ჰქონდა, წელზე რევოლვერი და „ფალასკა“ ვაზნებით გაწყობილი.

— შენ რამიზ გორჯელაძე ხარ?

— ჰო, მე ვარ.

— ჩემი წერილი მიიღე?

— მივიღე!

— და მაინც არ მენდობი?

— შენ მარტო არ ამოხვიდოდი.

— ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ?

— მილიცია მაინც მილიციაა! — გადმოსძახა ახალგაზრდამ.

დავითმა პირველად იგრძნო საშიშროება. ეს უბედური მთლად დაწყობილი ჰკუის კაცი არ უნდა იყოს, ალბათ, მესვრისო, უკან დახევაც სარისკო იყო. იქვე ხის დიდ მორზე ჩამოჯდა. პაპიროსს მოუკიდა ცეცხლი და რამიზას გასაგონად თქვა:

— რა ქვეყანა გვაქვს... შენ კი არ გცოდნია ოჯახის ფუტის გემო.

— როგორ თუ არ მცოდნია? — მოესმა ზემოდან.

— არ იცი, არა. მტერი მოდის, რომ ეს ქვეყანა გადაბუგოს, დედ-მამა დაგვიხოცოს, შეყვარებული გაგვიბახოს, ნამუსი ახადოს ქალებს და შენ აქ, ტყეში, იმალები! მოღალატე და მშიშარა მტერსაც არ უყვარს, შენ პირველს ჩამოგკიდებს ბაწარზე.

— მე მოღალატე და მშიშარა არა ვარ.

— აბა, რა ჰქვია ამას, შენსავით ყველამ ტყეს რომ შეაფაროს თავი, ფაშისტები ვინ უნდა შეაჩეროს?

— ლურსუნაი სახლში რატომ უნდა დარჩეს, თუ ასეა.

— მაგი მე მომანდე, ისიც შენ გამოგყვება.

— მე არ მინდა, ცალკე წავიდეს, ჩემს საცოლეს რომ უყურყუტებს აქ.

ასამბაძე ახლა ცრემლივით წმინდა წყაროს დაეწაფა, გული გაიგრილა, წყლის შხეფებით თმა დაისველა: — რა გემრიელი წყაროა, მკვდარს გააცოცხლებს, ასეთ წყაროებს დუნია რომ შემოიარო, ვერ ნახავ.

— კაცო, შენ ამის სასწავლებლად ჩამოდი?

— არა, ჰკუის! — დინჯად უპასუხა ასამბაძემ, — აისხი მაი იარაღი და ფრონტზე წადი. იქ არის შენი ადგილი ახლა!

რამიზამ ჯერ მილიციის უფროსს შეხედა, მერე ცად აზიდულ მთებს, ორბი ტრიალებდა სადღაც შორს. მდინარე მთელი ძალით აწყდებოდა დახავსებულ ქვებს, ყველაფერი ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა.

— არა ვარ მშიშარა მე. წავალ ფრონტზე და მაშინ ნახავ ყველაფერს.

— ტრაბახია ეს, — უამომწვევად ჩაილაპარაკა დავითმა და ტყის ბინადარს სახე მოარიდა.

— რა ტრაბახი, წავალ ფრონტზე. — ხმას აუწია რამიზამ და იარაღი წიფლის ძირში დაყარა, — დამიჭირე და გამგზავნე ფრონტზე!

— მე ციხეში ვაგზავნი შენისთანებს, ფრონტზე სამხედრო კომისარიატიდან მიდიან, ხვალ დილით შენი სურვილით გამოცხადდი იქ, სხვა ჩემზე იყოს, დაგეხმარები.

— მართლა დამეხმარები? — ბავშვივით შეეკითხა...

— დილით სამხედრო კომისარიტში მიხვალ!

— დურსუნასაც გაგზავნი?

— დურსუნაი გავგზავნე უკვე. შენც წინა ხაზზე წახვალ. აბა, ვნახოთ რამდენ ფაშისტს გაანადგურებ. სიტყვა — სიტყვაა.

დავით ასამბაძე იმავე გზით მოაჭენებდა თავის „ფაფარას“.

* * *

დავითი რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტს მიადგა, — საქმეზე ვარ მოსულიო, უთხრა.

— დაჯექი! — სკამი შესთავაზა მდივანმა.

— არ შემიძლია, სახლში ხალხი მიცდის.

— ვინ ხალხი?

— გუშინწინ რომ წაიჩხუბნენ, ისინი.

— მერე? მეც წამოვიდე?

— შენ არა, შერიგებაა საჭირო. შენი სიტყვა მინდა.

— ჩემი სიტყვა?

— ჰო, ისე არ მოგვარდება ეს საქმე.

— კაცო, პროკურორს მაგათ დაპატიმრებაზე ორდერი აქვს გამოწერილი და შენ რაღა შერიგებაზე ლაპარაკობ?

— შენი დასტური მინდა, ორდერს ყველაფერი ეშველება, ქაღალდია, ბოლოსდაბოლოს.

— ვერ მოგცემ მაგის ნებას, ეს შენი მეზობლები მაგრად არიან გადაკიდებული ერთმანეთზე.

— მაგი ჩემზე იყოს, ოქრო. პარტიული სიტყვა მოგეცი, ყველას შევარიგებ, არაა ლამაზი ამხელა არჩევნების წინ სალხი ვაპატიმროთ, ნახავ, როგორ დავაშოშმინო.

ოქრო ბერიძე შეფიქრიანდა და ასამბაძეს ჰკითხა:

— შეძლებ?

— პარტიულ სიტყვას გაძლევ, ყველაზე ჯიუტს ბოდიშს მოვახდევინებ.

— მაშ კარგი, ვცადოთ. ვენდობი შენს სიტყვას.

— შენ მაინც იცი ჩემი სიტყვის ძალა, — გაუხარდა მილიციის უფროსს, ჯიბიდან ფარატინა ქაღალდი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— რაა ეს?

— ორდერი! ქაღალდს ჩვენ ვწერთ, მთავარია საქმე. ციხე რომ ჭკუის სასწავლებელი იყოს, მაშინ რა გვიჭირს, მარა ასე არაა ყოველთვის.

ოქრო ბერიძეს გაეცინა და კარებისაკენ მიმავალ გოლიათს მიაძახა:

— დაუთავ, ყოველთვის სიტყვა არ ჭრის.

— გააჩნია სიტყვას! — თქვა და კარი გაიხურა.

მართლაც სიტყვის კაცი იყო დავითი, ...საქმისაც!

* * *

ომის გამოცხადებისთანავე ჩამოყალიბდა გასამხედროებული ბატალიონები, სახალხო ზონას ხალხიც უწევდა კონტროლს. ამ საქმეში უკლებლივ ყველა მონაწილეობდა... ქალებიც, მოხუცებიც, მოსწავლეებიც.

დავით ასამბაძემ გამოცდილ ჩეკისტებთან ერთად შეადგინა მოქმედების გეგმა, შემადგენლობა ცალკე ნაწილებად დაჰყო, თითოეულ რაზმს გამოცდილი მეთაურები დაუნიშნა და გააფრთხილა, ასი თვალი და ყურია ახლა საჭირო, ქვეყანა განსაცდელშიაო.

ერთხელ რაზმის წევრს, ბინალი ცეცხლაძეს, მორიგეობის დროს, სამუშაოზე ჩაეძინა. ძილი და პოსტი? გადაირია უფროსი. მოიყვანეთ, მოვკლავ მაგ ძაღლისშვილს, რა აძინებს, ქვეყანა ინგრევა, მოვკლავ, ჩემი ხელებით გავგუდავო!

მოიყვანეს კოჭლი ბინალი, სახე გაფითრებოდა, კანკალებდა, ჩამჭრალი თვალებით ერთ წერტილს შესცქეროდა.

— რა ქენი მაი შენ! — აყვირდა უფროსი.

— დამეძინა ძიავ, მომკალი თუ გინდა, დავაშავე, — გულწრფელად ალიარა და დავითს სახე მოარიდა.

ბინალი ისე საცოდავად გამოიყურებოდა, დავითს კიდევაც შეეცოდა, და ხმას ოდნავ დაუწია.

— რა გიყო ახლა შენ?

— დამაპატიმრეთ, მტყუანი ვარ, დაუთ, მტყუანი.

ამ დროს თანამშრომელი ჩაერია.

— მე მგონია შეიგნო დანაშაული, არ ჩანს ურიგო კაცი, გამოისყიდის შეცდომას.

— გესმის შენ, გამოისყიდი? — ჰკითხა დავითმა. ბინალი ცეცხლაძე რამდენიმე ხნის შემდეგ მედლით დააჯილდოვეს.

ვინ იცის რამდენი ბნელი ღამე გაუთევია დავითს წვიმასა და ქარში, რამდენჯერ თოვლსა და ყინვაში ადიდებული აჭარისწყალი გაუტოპავს, ქვეყნის ორგული რკინის გალიაში შეუგდია, იმ ძნელბედობის ჟამს ჯარისკაცული შემართებით ასრულებდა ყველა დავალებას, ჰქონდა კარგი ოპერატიული ალღო, ნიჭი, იგი ჯერ ვითარებას შეისწავლიდა, ბევრჯერ აწონიდა, ვისთან ჰქონდა საქმე, რა ჯურის დამნაშავესთან, მისი დასაყრდენი მოსახლეობა იყო, მათგან იწყებდა მოქმედებას. რაც შეეხება ავტორიტეტს, ყველა პატივს მიაგებდა, მისი სიტყვისა ყველას სჯეროდა, ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა.

„ზამთრის ცივ საღამოს დავითმა დამირეკა, — იგონებს ანტონ ონიანი, — მთხოვა მივსულიყავი მილიციის განყოფილებაში. ვიცოდი, ტყუილ-უბრალოდ არ შემაწუხებდა, იმ დღეებში გრიპით ვიყავი ავად, მაგრამ არ დავაყოვნე, მივედი. პატარა სამუშაო ოთახში დამხვდა, დამინახა, გაუხარდა. შევატყვე, ვერ იყო ხასიათზე.

— რაშია საქმე, დაუთ?

— დაჯექი! — მითხრა და დინჯად მომიყვა: შემატყობინეს, ვიღაც გარეწარი იმალება მდინარის გაღმა სოფელში, მარტო ვერ გადავწყვიტე წასვლა, გამოცდილი ჩეკისტი მჭირდება. წამოხვალ?

— რაკი ბრძანეთ!

— ყოველგვარი ბრძანების გარეშე. — მომიჭრა სიტყვა. — ვიცი, ავად ხარ, ლოგინიდან აგაყენე, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

წავედით. ისეთი ბნელი ღამე იწვა აჭარისწყლის ხეობაში, რომ ეშმაკიც ვერ გაიტანდა კვალს. ქარი ქროდა, მშრალად თოვდა. ხიდი არსად ჩანდა, საჭირო გახდა აჭა-

რისწყლის გადალახვა. დავითი მდინარეს მიადგა, კუნაპეტ ღამეში არაფერი ჩანდა, მარტო წყლის ხმაური აყრუებდა იქაურობას.

— ზურგზე შემაჯექი, გაღმა უნდა გავიდეთ!

— არა, არა! — გავიქნიე ხელი და უკან დავიხიე, — მე თავად გავალ.

— გაცივდები, ჯერ კიდევ სურდო გიტრიალებს ტანში.

— არ გინდა, არ შეიძლია, — მაგრამ მეტი აღარ მაცალა, ამხელა კაცი ბავშვივით ამიტაცა ხელში და მდინარის მეორე ნაპირას გამიყვანა: — შენ ვინ გეკითხება, რა შეიძლება და რა არა. — სიცილით თქვა და გზის ძებნას შეუდგა.

დანიშნულ დროს მივედით სოფელში, დავითმა მალე ის სახლიც მონახა, ის კაციც, ვინც შეატყობინა, მოკლე დროში ადგილობრივი აქტივისტების ხელშეწყობით ოპერაცია წარმატებით დამთავრდა, პატიმარი ქედაში მოვიყვანეთ.

შემდეგ ხშირად გაიხსენებდა დავითი: გახსოვს, ანტონ, აჭარისწყალში შუა ზამთარში რომ გაგიყვანე? ისეთ გულზე ვიყავი, შენ კი არა, დევს გავიყვანდი მხრებითო, მართლაც მთასავით გოროზი და ამაყი კაცი იყო დავითი...

* * *

მკითხველმა ისე არ გაიგოს, ჩემი გმირი თითქოს ყველაზე დამნაშავეს ტკბილი, დაშაქრული სიტყვებით აწონებდა თავს. იგი მკაცრი, მიუკარებელი იყო ყველა არაკაცის მიმართ. განსაკუთრებით ზიზღს გვრიდა მექრთამეები, ფულითა და სხვისი იმედით გაბერილი სალხის ფიზიონომია. მისთვის ერთი და იგივე როდი გახლდათ შემთხვევით გზას აცდენილი კაცი და ჩამოყალიბებული ხორცმეტი, ასამბაძეს საკუთარ მტრად მიაჩნდა თვალის ამხვევი, მექრთამე, გამომძალველი, საქმის ჩამწყობი, ცრუ პატრიოტი... ვინც სხვის ნაშრომს, თავნაკლავს წაიღებდა, სასტიკად დევნიდნენ. კანონის დამცველებიც გამოირჩეოდნენ მაშინ. ძნელია იმის წარმოდგენაც კი, მათთვის ვინმეს ქრთამი შეეკალრებინა...

ლვინის ქარხნის დირექტორმა რევიზორი პირდაპირ კაბინეტიდან გამოაგდო. საქმე მილიციამდე მივიდა.

ასამბაძე თვითონ წავიდა ლვინის ქარხანაში, ერთი ვნახოთ რა კაცია მაი გაბაიძე.

— რატომ იკიდებ ყველას ფეხზე? — მკაცრად ჰკითხა დირექტორს.

— შენ თვითონ ვინა ხარ? — ირონიით ჰკითხა გაბაიძემ.

— როგორ თუ ვინ? — გაუკვირდა მილიციის უფროსს, — მე დაუთაი ვარ!

— ერთბაშად დავით აღმაშენებელი არ მყავდე!

— შენ დავით აღმაშენებელს თავი დაანებე და მიპასუხე: რატომ გამოაგდე რევიზორი?!

— არ მომეწონა და გავაგდე.

— შენ გეკითხები, — ხმას აუწია დავითმა. — რატომ?!

— სჯობია შენს საქმეს მიხედო.

— რაო? — გადაირია ასამბაძე, — ეს არაა ჩემი საქმე? რა თქვი მაგი შენ!

— რაც გაიგონე!

— კაცი არ ვიყო, ჰკუაზე თუ არ მოგიყვანო!

— მემუქრები? მაინც ვერაფერს დამაკლებ.

— არა. შენი ადგილი, ვიცი მე, სად არი, მაგრამ ცოტა მაცალე. თუ მაგ სიამაყის იქით პატიოსანი კაცი ჩანს, ბოდიშს პირადად მოგიხდი, თუ ფულით და ვილაცის ძალით ხარ გათავხედებული, მაშინ, იცოდე, არ დაგინდობ.

— თავი არ წააგო!

— ვნახოთ.

ხასიათწამხდარი დავითი მანქანაში ჩაჯდა და შოფერს მკაცრად უბრძანა: — გასწი!..

— ჩამოვედით უფროსო. — მანქანა გააჩერა შოფერმა.

ასამბაძე ძლივს მოეგო გონს, თვალები გაახილა, ყველაფერი კოშმარული სიზმარი ეგონა. მილიციის განყოფილების პატარა შენობას მოჰკრა თვალი. აღარ უნდოდა კაბინეტში შესვლა. საათს დახედა, უკვე ათი იყო.

— სახლში მიმიყვანე! ცოტა უგუნებოდ ვარ, დავისვენებ.

მილიციის უფროსი რკინის საწოლზე წამოწვა, ფიქრმა გაიტაცა: ნეტავ ვინ მფარველობს? უპატრონო კაცი ამდენს ვერ გაბედავს.—მერე საწოლიდან ოდნავ წამოიწია, სარკეს შეხედა, ულვაშზე ხელი გადაისვა და ამაყად თქვა: — დაე, პატრონობდეს, ბოროტებისათვის ერთი გზა ვიცი მე — ციხე!

დიდი სანი არ გასულა მას შემდეგ. ყოვლისშემძლე დირექტორს დედაქალაქიდან რევიზორების მთელი ბრიგადა მოევლინა. წაუხდა ხასიათი, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა: — კი, ბატონო, შეამოწმეთ, აი, ნახავთ, როგორ ვმუშაობ, გეგმას ვასრულებ, გარდამავალი დროშაც დავიმსახურე, სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოვდივარ, აბა, მეტი რა ვქნა, მუშებიც კმაყოფილი მყავს და უფროსებიც.

გამოცდილ რევიზორებს არ გასჭირვებიათ ყველა მაქინაციის მიგნება, ქარხანაში დირექტორის ბნელ მოღვაწეობას აეხადა ფარდა, დიდძალი დანაკლისის გარდა, სპირტის უკანონოდ გატანისა და შემოტანის უამრავი ფაქტი აღმოჩნდა, როცა პასუხი მოთხოვეს დირექტორს, ჩიტივით აჭიკჭიკდა, — ეს, ძმაო, ღვინის ქარხანაა, შემოსავალი და გასავალი გრამებით არ იწონება. შეხედეთ, რამხელა ქვეყანა და რამდენი ხალხია, ყველას ჭამა-სმა უნდა, თუ ფული არ ჩაუყაქე, უმაღლესი ხარისხის პროდუქციასაც წუნის ბეჭედს ტყეპებენ, თუ გულუხვი ხარ, წყალსაც და ღვინოსაც ერთ სასწორზე აგიწონიან.

სწორედ ამიტომ დირექტორი წყალსა და ღვინოს ერთ მუხის კასრში რომ ასხამდა, ეს არ მოუწონეს, არც ქრთამი მიიღეს, შეუკერეს ისეთი აქტი, რომ საპნის ბუშტივით გასკდა ერთ წამში ფულებით გატენილი კასრი და ქარის მოტანილი ქონება ქარმა წაილო..

* * *

პატარა ქალაქის განაპირა ქუჩაზე ერთოთახიანი ბინა ჰქონდა დავითს. ცოლშვილი ბათუმში ჰყავდა. დღედაღამე მუშაობდა, დასვენებისათვის დრო თითქმის არც ჰქონდა გვიან ღამით, როცა ქვეყანას ეძინა, წავიდოდა მყუდრო ბინაში „თვალის მოსატყუებლად“. მაშინ ომი იყო და ბევრი დანაშაული ხდებოდა. იშვიათად დილამდე შინ დარჩენილიყო. ამიტომ ხშირად ტანსაცმელგაუხდელი წამოწვებოდა რკინის საწოლზე.

ღამის ორი საათი იყო დავითი რომ სახლში მოვიდა, ხმელი შავი პური მონახა თაროზე, ისე დაქანცული ჩანდა, ძილმა დასძლია და საწოლზე წამოწვა, მაგრამ ვინ აცალა, ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ასამბაძე გისმენთ!

— მე ნიკოლოზი ვარ.

— გისმენთ ამხანაგო ნიკოლოზ! — გაკვირვებით ჩასძახა ყურმილში. — რაიმე მოხდა? მზად ვარ, ახლავე...

— ამდენი შეწუხება არაა საჭირო, — გაისმა ნიკოლოზის მშვიდი ხმა.

დავითს გაუკვირდა, თუ არაფერი მომხდარა, თუ მილიციის უფროსი არ სჭირდება, მაშ რატომ შეწუხდა ამხელა კაცი ამ შუაღამეზე?.. რალაც მოხდა, ან პირადად აწუხებს რალაცა, ამ ფიქრებში ჩაძირულ დავითს ნიკოლოზის ხმა ჩაესმა.

— როგორ არის საქმე ღვინის ქარხანაში, რევიზია დამთავრდა?

— დიახ.

— ამბობენ, ახალი გამოძიება იწყებაო... — დაეხმარეთ! არ გააფუჭოთ, დირექტორი არაა ურიგო კაცი... — და ტელეფონი დადო.

ასამბაძეს გუნება გაუფუჭდა, წახდა კაცი. ეს როგორ? მტაცებელი, მექრთამე, ავაზაკი, უწმინდური და უსინდისო დავიფარო? არ დავიჭირო? ვინც დღისით, მზისით ატყუებს პარტიას, სახელმწიფოს, ხალხს. ნუთუ ეს არ იცის ამხანაგმა ნიკოლოზმა. არა, ამას ვერ ვიზამ, გინდაც უფრო მაღლიდან დამირეკონ, კანონი კანონია, ვინც არ უნდა იყოს...

საკუთარ თავთან დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ასამბაძე ყურმილს მიწვდა და ნომერი აკრიფა.

— გისმენთ! — გაისმა უკმაყოფილო ხმა..

—ამხანაგო ნიკოლოზ, მე დაუთაი ვარ.

— მერე?

— დირექტორი გაიძვერა და ფლიდია, თუკი ამას სასამართლოც დაადგენს, პირობას გაძლევთ, პირადად მე დავაპატიმრებ.

— როგორ? ხომ მოვილაპარაკეთ ამის შესახებ ჩვენ?

— თქვენ არ მაცალეთ პასუხი მეთქვა. ტელეფონი დაკიდეთ. დირექტორს დავაპატიმრებ.

— დააპატიმრებ, მაგრამ... — სიტყვა აღარ დაასრულა ნიკოლოზმა, მის ხმაში მუქარაც იგრძნობოდა.

ეს რა, მემუქრება?! — პარტიიდან გამრიცხავს?!. კი ბატონო, მაგრამ ქვეყანა ჩა.ლით ხომ არაა დახურული. ვიგინდარას და მამაძაღლს არ დავინდობ, აგი ქვეყანამ იცოლეს. შენც, ნიკოლოზ, იცოდე. მე დაუთაი ასამბაძე, გლეხის შვილი, ფიცს არ გავტეხ, სამშობლოს არ ვუღალატებ და არც სხვებს გავათელინებ ფეხქვეშ, ხორცმეტებს არ გავახარებ. გამაგრდი დაუთ, არ შეშინდე, უკან დახევა არ გჩვევია.

დირექტორი დააპატიმრეს, საკადრისი სასჯელიც მიიღო.

რამდენიმე თვის შემდეგ ნიკოლოზიც გადაიყვანეს სხვაგან, უფრო დაბალ თანადებობაზე, მერე ფრონტზე წავიდა მოხალისედ...

ᲙᲔᲙᲜᲘᲚᲘ

ია ვარ

მე იმიტომ მიყვარს მზე —
ნისლი გაანიავა.
გაზაფხულის გულმკერდზე
ამოსული ია ვარ.
პატარა ვარ, ნაზი ვარ,
მაგრამ კლდეზედაც ავალ,
აპრილს მხრებზე ვაზივარ,
პაწაწინა ია ვარ.
მიყვარს დღეც და ღამეცა,
სუსხმა ველარ იავა,
გულზე სხივი დამეცა,
გულგამთბარი ია ვარ.
ხის ფოთლების შრიალი
გარს მეხვევა ნიავად,
მზის ღიმილი, ციალი
მიყვარს, მე ხომ ია ვარ!

აჭარისწყალი

თავს გევლება მერცხალი,
ელვასავით ფრთამალი
ვინ დაგარქვა შენ წყალი.
უნდა გერქვას წამალი.
გლოცავენ, გიმადლიან,
მუდამ დაგაქვს სიკეთე.
მე ვიჭნები ნათლია —
საბელს გადაგიკეთებ.
კურნავ ყველა იარას,
ძალას ავლენ ზღვისოდენს,
აჭარისწყალს კი არა,
სიცოცხლის წყალს
გიწოდებ.

აბდულ ლუკავა

დედის ნატვრა

იქნებ, ბიჭო, ერთხელ მითხრა რამე,
ორად-ორი სიტყვა გაიმეტო...
შენზე ვფიქრობ, შვილო, დღე და ღამე,
დედისერთავ და დედის იმედო!

ბიჭო, იქნებ სადმე წევხარ ახლოს,
მე კი წლობით გეძებ სხვის მიწაზე,
იქნებ, აქვე სადმე ახლოს სახლობ,
ხმა გამეცი, მაქ გავჩნდები წამსვე.

ჩემო ერთავ, შემოგევლოს დედა,
ამ ლოდინში ჩემი გული დნება,
შენს ნახვას თუ ველირსები, ნეტავ?
უშენობა მე ვინ დამიბედა?

არ დაინდე საქართველოს მტრები,
სასიკვდილოდ შენ ვინ გაგიმეტა?
სად ხარ, შვილო, როგორ მენატრები,
მელირსება შენი ნახვა, ნეტავ?

შვილო, იქნებ არაკაცმა დაგჭრა,
ამდენხანს ვერ მოიშუშე იარა?
კვლავაც გიცდი, აბა, სხვა რა დამრჩა,
ომის ცეცხლმა უკვე გადაიარა...

სად ხარ, შვილო, დედის ერთადერთო,
შენ მოგელი, ჭიშკარს ვტოვებ ღრიჭოდ,
დამიბრუნდი, გამახარე ერთობ,
ამდენი ხნის დაკარგულო ბიჭო!

რევაზ გორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ჩიქოვანი

ცეცხლი და სისხლი

აქაური ზაფხულისათვის დამახასიათებელი ალმურმოდებული დილაა, ივნისის თვე. რაღაც უჩვეულო დაბნეულობასა და ნერვიულობას ვატყობთ ჩვენს უფროსებს. ყველაზე კეთილი და მხიარული ზედამხედველიც კი წარბშეკრული დადის და თუ რაიმე შეეკითხე, აუცილებლად გაგამეორებინებს, შემდეგ კი პასუხის გაუცემლად თავქუდმოგლეჯილი სადღაც გარბის.

რა მოხდა, ნეტავ? რადიო არა გვაქვს, ინფორმაციის ამ საშუალებას ჩვენ მოკლებული ვართ, არც ჟურნალ-გაზეთებს ვღებულობთ (გვეკრძალება კანონით). რა უნდა ვქნათ!

დღე ჩვეულებრივზე უგემურად გადის. საღამოს შეკრებაზე გვიხმობენ. ვახტიორებმა გულდაგულ შემოირბინეს ყველა ბარაკი — დიდმნიშვნელოვან საქმეზეა მიტინგი და არავინ დაგვაკლდესო. თავი მოვიყარეთ „მოედანზე“. აქ საბელდაბელო ტრიბუნა აღუმართავთ. ვიცდით სულგანაბულნი. ავისმომასწავებელი სიჩუმეა ირგვლივ.

ბანაკის უფროსი ახალგაზრდა კაცია, უკრაინელი (დედა მოლდაველი ჰყავსო, ამბობენ), მაგრამ სულ ჩვენებურს, კავკასიელს ჰგავს, გოლიათური ალნაგობისაა, მაღალი, მხარბეჭიანი, შავი გრუზა თმები აქვს და ცეცხლისმფრქვეველი შავი თვალები, სახის ნაკვთები — ვაჟკაცური, ცხვირი — სწორი, მკერდი — ფართო, ფარივით ამობურცული. ახლა იგი ტრიბუნაზე დგას. ავ თვალს არ დაენახვება! შევყურებთ მონუსხულნი. არ დავმალავ: ნამდვილი აღაზას დასატირები ხარ, შე შეჩვენებულო-მეთქი, — გავიფიქრე და გავწითლდი.

— ამხანაგებო! — დასჭექა მან უცებ და წამით შეყოვნდა: არ მიმართავენ უფლებააყრილ პატიმარს „ამხანაგოთი“, ეს მასზე უკეთ ვინ იცოდა, მაგრამ „შეცდომის“ გამოსწორებას არ შესდგომია, განაგრძო.

ლაპარაკობდა დიდხანს, მგზნებარედ, გულმხურვალედ, რას ამბობდა, მაშინ რომ გეკითხათ ჩვენთვის, ვერ გეტყოდით. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გავიგეთ, მხოლოდ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვა ჩაერჭო სოლივით ჩვენს

III ფრაგმენტი. იხ. „ჟოროხი“ № 3–4.

ტვინს: „ომი!“ და გონს მხოლოდ მაშინ მოვეგეთ, როდესაც ორატორმა ისევ დაიქუხა:

— ჩვენ გავიმარჯვებთ, სტალინი ჩვენთან არის!

— ხაი ჟიევე რადნიანსკა ვიდჩიზნა!

— დიდება დიდ სტალინს!

— დიდება! დიდება! — ისე ერთხმად და შეწყობილად აღმოგვხდა ყველას, თითქოს ათასი ჯურის პატიმართა გროვა კი არა, ჯარისკაცების კარგად გაწვრთნილი კოლონა მდგარიყოს ტრიბუნის წინ.

ჰო, მართლა, მე დამავიწყდა, აქამდე მეთქვა, რომ ბანაკში ერთად ვიყავით პოლიტიკური პატიმრებიცა და სისხლის სამართლის დამნაშავენიც. ეს ადრე არასოდეს ყოფილა.

წუთიერი გაოგნება შეუკავებელმა მღელვარებამ შეცვალა. ყველა თავისას გაჰყვიროდა. ყველა გამოთქვამდა მზადყოფნას, თავი შეეწირა სამშობლოსათვის, წასულიყო ფრონტზე, შებმოდა მტერს.

როცა ვნებები ასე თუ ისე დაცხრა, ღაცხრა კი არა, აილაგმა, დავიშალეთ და მძიმე ნაბიჯებით ბარაკებისაკენ გავემართეთ. ამ დროს განა ელიავამ, ცნობილი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის, შემდეგ „ხალხის მტრად“ გამოცხადებული და დახვრეტილი შალვა ელიავას ერთადერთმა ქალიშვილმა (შვილობილმა) წამოიწყო სიმღერა: „Москва моя“...

ხმამ ფოლადის ზარივით გაკვეთა ჰაერი. უეცრად შეჩერდა, შედგა ბანაკი, ერთ ადგილზე გაშეშდა ყველა — თავისუფალიცა და ტუსაღიც, უდანაშაულოცა და დამნაშავეც, პატიოსანიცა და ავაზაკიც, და მე ვირწმუნე, რომ ამ წუთებში ყველა პირმართალი და პატიოსანი იყო, დროებით მაინც ყველას განწმენდოდა სული და მარტო სამშობლოს ბედსა და მის შველაზე ფიქრობდა ყველა!

სიბნელე ჩამოწოლილიყო. მღეროდა განა გედივით ყელმოღერებული, მასთან ერთად მღეროდა უკლებლივ მთელი ბანაკი, დაუმცხრალ ერჭილად გადადიოდა ყაზახეთის ვრცელი ტრამალის კიდით კიდე:

Москва моя, страна моя,
Ты самая любимая!..

მიწყდა თუ არა მაგიური სიმღერა, კვლავ ბანაკის უფროსის მოგუგუნე ხმა შემოგვესმა:

— მშვიდობით, მეგობრებო, მე ხვალ ფრონტზე მივდივარ!

წავიდა.

წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ერთი თვეც არ იყო გასული, მისი გმირულად დაღუპვის ამბავი რომ გავიგეთ. მართლაც „ალაზას ცრემლებით“ დავიტირე მე იგი, მთელმა ბანაკმაც დაიტირა.

მას შემდეგ ბევრი წავიდა ჩვენგან ფრონტზე, თავისუფალი თუ პატიმა-

რი (ვისაც ნება დართეს). დანარჩენები ადგილებზე ვაკეთებდით ჩვენ-ჩვენ საქმეს, ვშრომობდით თავაუღებლივ, გაათკაცებული მონდომებით. გვშიოდა და? შიოდა მთელ ჩვენს ხალხსაც. „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ — გვეხებოდა ჩვენაც.

ადამიანს ორი რამ გააჩნია თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის შესაწირავი: ოფლი და სისხლი. იცოდეს ღმერთმა, ჩვენ ორივე დაუზოგავად გავიღეთ!

ვინც ბანაკში ციხის შემდეგ გატარებულ პირველ წელიწადს გადაურჩა, შეეჩვია ადგილობრივ ჰავასა და პირობებს, სიკვდილიანობამ საგრძნობლად იკლო. ახლა გარედან უფრო მწარე ცნობები მოდის. ომის ურჩხული ნთქავს ადამიანთა სიცოცხლეს. ერთი პატიმარი შეიშალა კიდეც, ოჯახის ამოწყვეტა, მოხუცი მშობლებისა და ცოლ-შვილის ამოჟლეტა რომ გაიგო!

თუ პირველად ვერ ვეგუებოდით ბოროტმოქმედებთან ყოფნას, მათ ჟარგონს, მათ ურიგო ქცევას, თანდათან შევეჩვიეთ, თითოეულში, ცუდის გარდა, კარგიც აღმოვაჩინეთ. მათაც ბევრი „დაგვითმეს“, თუმცა „დამპალ ინტელიგენციას“ გვეძახდნენ, მაინც მეტი მორიდებით დაგვიწყეს მოპყრობა. ბილწსიტყვაობისგანაც, შეძლებისდაგვარად, თავს იკავებდნენ. თუ რომელიმე ჩვენგანი ავად გახდებოდა, აუცილებლად ინახულებდნენ, რითიმე მოემსახურებოდნენ...

მე მათთან სულაც თავიდანვე მქონდა კარგი დამოკიდებულება. მოგეხსენებათ, ექიმს არა აქვს უფლება, გამოარჩიოს ავადმყოფი, მისთვის სულერთი უნდა იყოს, ვის მკურნალობს, ვისი სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძვის, ოღონდ კი იხსნას, ოღონდ კი უშველოს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს და დიდად უწყობს ხელს მკურნალისა და პაციენტის დაახლოებას, მათ შორის კეთილი ურთიერთობის დამყარებას.

მე სხვადასხვა დროს ხან საავადმყოფოში, ხან ამბულატორიაში ვმუშაობდი. „უგალოვნიკებს“, განსაკუთრებით ქურდებს, შრომა არ უყვარდათ. ხან გადიოდნენ სამუშაოდ, ხან არა, რაც ბანაკში დიდ დავიდარაბას იწვევდა.

მოდიოდნენ ჩემთან, ამბულატორიაში, „საპატიო მიზეზით“ სამუშაოდან განთავისუფლების მისაღებად, არასოდეს არ გამიცია ყალბი ცნობა, მაგრამ არც ავადმყოფი „გამიდენია“ სამუშაოდ. როგორც ეს არც თუ იშვიათად ჩვენს „ურწმუნო“ უფროსობას ეპრიანებოდა. ამას ჩემში დიდად აფასებდნენ პატიმრები, მადლიერები იყვნენ სამართლიანობისათვის. მეც ვსარგებლობდი ჩემდამი ნდობითა და სიყვარულით და ვცდილობდი, კეთილისმყოფელი გავლენა მომეხდინა მათზე. იქნებ ჩემი გამუდმებული ჩიჩინისა და ჩავონების, თბილი, ადამიანური დამოკიდებულების წყალობით, განთავისუფლების შემდეგ თითო-ოროლა მაინც დაადგა ცხოვრების სწორ გზას!

მინდა ერთი რამეც აღვნიშნო აუცილებლად: ბანაკში არ იყო გაერცელებული ნარკომანია. ჩვენს დროს პატიმართაგან არ აღრიცხულა ნარკოტიკების ხმარების არც ერთი შემთხვევა. და მეორეც: ყარაგანდის ბანაკის („ყარლაგის“) იმ რამდენიმე უბანში, სადაც მე მომიწია ყოფნა, ათასობით პატიმარს შორის ჩვენებურს მხოლოდ ორ ბოროტმოქმედ ქალს შევხვდი — ერთი ქართველი იყო, გედევანიშვილი, მეორე — სომეხი, მურადიანი (ღმერთმა იცის, ეს მათი ნამდვილი გვარები იყო თუ არა, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს).

როგორც წინათ, ციხეში, ისე აქ, ბანაკშიც, დროდადრო გვიცვლიან ადგილსამყოფელს, გადავყავართ უბნიდან უბანში. ჩვენ გვეძნელება ერთმანეთთან დაშორება. ხომ არაფერი აერთიანებს და აკავშირებს ადამიანებს ისე, როგორც ერთად გადატანილი უბედურება! ვინ არა ვართ აქ „ერთ ბედქვეშ“ მყოფი: რუსი, უკრაინელი, ბალტიისპირელი, ტაჯიკი, სომეხი, ყაზახი, ქართველი, უნგრელი, კორეელი და, რა ვიცი, კიდევ ვინ და რამდენი! ახლა ფრონტიდანაც გვემატებიან სხვადასხვა დანაშაულისათვის მისჯილნი.

ცხოვრება, თურმე, რა გაწამებულიც არ უნდა იყოს, მაინც ცხოვრება ყოფილა! ყველაფრის მიუხედავად, უკვე იმის თავიც გვაქვს, რომ ცოტა გავერთოთ, მოვაწყოთ ლიტერატურული საღამოები, წარმოდგენაც კი დავდგათ. მწუხარებაც არის და სიხარულიც, სიძულვილიცა და სიყვარულიც, დაბადებაცა და სიკვდილიც. 8 წელი, 10 წელი, 15 წელი — ცოტა ხომ არ არის, ცხოვრებაა მთელი!

მიხარია, რომ ჩემს ექიმს, ნანა ალექსანდრეს ასულ აფანასიევას, ჩემსავით უყვარს ლიტერატურა, უყვარს პოეზია. ჩვენ ხშირად „ვეჯიბრებით“ ხოლმე ერთმანეთს ლექსების კითხვაში. რა კარგად იცის რუსული კლასიკა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება საზღვარგარეთ გაუტარებია! მშობლები რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე წასულან ემიგრაციაში. ნინა ალექსანდროვნას პარიზში მიუღია უმაღლესი სამედიცინო განათლება, სახელი მოუხვეჭია, როგორც საუკეთესო ქირურგს. მარტოხელად დარჩენილს, მაინცდამაინც 37-ში გადაუწყვეტია საკუთარი ნატვრისა და მშობლების ანდერძის შესრულება, სამშობლოში (რუსეთში) დაბრუნება. ერთ თვეში დაუპატიჟებიათ. ვინ მოთვლის, რამდენი მძიმე ავადმყოფი იხსნა, რამდენს აჩუქა სიცოცხლე ბანაკშიაც და ბანაკგარეთაც.

სიყვარულით ვიგონებ ნატალია ბეუსს — განათლებულ და დიდბუნოვან ქალს. ქმარი 37-ში დაუხვრიტეს, ერთადერთი შვილი ლენინგრადში დაეღუპა ბლოკადის დროს. სათუთად ვინახავ მის ნაჩუქარ წიგნს — იბსენის კრებულს — გულთბილი წარწერითა და „ბრანდიდან“ ამოღებული სტროფით.

Не новое я нечто замышляю,
Я правду вечную хочу упрочить.

ბანაკის ერთ-ერთ უბანში შევხვდი ლოლიტა ვირსალაძეს, ჩვენს უნიჭიერეს ფოლკლორისტ ქალს, შთამომავლობით დახვეწილ ინტელიგენტს. დაპატიმრებამდე ერთხელ მყავს ნანახი თბილისის უნივერსიტეტში ლიტერატურულ საღამოზე, სიტყვით გამოვიდა. ისე მოვიხიბლე, რომ იმავე ღამით ვუძღვენი ლექსი, რომელშიაც დიდის ამბით ვასხამდი ხოტბას „ქართველი ქალის მაღალ შუბლს“.

ჩემი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს და გამოემგზავრა სამშობლოში, მაგრამ ეს დღეები სილამაზითა და სიხარულით ამივსო ლოლიტას გაცნობამ, მასთან ერთად ყოფნამ. მან წამაკითხა მაშინ პირველად კ. გამსახურდიას ახალი რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ და ი. გრიშაშვილის ლექსი „დავბერდი?!“ ორივე მეუღლეს გამოეგზავნა (თუ ჩამოეტანა) მისთვის საქართველოდან.

მოგვიანებით ქეთო ორახელაშვილსაც შევხვდი. არც ჩვენ ვყოფილვართ დიდხანს ერთად — ახლა მე მიწევდა გამომგზავრება სამშობლოში. ქეთო განთავისუფლებული იყო, მაგრამ შინ არ უშვებდნენ ე. წ. „განსაკუთრებულ განკარგულებამდე“. ბავშვი ჰყავდა უკვე, პატარა ნიკოლენკა დროზდოვი. ერთი წლისაც არ იქნებოდა, უფრო დედას ჩამოგავდა, ლამაზი იყო, მსუქანი, შავი ბრიალა თვალები ჰქონდა. თუ ხელში აიყვანდი, შემდეგ ვერ დაჯდებოდი, სულ უნდა გეტარებინა.

ვიცნობდი გრიგოლ დროზდოვსაც, ქეთოს მეორე ქმარს. დარსეული კაცი იყო, კულტურით, გულისხმიერებით, პატიოსნებითა და სიკეთით გამორჩეული.

ქეთო სწორედ ჩემი წამოსვლის წინ ელოდა შვილებს თბილისიდან. დიდად გახარებული იყო და აღელვებულიც.

არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი ერთი დეტალის გახსენებას. მივედი ქეთოსთან. მინდვრის ლამაზი, ფერადი ყვავილებით რთავდა ოთახს. ღღეს ევგენის დაბადების დღეაო, წამჩურჩულა.

„შეუცნობელია გზები შენი, უფალო!“ იყო, ალბათ, აუცილებელი ასეთი მზეთუნახავი ახალგაზრდა ქალისათვის (ისიც ისეთ მძიმე განსაცდელსა და ხიფათიან პირობებში) გასჩენოდა მფარველი, მეგობარი და საიმედო დასაყრდენი. ძნელია და უსამართლოც იქნებოდა რაიმე დასკვნის გაკეთება ზერელედ და აჩქარებით. ქეთო გათხოვდა მეორედ, მაგრამ ევგენის სათაყვანო სახებაც მარად ცოცხლობდა მის გულში.

გავიდა დრო. დიდხანს არა გამიგია რა მის შესახებ. შემდეგ დაიბეჭდა წერილები და გამოვიდა მონოგრაფია ევგენი მიქელაძეზე. ერთ ჟურნალში წავიკითხე მშვენიერი წერილი ამჯერად კინორეჟისორ თემურ მიქელაძეზე.

წერილს ხელს აწერდა ძმა — ნიკოლოზ დროზდოვი. ვნახე თვითონ ქეთო კინოფილმში „ინტერვიუ პირად საკითხებზე“.. მეტის მოთმენა აღარ შემძლო. პირველი შესაძლებლობისთანავე წავედი თბილისში და მოვნახე ქეთო. გავიხარეთ ერთმანეთის ნახვით. შინ მარტო იყო, ბევრი მოვიგონეთ, ბევრი ვილაპარაკეთ.

ორი თუ სამი წლის შემდეგ ისევ მოვხვდი თბილისში და ქეთოსაც დავურეკე. ყურმილი მამაკაცმა აიღო. ქეთო მოვიკითხე. შევატყვე, შეცბა, ხმა ჩაუწყდა.

— ბოდიში, ქალბატონო, ქეთო ხომ, სამწუხაროდ, ორი წელია აღარ არის...

ახლა მე ჩამივარდა ენა. ვდუმვარ მოულოდნელობისაგან თავზარდაცემული. ხაზის მეორე ბოლოში მოთმინებით მიცდიან. როგორც იქნა, ვეკითხები:

— თქვენ შვილი ხართ?

— დიახ.

— კოლია დროზდოვი?

— დიახ.

უკვე „თქვენობით“ ლაპარაკი არ შემიძლია:

— მე დედაშენთან ერთად ვიყავი გადასახლებაში. შენ არაერთხელ მჭერიხარ ხელში, — კანკალით ვეუბნები ამას და ვკიდებ ყურმილს ცრემლმორეული. თავი არ დამისახელებია, ბათუმიდან ვარ-მეთქი, ეს კი დამირჩა, მგონი, ნათქვამი.

გული შინ არ დამიდგა. გადავწყვიტე წასვლა ერთ ძველ მეგობართან (თამარ შარაბიძესთან), რომელიც ასევე დიდი ხნის უნახავი მყავდა.

მივდივარ მარჯანიშვილის ქუჩაზე. აქ, № 14-ში, ცხოვრობს იგი — ჩემი სტუდენტობის დროის განუყრელი ამხანაგი. მას ბევრი კარგი გაუკეთებია ჩემთვის. უნდა გიამბოთ ერთ-ერთი მათგანი.

1938 წლის ზაფხულია. „იწვის“ თბილისი. „გადაცემაა“ წასაღები დედაჩემისათვის ორთაჭალის ციხეში. მოვიდა თამარი და რას ხედავს — მეცა და დეიდაჩემიც მალალი სიცხით, გაჭირვებულები ვწევართ. დაავლო ხელი გამზადებულ ამანათს და, მივდივარო, გამოგვიცხადა. შევკივლე: დაიღუპები: დაგასმენს ვინმე და დაგიჭერენ-მეთქი! დეიდაჩემმაც ბევრი უშალა: შვილო, დღეს ხალხი „გამარჯობას“ არ ეუბნება ერთმანეთს და შენ როგორ საქმეზე აპირებ წასვლასო. ვერ დავაკავეთ, წავიდა.

გვიან დაბრუნდა, დალლილი, დაქანცული. ტანსაცმელი ისე ჰქონდა ოფლით სველი, გეგონებოდათ, თაკარა მზის ქვეშ კი არა, თავსხმა წვიმაში ყოფილაო.

ეს ოფლი შეიძლებოდა მას სისხლად დაჯდომოდა! ამის დავიწყება შეიძლება?..

ვადასახლებიდან რომ დავბრუნდი, ყველა ახლობელზე ადრე ის მოვინახულე თბილისში. არ გათხოვილა, მარტო ცხოვრობდა. ტანად პატარა იყო და შეუხედავი, მაგრამ შესანიშნავი ხმა ჰქონდა, კარგ ლექსებსაც წერდა, თუმცა პროფესიით ექიმი იყო.

ამის გახსენებაზე მინდა შევბედო ჩვენს ახალგაზრდებს: ლექსებს ძველადაც ბევრნი ვწერდით, მაგრამ, თუ განსაკუთრებული ნიჭის მადლით არ იყო აღბეჭდილი, დასაბეჭდად როდი მივარბენინებდით. საოჯახო სალონებში კი სიამოვნებით ვკითხულობდით და, თუ კარგი დეკლამატორებიც ვიყავით, მსმენელებსაც სიამოვნებას ვანიჭებდით.

მე, მაგალითად, ჩემს „ლექსებს“ ხშირად ვკითხულობდი დავით (ფუხული) დადიანის ოჯახში, რომელთანაც შორეული ნათესაობაც მაკავშირებდა და ახლო მეგობრობაც. დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს ამ ოჯახის შვილიშვილ ასულებთან — ცინუკი და ნელი დადიანებთან (ნელი და მე ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით).

ახლა ისევ ჩემს თამარს მინდა დავუბრუნდე. აი, მივდივარ მასთან გულშეჭირვებული. ვიცი, გაგვიხარდება ერთმანეთის ნახვა. შემდეგ მე ჩემს დარდს გადავუშლი, ვიტირებ და იტირებს ისიც. მაგრამ ბოლოს მომეფერება, მომივლის, მანუგეშებს, დამამშვიდებს.

შევედი ეზოში. აქ მაღალი სახლების აგურის კედლებს ბუდებივით მიშენებულია პატარა ბინები. თამარმაც მიაშენა, ერთ კუთხეში პატარა ოთახი, მაგრამ ეს რა არის?! ოთახი მორღვეულია და ძირს უწესრიგოდ ყრია ფიცრები. იქნებ ახალი ბინა მიიღო? არა, გული ცუდს მიგრძნობს... მართალიც აღმოვჩნდი. მიამბო მეზობელმა: აღარ არის ჩვენი კეთილი დამარი. დიდი პატივი სცეს ნათლულმა და მისმა ქმარმა — დიანა და გოგი ქავთარაძეებმა, თქვენ მათ კარგად იცნობთ. უპატრონეს, ლამაზად, ჩვენი წესით დაასაფლავეს. მაგრამ შემდეგ მაინც არ დატოვა აქ დამ, ჩამოვიდა და წაასვენა თავის მშობლიურ კუთხეში — რაჭაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში (მე იქ კი ვერ წავედი, ავადმყოფობამ შემიშალა ხელი).

ძლივს გამოვედი ეზოდან, გული ცუდად მქონდა — ბევრი იყო ამდენი საშინელი განცდა ერთი დღისათვის, ისევე, როგორც მეტისმეტად ბევრია ერთი სიცოცხლისათვის ყველაფერი ის, რაც მე გადამიტანია და რასაც მე გავუძელი ცხოვრებაში!..

პაპლე ნაცვლიშვილი

თეიმურაზ პირველი და გიორგი საკაძე

ჯანსულ ღვინჯილია თავის წიგნში „გიორგი საკაძის პიროვნება“ აღნიშნავს: „გიორგი საკაძის ფენომენზე კვლავაც ბევრი წიგნი დაიწერება, ბევრი ისტორიული თუ მხატვრული ნაშრომი, ბევრი ლექსი და მოთხრობა, რომანი და პიესა, მუსიკა და ფერწერული ტილო, შეიქმნება ბევრი ქანდაკება. დაიწერება წინამდებარე წიგნის მსგავსი გამოწვლილვითი ანალიზიც, რათა კვლავ და კვლავ არ დაეხსნას ფიქრი ამ პრობლემას“. (იხ. ჯ. ღვინჯილია, „სული აღმაშენებელი, გიორგი საკაძის პიროვნება“, თბ., 1987.).

ეს ამონაწერი მოვიტანე არა იმიტომ, რომ ჩემი შრომა თეიმურაზ პირველისა და გ. საკაძის პიროვნებათა შესახებ გამოწვლილვითი ანალიზია, — ჩემი გონება დაიპყრო თვალსაზრისმა, რომ „ამ პრობლემას არ შეიძლება დაეხსნას ქართველი კაცის ფიქრი“.

თეიმურაზ პირველისა და გიორგი საკაძის შესახებ მართლაც ძალიან ბევრი წიგნი დაწერილა, — იმდენად ბევრი, რომ მარტო ამ თხზულებათა უბრალოდ ჩამოთვლა და ბიბლიოგრაფიული ანალიზი, ალბათ, საკმაოდ დიდი მოცულობისა იქნებოდა. საგანგებო თუ საჟურნალო სტატია არც იძლევა საშუალებას ჩავუღრმავდე ამ მეტად საინტერესო საკითხს და წარმოვიდგინო მისი სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი. მინდა შევეხო მხოლოდ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო საკითხს და ჩემი მოკრძალებული დამოკიდებულება გამოვხატო მათ მიმართ, რამეთუ ჰეშმარიტად მაწუხებს ეს პრობლემები.

ჩემს მიერ წაკითხულ ნაშრომებში შეიჩნევა ერთი ტენდენციური თვალსაზრისი. შრომა, რომელიც თეიმურაზ პირველის წარმოსაჩენად არის დაწერილი, საგრძნობლად ამცირებს გ. საკაძის პიროვნებას და, პირიქით, ზოგჯერ, ჩემი დაკვირვებით, ამ მიმართებით ფაქტებიც მახინჯდება. განსაკუთრებით ეს ითქმის თეიმურაზ პირველის შესახებ.

ჩემი აზრით, ორივე ეს პიროვნება, თეიმურაზ პირველი და გიორგი საკაძე, ერთნაირად დადებითი, ქართველი სალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი და ამდენად ამაღლებული ადამიანები არიან. ასეთი შეხედულება არ გამომდინარეობს იქედან, რომ ისინი აბსოლუტურად უნაკლონი არიან. არა! უნაკლო ადამიანი არც არსებობს; მთავარია, მას ამ ნაკლის შეცნობისა და მისი დაძლევისაკენ სწრაფვის უნარი გააჩნდეს.

თეიმურაზ პირველისა და გიორგი საკაძისდროინდელი და, განსაკუთრებით, შემდეგი ეპოქის მწერლობა, რატომღაც მუქი ფერებით ხატავს ამ დიდი ადამიანების ცხოვრებას. იმდენად მუქი ფერებით, რომ ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარება მკითხველს მათ მამულიშვილობაში. თავიდანვე შევნიშნავ, რომ არის რაღაც საიდუმლო ამ პიროვნებათა მოღვაწეობაში, რომლის გამჟღავნება, ალბათ, ზიანს მიაყენებდა მაშინდელი საქართველოს ცხოვრებას, განსაკუთრებით ეს ითქმის გ. საკაძის შესახებ. ამ პიროვნებას თან სდევდა, მისი ხასიათის შესაბამისად, ფარული, განგებ გასაიდუმლოებული მომენ-

ტები, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა ამ ადამიანის ხასიათის ნათელ წარმოდგენას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა თავიდანვე აღიარა იგი, როგორც უბრალო გმირი. ამისი დასტურია, თუნდაც ეპითეტი „დიდი“. მოურავები სხვებიც იყვნენ, მაგრამ „დიდის“ ეპითეტით არ შეუმკიათ ისინი. ეს ეპითეტი ბევრისმეტყველია და გ. სააკაძეს წარმოადგენს, როგორც ხალხის საყვარელ ადამიანს, ხოლო ხალხის სიყვარული მხოლოდ რჩეულებს თუ რგებიათ წილად.

მეცნიერები შენიშნავენ, რომ გ. სააკაძის პიროვნებას მკვეთრად უპირისპირდება მისი თანამედროვე, ასევე ქართველი ხალხის ინტერესებისათვის წამებული მეფე თეიმურაზ პირველი, რომელმაც ვერ გაუგო უბადლო გმირს და ფაქტიურად მისი „დალუპვის მიზეზადაც კი იქცა“. ყოველ შემთხვევისთვის, თეიმურაზისა და გიორგის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა აღიარებული ისტორიული ფაქტია, მაგრამ პრობლემას უფრო ღრმად ჩახედვა და დეტალური ანალიზი სჭირდება.

თეიმურაზ პირველის პიროვნების დახასიათებისათვის დაწერილ თხზულებათა შორის, ჩემი თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა არჩილ მეფის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ უნდა დავასახელოთ. ყველაზე ჭეშმარიტი და უტყუარი ისტორიული ცნობები თეიმურაზის შესახებ სწორედ მან წარმოადგინა და იგი ძირითადად დაახასიათა როგორც ბრწყინვალე მეფე-პოეტი, დიდი მეომარი და მოაზროვნე, თუმცა ნებივრად აღზრდილი და თავისებური.

ასევე დადებითადაა თეიმურაზი დახასიათებული ი. თბილელის „დიდმოურავიანში“. „საოცარია, რატომ ფიქრობენ მკვლევარები, რომ „დიდმოურავიანის“ მიხედვით თეიმურაზის მიერ თქმულ სიტყვებში გ. სააკაძის მიმართ, გამოხატულია დაფარული ღვარძლი, ბოროტი ზრახვა?!.

მეფემ ბრძანა: „ეგე საქმე არ გავლია ჩემსა გულსა,
ვინ მოგკვლიდა, რასა ჰქვიან მომდგომსა და ჩემს ერთგულსა.

ან კიდევ:

არც არას სიხსნლსა გადავებ, არც რას ავს შენგან მოველი,
თავდებიც მოგცე, არ მოგკლა, უცილოდ ძელი ცხოველი.

ეს სიტყვები წრფელი გულის ღაღადისია და წარმოაჩენს თეიმურაზ პირველის მაღალგონიერებას, მოყვასის შეცნობის უნარს. მითუმეტეს ი. თბილელის ტენდენცია აშკარაა, — „დიდმოურავიანი“ დაიწერა გ. სააკაძის სადიდებლად; მაგრამ ჭეშმარიტი მართლისმთქმელი პოეტი, ამავე დროს, ვერ ფარავს თეიმურაზის ადამიანურ და მამულიშვილურ თვისებებს, გამჭრიახ გონებასა და მოვლენების სწორად შეფასების უნარს! მოვუსმინოთ ი. თბილელს. „დიდმოურავიანის“ პირველი თავი ასეთი სტროფით იწყება:

ქრცხილვანს იდგა მეფე შვებით, მას გვერც ახლდა მოურავი,
იშვებენ და იხარებენ, ქარი უქრის მათ არავი,
მტერი ყველგნით შეაშინა, ომის იყვნენ არ მზარავი.

როგორც ვხედავთ, ი. თბილელის აზრით, გ. სააკაძესა და თეიმურაზს შორის სრული ჰარმონიაა. მათ გმირულად დაამარცხეს საერთო მტერი და ახლა ერთად „იშვებენ და იხარებენ“. არავითარი შური, მტრობა მათ შორის არა ჩანს. მაშ, რა არის ბაზალეთის სამარცხვინო ომის მიზეზი?!. ამის შესახებ ი. თბილელი გარკვევით ამბობს: „ავი ენა ამათ გაბურის, ქვეყნისათვის ეს არს ავი“. მართალია, შემდეგ პოემის მიხედვით მოქმედება თეიმურაზისა და გ. სააკაძის კონფლიქტით წარიმართება, მაგრამ ი. თბილელის აზრით, აქ მეფე თეიმურაზი უცოდველია, ყველაფერი „ქვეგამხედველ-

თა", „ლამბეზლებელთა", „მოენეთა" და „მოჩხუბარ კაცთა" ბრალია. აქაც, გულალვი და გულწრფელია ი. თბილელის თეიმურაზის მიერ თქმული სიტყვები:

მეფეს ებძანა: „აწ გითხრა სიტყვა უცდურად მთელია,
ქვეყანამ იცის: შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია,
მაგრა მას მიჰხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია.
ამჟამად ისრე არვინ არს წამების გარდამხდელია.

მართლაც, ხომ უცილობელი იყო გიორგისა და ლუარსაბ მეორეს კონფლიქტი! ამას ზედ ერთვოდა ათასგვარი ჭორი და ფაქტის გაზვიადება და ი. თბილელი შენიშნავს, რომ თეიმურაზსა და გიორგის შორისაც მოხდა გაუგებრობა. თეიმურაზმა სრული ჭეშმარიტება მოახსენა მას, გავრცელებული აზრი მოახსენა უტყუარად. გიორგიმ კი ამაოდ გაიფიქრა: „მეფე არს ჩემზე მწყრომარე". სინამდვილეში აქაც „სხვათა ენა", „მოჩხუბართა" და „ავისმდომთა მაბეზღრობა" არის თეიმურაზისა და გიორგის წინააღმდეგობათა სათავე. ორეული და ცბიერი ადამიანები ახერხებენ ჩამოაგდონ მტრობა საქართველოს ორ სახიქადულო შვილს შორის, ეს საქართველოს მტრების, მსხვილი ფეოდალების მიზანია და კიდეც აღწევენ მას. მსუბუქად ვუსაყვედუროთ კიდეც თეიმურაზს, რომ მან ვერ მოახერხა, კრიზისული მომენტიდან ეპოვა გამოსავალი, თუმცა ამის დიდად მოწადინე იყო. ი. თბილელის აზრით, დრომ, ულმობელმა დრომ, არ მისცა მეფეს საშუალება მკაცრად განესაჯა მოვლენები, დაედგინა მტყუანი და მართალი, აი, წყევლა-კრულვიანი საკითხი, რომელიც ვერ გაისიგრძეგანა თეიმურაზ პირველმა, მაგრამ მოცემულ ვითარებაში ამისათვის მკაცრად ვერ განვსჯით ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მეფეს. დიდებული დავით აღმაშენებელიც კი, რომელიც ყველაზე თანმიმდევარი ჩანს ამ პრობლემასთან ბრძოლაში, ვერ ახერხებს დაიცვას სრული ჰარმონია. ეს არის ი. თბილელის, როგორც მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის გულისტკივილის მთავარი მიზეზი; სასტიკმა დრომ არ მისცა დაკვირვებულ და ბრძენ თეიმურაზს საშუალება საღად შეეფასებინა მოვლენები. ფაქტი ფაქტად დარჩა, ქვეყნის ორგულმა „მოჩხუბარმა" ადამიანებმა არ მისცეს საშუალება ამ ორ კეთილშობილ რაინდს, ეკეთებინათ საქვეყნო საქმეები და საქართველოს მომავალი გადაერჩინათ. ეს იყო ქართველი ხალხის საშინელი ტრაგედია, მოურჩენელი სენი, რომელიც ლეგა ღრუბლებად აწვა ჩვენს ქვეყანას და მხედველობას უბრმავებდა. რაც შეეხება შაჰ-აბას პირველის კარის ისტორიკოსს ისკანდერ მუნშის, იგი ტენდენციურად ახასიათებს თეიმურაზ პირველს უარყოფითად, რათა გაავრცელოს საზოგადოებაში ყალბი ცნობები შაჰ-აბას პირველის ვითომცდა კეთილშობილების შესახებ. ეს საკითხი შესანიშნავად გაარკვია მკვლევარმა ჯანსულ ღვინჯილიამ წიგნში „სული ალმაშენებელი, გ. საკაძის პიროვნება".

დღეს უკვე საკამათო აღარ უნდა იყოს, რომ ბაზალეთის ტრაგიკული ომის მიზეზები ცალკეული პიროვნებების, კერძოდ, თეიმურაზ პირველისა და გ. საკაძის კაპრიზებში კი არა, არამედ მე-17 საუკუნის I ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძებოთ, თავადთა განუსაზღვრელ უფლებებში უნდა ვეძებოთ. გ. საკაძის, დაბალ საფეხურზე მყოფი აზნაურის, ხალხის მიერ განდიდებამ, ალბათ, ალბათ და დიდმა ავტორიტეტმა გააბოროტა „ძირძველი თავადები". მათ შეთხზეს მრავალი დამამცირებელი ფაქტი გ. საკაძის შესახებ. დამბეზღებლებმა დაარწმუნეს მეფე თეიმურაზი გ. საკაძის მოღალატეობაში. ამის შესახებ გარკვევით მიუთითებენ ვახუშტი ბაგრატიონი და ბერი ეგნატაშვილი. აი, რას ამბობს ბერი ეგნატაშვილი:

„და ამ ჟამში განდიდებული იყო ქართლის მოურავი საკაძე გიორგი, რომელ იყო მოურავი ტფილისისა და ესრეთ განდიდებულიყო რომ შემდგომად მეფისა იგი იყო.

და ამას უთხრეს ქვეყნის არევის მოყვარეთა (მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვებს პ. ნ.) მოჩხუბართა კაცთა ვითარმედ: „მეფე სიკვდილს გიპირებს, რამეთუ სძაგს სიმდიდრე და მორჭმა შენი“. თავის მხრივ, თეიმურაზთანაც მიაქვთ ცნობები გიორგის „ავკაცობის“ შესახებ. თეიმურაზი ჰეშმარიტად დაარწმუნეს „ქვეყნის არევის მოყვარეთა“, რომ გიორგი იყო ლუარსაბ მეორეს დამღუპველი. მიუხედავად ამისა, როგორც ი. თბილელი მიუთითებს, თეიმურაზი სათანადოდ აფასებდა გიორგის გმირულ საქმეებს და იგი დიდ პიროვნებად მიაჩნდა. მაშ, კვლავ და კვლავ აღიმართება თანამედროვე საზოგადოების წინაშე წყეული კითხვა: რამ გამოიწვია ბაზალეთის სამარცხვინო ომები? და კვლავ და კვლავ იძლევა ამ კითხვაზე პასუხს არჩილ მეფის, ი. თბილელის თხზულებები, ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის ცალკეული გამონათქვამები. რომელთა შესახებაც ზემოთ მივუთითეთ. „ქვეყნის არევის მოყვარენი“, „მოჩხუბარნი კაცნი“, „ძირძველი ფეოდალები“ ოსტატურად ქსოვენ ინტრიგის ბადეს. არ უშვებენ ხელიდან არცერთ ხელსაყრელ შემთხვევას, რათა დაარწმუნონ შეჭირვებაში მყოფი თეიმურაზი გ. საკაძის ორგულობაში. ჩვენის მხრივ დავუმატებთ: თეიმურაზი, როგორც მეფე, იძულებული იყო რამდენადმე ერწმუნა გიორგი საკაძის ღალატი. მსხვილი ფეოდალები ამ პერიოდისათვის ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ და მეფე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ძირითადად მათ ეყრდნობოდა. სხვა ძალა იმჟამად თვალსაჩინოდ არ ჩანდა. აბა, სად ჰქონდა ექსორიობაში მყოფ მეფეს იმის შემოწმების საშუალება, მართლა მოღალატე იყო გიორგი საკაძე თუ არა, მაშინ როცა გიორგის ფარული მოქმედებანი, სპარსელთა მხარეზე ფორმალურად გადასვლა და სხვა მოქმედებანი ეჭვს აღძრავდა „მოენეთა“ სასარგებლოდ.

აქ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი. ჩემი აზრით, თეიმურაზისა და გიორგი საკაძის მკვეთრი დაპირისპირების მთავარი მიზეზი მათ განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებშიც უნდა ვეძებოთ. ისინი საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლი ორი სხვადასხვა რწმენის პიროვნებაა, განსხვავებული ხერხებითა და მეთოდებით მებრძოლი პიროვნება. თეიმურაზი უფრო პირდაპირი და ჯიქური ჩანს.

ამ ბოლო ხანებში ჩვენი მეცნიერები სავსებით მართებულად მიუთითებენ გ. საკაძის ორგანიზატორულ ნიჭის შესახებ. იგი უსათუოდ არის ე. წ. „აზნაურთა დასის“ მეთაური საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მაგრამ იმისათვის, რომ წინ წამოვწიოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გაერთიანებისათვის გ. საკაძის დამსახურება, არ შეიძლება გავაუფერულოთ თეიმურაზ პირველის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ისტორიული ფაქტები ამტკიცებდნენ, რომ თეიმურაზ პირველი ისევე თანმიმდევრულად აწარმოებდა ბრძოლას საქართველოს გაერთიანებისათვის, როგორც სხვა ცნობილი მეფეები. ყველასათვის ცნობილია, თეიმურაზის ზრუნვა ქართლთან, იმერეთთან და საქართველოს სხვა კუთხეებთან კახეთის დაკავშირების შესახებ. აკი შეჭირვების ჟამს დიდმა მეფემ სწორედ იმერეთში და კიდევ უფრო შორს „გონიოს ციხეში“ პოვა თავშესაფარი. ყურადსაღებია პროფ. ლ. სანიკიძის სიტყვები რომ „დასავლეთ საქართველოში მყოფ თეიმურაზ პირველს კახეთთან კავშირი არ გაუწყვეტია. მან ყოველდღე იცოდა, რა ხდებოდა სატახტო გრემის სასახლეში“ (ლ. სანიკიძე, დედა ისტორია, I, თბ., 1986). თეიმურაზის ზრუნვა საქართველოს გაერთიანებისათვის ყოველგვარი ამბიციების გარეშე ხდებოდა. იგი ამ მიმართებით გამორიცხავდა ძალის პოლიტიკას, ომებს, მშვიდობიანი გზით სურდა ხალხთა გულების შეკავშირება.

უნდა გამოვყოთ თეიმურაზ პირველის პიროვნებაში ერთი, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი თვისება. — თეიმურაზი არ იყო ძალაუფლების მკაცრად მოყვარული. მას არასოდეს უზრუნია, ძალის პოლიტიკით შემოეერთებინა სხვა კუთხეები და დამჯ-

დარიყო გაერთიანებული საქართველოს ყოვლისმძლე მეფედ. ამ დებულების დასტურია, ლუარსაბ ქართლის მეფესთან თეიმურაზის დამოკიდებულება. ისტორიაში აღნიშნება ფაქტები, როცა ძალაუფლებისათვის ძმა ძმას ჰკლავს, მამა-შვილს, შვილი — მამას! თეიმურაზ პირველის მოღვაწეობა კი სულ სხვა მოვლენას ადასტურებს. — დაიღუპა ქართლის მეფე — ლუარსაბ II. თეიმურაზს გზა გაეხსნა ქართლის ტახტისაკენ. ძალაუფლების მოყვარული მეფე თავისი ინიციატივით გაიკაფავდა გზას ქართლის შემოსაერთებლად, მაგრამ თეიმურაზი, პირიქით, გ. საკაძის მიწვევის შედეგად თანხმდება ჩაუდგეს სათავეში გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს. ამის დასტურია ალნიშნული ი. თბილელის „დიდმოურავიანში“. მწერალი შენიშნავს, რომ თეიმურაზის ერთადერთი წყენის მიზეზი გ. საკაძის მიმართ, არის ის, რომ იგი მიაჩნია ლუარსაბ მეფის მკვლელად. თეიმურაზი გულწრფელად განიცდის ლუარსაბ მეორის უსამართლო სიკვდილს და თანაუგრძნობს მას. — ეს დიდბუნოვანი ადამიანის თვისებაა. ეს თვისება საზოგადოების თვალში ამაღლებს მას, როგორც პიროვნებას!

მივყვეთ ფაქტების მსვლელობას; როცა აუცილებელი გახდა მიეწვიათ იგი ქართლის ტახტზე და შეიქმნა შესაძლებლობა ქართლ-კახეთის გაერთიანებისა, თეიმურაზი სიამოვნებით ჩაუდგა სათავეში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს და დაიწყო ეროვნული საკითხების მოგვარებისათვის ზრუნვა. მაგრამ ცხოვრება რთულია, უკუღმართია და ადამიანის, მითუმეტეს მეფის, სავალი გზა ია-ვარდებით არ არის მოფენილი. კვლავ არ ისვენებენ „მოჩხუბარნი კაცნი“, „მაბეზღარნი“ და „მოენენი“ გავლენიანი ფეოდალები ცდილობენ, რაც შეიძლება კიდევ უფრო დაქსაქსონ ქართლ-კახეთის მიწა-წყალი ცალკეულ საფეოდალოებად და საფუძველი გამოაცალონ საქართველოს ძლიერებას. აი, სწორედ ეს „ძირძველი“ ფეოდალები საოცარი ძალით ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს, ცილს წამებენ მეფესა და გიორგი საკაძეს, ცდილობენ ჩამოაგდონ მათ შორის შუღლი და მტრობა, რადგანაც ისინი კარგად გრძნობენ, რომ თეიმურაზისა და გიორგი საკაძის, საქართველოს გაერთიანებისათვის ორი დაუცხრომელი მებრძოლის, მეგობრობა და კეთილგანწყობილება ძირს გამოუთხრის ფეოდალთა მტრულ მიზნებს, და კიდეც მოახერხეს დაერღვიათ თეიმურაზსა და გიორგის შორის ურთიერთნდობა. ქართველი ერის სავალალოდ, დიდი პატრიოტი და ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანების სავალი გზები გაითიშა. ისინი მტრები გახდნენ.

შესაძლოა, აქ თეიმურაზის სამეფო ნიჭის მიმართ რაიმე ეჭვი გაჩნდეს. იქნებ მართლაც ვერ გამოავლინა თეიმურაზმა სრული გონიერება, შეიძლება ამ შემთხვევაში თეიმურაზს არ ეპატიება, რომ აჰყვა მოენეებს, რომ მას, როგორც მეფეს მართლაც აკლია დავით აღმაშენებლის გენიალური შორსმჭვრეტელური ნიჭი, მოვლენებში სწრაფად გარკვევის უნარი. მაგრამ ვფიქრობ, აქაც არ შეიძლება თეიმურაზის მკაცრი განსჯა. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ დროსა და ვითარებას, ისტორიულ პიროვნებებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ამა თუ იმ თვისების გამოვლინებისათვის. რადიკალურად განსხვავებულია დავით აღმაშენებლისა და თეიმურაზ პირველის ეპოქები. დავითი ძლიერი პიროვნება იყო და მისმა პიროვნულმა თვისებებმა ბევრი სარგებლობა მოუტანა საქართველოს, მაგრამ დავით აღმაშენებლის პიროვნული ნიჭის გაფურჩქვნას შესაფერისი ნოყიერი ნიადაგი დახვდა. დავითის მეფობის დასაწყისში საქართველო გაერთიანების რელსებზე იდგა. დავითმა ხელი შეუწყო მის სწრაფ განვითარებას და შედეგმაც არ დააყოვნა. სულ სხვა ვითარებაა თეიმურაზ პირველის ეპოქაში. დავით აღმაშენებლის წინა ეპოქა ზეალმავლობის დასაწყისია, თეიმურაზის წინა ეპოქა კი სამსაუკუნოვანი დაცემისა და დაკნინების შედეგად დაშლილი

და გაეროანებულია. თეიმურაზის საზრუნავი და დაშლილი და განადგურებული, უფსკრულისაკენ დაშვებული საქართველოს ხელახალი აღორძინებაა. მოცემულ ვითარებაში უკვე ეპოქები განსხვავებული ამოცანების წინაშე აყენებს ქვეყნის ხელმძღვანელებს, თეიმურაზის ეპოქაში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხი იკავებს მთავარ ადგილს. თეიმურაზის წინაშე აღიმართება ვეებერთელა პრობლემა, როგორ შეჩერდეს ქართველი ხალხის გაბრწყნა-გადაგვარება და რა საშუალებებით უნდა მოხდეს ქართული სულიერი ენერგიის აღდგენა და კულტურის აღორძინება.

და, აი, ამ გზაზე შეეჯახა ერთმანეთს ორი დიდი პიროვნების თეიმურაზისა და გიორგი საакაძის სამომავლო ინტერესები; საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ორი გზა შეეჯახა ერთმანეთს და ამან კიდევ უფრო გაალრმავა კონფლიქტი მათ შორის, გათიშა პოლიტიკურად ორი ბუმბერაზი ადამიანის სავალი გზები. თეიმურაზმა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის ორიენტაცია აირჩია. მას გულწრფელად სწამდა, რომ საქართველოს მომავალი განადგურებისაგან მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან მტკიცე კავშირი თუ გადაარჩენდა.

გიორგი სააკაძე კი სულ სხვა რწმენის ადამიანია. იგი უარყოფს გარეშე სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის იდეას და მტკიცედ ადგას საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საკუთარი, ქართული ძალების გამოყენების გზას. ამ მიმართებით გ. სააკაძე იძულებულია, ზოგჯერ საიდუმლო შეთანაფიქრის განხორციელებისათვის დამპყრობელ ქვეყნებთან კომპრომისის გზა აირჩიოს. მან ძალიან კარგად იცის, რომ სპარსეთისა და ოსმალეთის ორიენტაცია კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს, მაგრამ მათთან კონტაქტები მას გამოყენებული აქვს ქართველთა საბრძოლო რაზმების მობილიზებისათვის. აი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეს ორი გზა არის ძირითადად ამ ორი დიდი ადამიანის უპირველესი საზრუნაი. ამ გზების მოგვარებისათვის სწირავენ ისინი ყოველივე პირადულს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძილშიაც კი არ სძინავთ ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულთა“. თავიანთი მისწრაფებებით თეიმურაზი და გ. სააკაძე, რალაცნაირი ფორმით წააგავენ ერეკლე მეორესა და სოლომონის პიროვნებას, საქართველოს თავისუფლების ძებნაში რომ განვლეს თავიანთი სიცოცხლე!

როგორც ჩანს, საჭირო შემთხვევაში თეიმურაზს არც დიპლომატიური ნიჭი აკლდა. ქართლ-კახეთი განუწყვეტელი ომებისაგან დაუძლურებული იყო, თვით თეიმურაზიც დალლილ-დაქანცული ჩანს, საჭიროა ცოტა ხნით მაინც მოისვენოს ქართველმა ხალხმა, რათა ძალები მოიკრიბოს, ახალი მოკავშირეები ნახოს და კვლავ საერთო ძალით შეუტიოს მტერს.

რაც შეეხება ძმათა მკვლელობის — ბაზალეთის ომს, — ყველაზე ტენდენციურად განწყობილი მკვლევარებიც კი არ მიიჩნევენ თეიმურაზს ამ ბრძოლების მოთავედ. მკვლევარი ჯ. ლვინჯილია უამრავი ფაქტის მოტანით და სამართლიანადაც ამტკიცებს, რომ გ. სააკაძე იძულებული იყო შექმნილი ვითარების გამო, ხან სპარსეთის სამსახურში მდგარიყო, ხან კი ოსმალეთისათვის გაეწია დახმარება და ეს ხდებოდა გ. სააკაძის მომავალი რწმენის აღსრულებისათვის. ეს ძალიან კარგი. მაგრამ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ მეფეც, როდესაც ხან ოსმალეთის სულთანს და ხან სპარსეთის შაჰს უახლოვდება, — სჩადის ამას დიპლომატური მიზნით, რატომ უნდა მივიჩნიოთ იგი ამაო თავის დამცირებად? მითუმეტეს, თეიმურაზს სპარსეთისათვის არასოდეს სასიკეთო საქმეები არ უკეთებია. იგი დარჩა ბოლომდე შაჰის დაუძინებელ მტრად; ხოლო ბაზალეთის ომების შემდეგ თეიმურაზის წერილი შაჰ-აბასისადმი გაპირობებული იყო არა საკუთარი დიდებისათვის, არამედ ის იყო ბრწყინვალე გონებრივი გამჭრიახობის გამო-

ვლინება. გ. ააკაძის ოსმალეთში გადასვლა და შაჰის მისდამი სიძულვილი, თეიმურაზმა ოსტატურად გამოიყენა საქართველოს, ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის.

პირველწყაროების მიხედვით, თეიმურაზ პირველი სრულებითაც არ ჩანს, როგორც ფეოდალთა შეხედულებების ბრმად მიმდევარი მოღვაწე. იგი შემდეგი პერიოდის, უფრო სწორად, უკანასკნელი პერიოდის მეცნიერებმა ჩათვალეს ასეთად. გ. ააკაძის წინააღმდეგ თეიმურაზი იძულებულია დაემორჩილოს „ძირძველი“ ფეოდალების გადაწყვეტილებას, რადგანაც მე-17 საუკუნის 1 ნახევრის საქართველოში „ძირძველი“ ფეოდალები ძალიან ძლიერები არიან, და სხვაგვარი გზა არც არსებობს მეფისათვის. თეიმურაზი რომ ბრმად არ ემორჩილება მსხვილ ფეოდალთა მოთხოვნილებებს, ეს ჩანს შემდეგი ისტორიული ფაქტიდან. ისტორიკოსთა ცნობით, ზურაბ ერისთავი დახასიათებულია, როგორც ვერაგი, ბოროტი ძალაუფლებისმოყვარული ფეოდალი, მაგრამ მას აქვს დადებითი თვისებებიც. მაგალითად იგი არის შესანიშნავი მეომარი. თეიმურაზი მასთან ერთად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ როდესაც მეფემ განიცადა მისი ვერაგობა, მისი არასწორი მიდრეკილება, განდიდებისაკენ სწრაფვა, არ დაინდო იგი როგორც ფეოდალი და ახლო ნათესავი. ვფიქრობთ, ეს თვისება ამაღლებს თეიმურაზს, როგორც დაკვირვებულ მეფეს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, როდესაც ქართველი მეცნიერები ასახელებენ ძლიერ მეფეებს: ვ. გორგასალს, დ. აღმაშენებელს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, დიმიტრი თავდადებულს, მათ გვერდით არ იხსნიებენ თეიმურაზ პირველს, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ფაქტი არასამართლიანია. ადამიანი, რომელიც ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის გასწირავს თავის ორ შვილს, მშობელ დედას, მთელ ოჯახს, და ბოლოს, თავისი პირადი სიცოცხლეც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიაქვს, ღირსია დიდებისა და თაყვანისცემისა. ღრმად მოხუცებული თეიმურაზი დარწმუნდა რა, რომ მეფის რუსეთს არ შეეძლო იმ პერიოდისათვის დახმარების ხელი გაეწვდინა საქართველოსათვის, ხოლო სხვა არავითარი საშუალება არ არსებობდა საქართველოს ხსნისა, გადაწყვიტა თავი დაედო სამშობლოსათვის. თავისი ფეხით ეახლა დაუძინებელ მტერს შაჰ-აბას მეორეს და შეურაცხყოფილმა სასტიკ წამებაში დალია თავისი მშფოთვარე სული.

ნოდარ გასილაძე

რით იწყება სამშობლო?

ჩვენი ეროვნის დიდი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში კომუნისტური აღზრდის სხვა მრავალ საკითხთან ერთად ერთ-ერთი საპატიო ადგილი მოსწავლეთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხს უჭირავს.

ვ. სუხომლინსკის ღრმად სწამდა აღზრდის სიკეთე და უძლეველობა, სწამდა, რომ გაცილებით უფრო ადვილია პავშვი შეაჩვიო სიკეთეს, ჩაუნერგო ადამიანური გრძნობები, ვიდრე დიდები გადააჩვიო ბოროტებას, როცა იგი უკვე სისხლსა და ხორცშია გამჯდარი. ამიტომ გამოცდილი პედაგოგი ცდილობდა ბავშვებში პატარაობიდანვე, სკოლაში შესვლის პირველი დღეებიდანვე ჩაენერგა უპირველესი გრძნობა — მშობლიური კუთხის, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული. ამ პრობლემას იგი განიხილავდა პიროვნების ფორმირების მთლიან პროცესთან მჭიდრო კავშირში. მისი გადაწრა სახელოვან პედაგოგს შეუძლებლად მიაჩნდა ადამიანში ჰუმანიზმის, ნებისყოფისა და ხა-

სიათის სიმტკიცის, გამბედაობისა და სიამაყის გრძნობის აღზრდის გარეშე.

ვ. სუხომლინსკი არაერთხელ მიუთითებდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა დარგის სპეციალისტი გამოვა ჩვენი აღსაზრდელი — ინჟინერი თუ პედაგოგი, ექიმი თუ აგრონომი, პოეტი თუ მხატვარი, მთავარია იყოს საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი მოქალაქე, სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი.

სკოლაში არ ისწავლება თითქმის არც ერთი საგანი, აღნიშნავს ვ. სუხომლინსკი, რომელსაც არ შეეძლოს მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ ამ მიზანს ემსახურება არა ერთი რომელიმე საგანი, გზა, ხერხი, საშუალება ან მეთოდი, არამედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემა და მათ შორის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ნებისმიერი საგნის მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი თუ სკოლის სხვა მუშაკი ყველაფერს უნდა აკეთებდეს, რათა ეროვნულ მოსწავლეს გამოუმუშაოს სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადების, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებისადმი მხარდაჭერისა და ჰეშმარიტი სოლიდარობის გრძნობა.

პატრიოტიზმის გრძნობა, ვ. სუხომლინსკის აზრით, სათავეს იღებს ოჯახიდან, დედის სიყვარულიდან. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე იმ კუთხესთან, იმ მხარესთან, სადაც დაიბადა და თავისი სიყრმის წლები გაატარა ადამიანმა. შემდგომ ეს გრძნობა კიდევ უფრო იზრდება და ფართოვდება მშობლიური ველ-მინდვრებიდან ჩვენი დიადი სამშობლოს ვრცელ ტრამალებამდე. როგორც პატარა ნაკადული შეიძლება წყალუხვ მდინარედ იქცეს, ისე ადამიანში დედის ტკბილ ნანასთან ერთად შესისხლხორცებული ეს გრძნობა შეიძლება გადაიქცეს პატრიოტიზმის ჰეშმარიტ გრძნობად თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ დროზე იზრუნებენ როგორც მშობლები, ისე აღმზრდელ-მასწავლებლები.

ვ. სუხომლინსკი მოითხოვდა ბავშვებში, უწინარეს ყოვლისა, კეთილი გრძნობების გალვივებას. „კეთილი გრძნობები სინდისის ერთგული დარაჯია“, — ამბობდა იგი. ეს გრძნობები ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების მიმართ, განსაკუთრებით კი დედის მიმართ. წიგნის კულტთან ერთად, ვ. სუხომლინსკიმ სკოლაში გააღვივა დედის კულტი. „დედა, გახსოვდეს, რომ შენ უპირველესი აღმზრდელი ხარ. შენზეა დამოკიდებული საზოგადოების მომავალი“, „დედის გარეშე არ არსებობს არც პოეტი და არც გმირი“. ასეთი ლოზუნგებითა და მოწოდებებით იყო აჭრელებული სკოლის კედლები.

დედის სიყვარული ბავშვმა უნდა გამოხატოს მისდამი ზრუნვაში, ვინაიდან იგი სხვის უნაზეს განცდებს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა თვითონ აკეთებს რაიმეს ადამიანთა ბედნიერების, სიხარულისა და სულიერი სიმშვიდისადმი. ამ ასაკში გული განსაკუთრებით მგრძნობიარეა ადამიანური ტანჯვის, მწუხარებისა და მარტოობის მიმართ. „დაე ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავად გამხდარი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე სხვისმა ტკივილმა აღავსოს მისი გულის ყოველი კუნჭული“, — გვასწავლის ვასილ სუხომლინსკი.

ასე უნდა გადავუშალოთ ბავშვს ნორჩი გული სამშობლოსადმი. შემდეგ უნდა გამოვუმუშაოთ მას ბუნებაში მშვენიერების დანახვის უნარი. სწორედ ამ მიზნით ეწყობოდა პავლიშის საშუალო სკოლაში მრავალრიცხოვანი ექსკურსიები ბუნებაში. ხშირად ექსკურსია-გასეირნებები იმართებოდა ერთსა და იმავე ადგილას წელიწადის სხვადასხვა დროს, რათა ბავშვებს შეემჩნიათ გარემოში მომხდარი ცვლილებები. ასე დადიოდნენ ბავშვები თავიანთ საყვარელ მასწავლებელთან ერთად ტყეში, მინდორში, მდინარის პირას, სადაც ისინი უსმენდნენ ბუნების მუსიკას — ხეთა შრიალს, ჩიტების ჭიკჭიკს, კალიების კრუტუნს, აკვირდებოდნენ მზის ამოსვლასა და ჩასვლას, ვარსკვლავე-

ბის ციმციმს, ჭიანჭველების ფუსფუსს, აგროვებდნენ ლამაზ-ლამაზ ფოთლებს. შემდეგ თავიანთი შთაბეჭდილებები და განცდები გადაჰქონდათ სახატავ რვეულებში ან პატარ-პატარა, მინიატურულ ზღაპრებსა და მოთხრობებში.

ერთხელ შეჰყავს პედაგოგს აღსაზრდელები სასკოლო ბაღში, სადაც სხვადასხვა ფერის ყვავილებია გაშლილი. პატარები აღფრთოვანებული არიან ყვავილთა სიუხვით: „რა ლამაზი ყვავილებია“, „რა მშვენიერია“, — გაიძახიან ისინი. აი, ერთმა ბიჭმა მოწყვიტა ყვავილი, შემდეგ მეორემ, მესამემ და უკვე რამდენიმე წუთში მდელო საცოდავი სანახავი გახდა, პედაგოგი კი განზე დგას, დუმს. „დაე, ეს დღე გაკვეთილი იყოს მათთვის“, — ფიქრობს იგი. შემდეგ ის მიმართავს პატარებს:

— აბა, ახლა შეხედეთ, ბავშვებო, მოგწონთ ეს კუთხე? — მოგწონთ ყვავილებდაწყვეტილი, გაშიშვლებული ღეროები? მშვენიერების შექმნა ძნელია, მისი მოსპობა კი ადვილი. ეს ყვავილები პიონერებმა დარგეს... ისინი მოვლენ აქ მშვენიერებით დასატკბობად. რა დახვდებათ მათ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ადამიანებს შორის ცხოვრობთ. ყველას სურს მშვენიერებით დატკბობა. ჩვენს სკოლაში ბევრი ყვავილი ხარობს, მაგრამ რა გამოვა თუ თვითეული მოსწავლე მოსწყვეტს თუნდაც თითო ყვავილს, არაფერიც არ დარჩება. ადამიანები ვერაფრით ვერ დატკბებიან. საჭიროა მშვენიერების შექმნა და არა მისი მოსპობა, განიავება... ათი ყვავილი უნდა დარგო, რომ ერთი მოწყვიტო“.

მშობლიური ბუნების სილამაზე ბავშვებში ბადებს ცოცხალი არსებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას. ამას ხელს უწყობს ასევე კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა, რომელშიც გადმოცემულია მშობლიური ბუნების სილამაზე. საერთოდ, ვ. სუხომლინსკი მომავალ მოქალაქეთა აღზრდის საქმეში ძალზე დიდ როლს ანიჭებდა წიგნს, მხატვრულ ლიტერატურას. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველ მოსწავლეს აიძულებდა შეექმნა საკუთარი ბიბლიოთეკა.

მოსწავლეებში სამშობლოს სიყვარულის გამომუშავების მიზნით პავლიშის საშუალო სკოლაში, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, წარმატებით გამოიყენებოდა ასევე საინტერესო საუბრები. მასწავლებლის ნათელი, ემოციური სიტყვა ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. მის გარეშე, პედაგოგის აზრით, შეუძლებელია აღსაზრდელში ზნეობრივი გრძნობების გაღვივება. ამასთან დიდი პედაგოგი გვაფრთხილებდა, რომ მასწავლებლის განკარგულებაში მყოფი „სიტყვა არის არა მარტო ყველაზე მძლავრი, არამედ ასევე ყველაზე რთული იარაღი“. იგი უნდა იყოს გულში ჩამწვდომი და არა მშრალი, უფაქტო და უსახო. ბავშვებს უნდა ვესაუბროთ მშობლიური სოფლის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკისა და შემდეგ საბჭოთა კავშირის უმშვენიერესი ბუნების, მისი წყალუხვი მდინარეებისა და თვალწარმტაცი ზღვების, ქალაქებისა და კურორტების, ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ, რათა გაუღვივოთ მათში კაცთიერთა სიამაყის გრძნობა. როცა მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს თემას „ზამთარი“, იგი უნდა ესაუბროს მოსწავლეებს არა მარტო ადგილობრივ ზამთარზე, არამედ უნდა განუმარტოს მათ, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდია, რომ ზამთარი ყველგან ერთსა და იმავე დროს არ იწყება. ნათქვამის საილუსტრაციოდ უნდა მოვიშველიოთ სურათები, დიაფილმები, რომლებშიც ნაჩვენები იქნება ზამთარი ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რესპუბლიკაში და ციმბირში. ამ თემაზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ პატარები აზროვნებენ კონკრეტული სახეებით. ამიტომ საუბრისას უნდა მოვიშველიოთ ისეთი ფაქტები, რომლებიც მოახდენენ ძლიერ ზეგავლენას მოსწავლეთა გრძნობებზე.

ექსკურსიებისა და საუბრების გარდა, სკოლაში ფართოდ გამოიყენებოდა დაუსწრებელი მოგზაურობა. მოსწავლეებმა პირველი კლასიდანვე კარგად იცოდნენ, რომ

დედამიწა უზარმაზარი სფეროა, რომელიც მზისკენ ხან ერთი მხრით შემობრუნდება და ხან მეორეთი, რომ ერთი და იმავე დროს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში შეიძლება იყოს პაპანაქება ზაფხულიცა და მკაცრი ზამთარიც, დღეც და ღამეც. მეორე კლასიდან კი ისინი იწყებდნენ „მოგზაურობას“ დედამიწის გარშემო. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ვ. სუხომლინსკი: „ბავშვები სხედან „მწვანე კლასში“, მათ წინ ხელოვნური „მზით“ განათებული დიდი გლობუსი დგას. „დედამიწა“ ტრიალებს „მზის“ გარშემო, „მთვარე“ — „მიწის“ გარშემო. „აი, ბავშვებო, — მივმართავ პატარებს, — ჩვენი სამშობლოს სივრცეები. ჩვენ ვცხოვრობთ მისი დასავლეთი საზღვრის მახლობლად. მოდით, გავემგზავროთ შორს, აღმოსავლეთით, ვეწვიოთ ქალაქებსა და სოფლებს, ვნახოთ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი“. შემდეგ პედაგოგი უყვება ბავშვებს ციმბირის თვალუწვდენელი ველების, მინდვრებისა და მდინარეების შესახებ, რომლებიც მათ გზადაგზა ხვდებათ. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში ბავშვები ხედავენ რაღაც ახალს, თავისებურს. გადის მოგზაურობის რამდენიმე დღე და ისინი უახლოვდებიან ვოლგას. შემდეგ მათ წინ იშლება მდიდარი ურალი თავისი ამოუწურავი წიაღისეული სიმდიდრით, იდუმალი ტაიგა, ციმბირის მძლავრი მდინარეები , ჩრდილოეთში — მშვენიერი ტუნდრა და დიდებული ყინულოვანი ოკეანე; სამხრეთში პატარები ტკბებიან კავკასიონის მუდმივი თოვლით დაფარული მთებით;

ბავშვები სუნთქვაშეკრული უსმენენ მასწავლებელს ლენინგრადის, სტალინგრადის, კურსკის, სევასტოპოლის გმირული ბრძოლების შესახებ. საზღვარგარეთის ქვეყნებში „მოგზაურობისას“ მოსწავლეები ეცნობიან კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრებას.

ვ. სუხომლინსკი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბავშვებისათვის ძვირფასი გაეხადა ყოველივე ის, რაც ცეცხლითა და მახვილით, წვით, ოფლითა და ღაგვითაა მოპოვებული მამა-პაპათა მიერ. ყოველი მოზარდი, ბაბუკი თუ ქალიშვილი, გვასწავლის გამოცდილი პედაგოგი, კარგად უნდა ჩაუფიქრდეს თავის საქციელს, უნდა გაერკვეს იმაში, თუ „ვისი გორისაა“, როგორი სახელოვანი წარსულის მემკვიდრეა იგი. მათთვის ზნეობრივ იდეალად იქცნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ბედნიერება სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში პოვეს. ამ მიზნით აცნობდა პედაგოგი თავის აღსაზრდელებს იმ გმირთა საფლავებსა და ბიოგრაფიებს, ვინც თავი გასწირა სამშობლოსა და ხალხისათვის. ბავშვები იგებენ, რომ მაღლობზე, რომლის ცქერითაც ისინი ეს-ესაა ტკბებოდნენ, განისვენებს საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა თავის მშობლიურ მიწას ფაშისტური ურდოებისაგან. პატარები ფართოდ გახელილი თვალებით შესცქერიან სამყაროს, თითქოს პირველად ხედავენ მას. მათი გული ამ წუთში ღიაა კეთილშობილური, სკაცობრიო იდეებისათვის. ბავშვებს უჩნდებათ სურვილი, რაც შეიძლება მეტი იცოდნენ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის შესახებ: სად დაიბადა, რომელ სკოლაში სწავლობდა, ცოცხალია თუ არა მისი დედა; სურთ თავიანთი კეთილი საქმეებითა და ზრუნვით შეუმსუბუქონ მწუხარება დედას.

ასე და ამრიგად, მშობლიური მიწის ერთი გოჯა მიწა ბავშვებისათვის იქცევა გმირობისა და თავდადების სიმბოლოდ, კეთილი გრძნობებისა და საქმეების საწინდრად. პედაგოგი უჩვენებს, უხსნის, უყვება ბავშვებს, რომ დღეს მათ არ ექნებოდათ ეს ცხოვრება, რომ ათასობით საბჭოთა ადამიანს თავი არ დაედო დიდ სამამულო ომში ვერაგ. მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, „ცხრამეტი წლის ჭაბუკს ალექსანდრე მატროსოვს მკერდით რომ არ დაეფარა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი, მფრინავ ნიკოლოზ გასტელოს თავისი ალმოდებული თვითმფრინავი რომ არ ჩაეგდო ფაშისტების სატანკო კოლონაში, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს, კომკავშირელ ზოია კოსმოდემიანს-

კაიას სახრჩობელასაკენ მიმავალს რომ არ დაეძახა — „სიკვდილი ფაშისტებს!“ ვ. სუხომლინსკი უფროსკლასელებს ხშირად აწერინებდა თხზულებებს თემაზე: „საიდან იწყება სამშობლო?“

სამშობლოს შესახებ ჩვენი სიტყვები მოსწავლეთათვის ლიტონ ფრაზებად რომ არ დარჩეს, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, საჭიროა ვიმოქმედოთ მათ გრძნობებზე, რამეთუ, „პატრიოტის აღზრდა ეს, უპირველეს ყოვლისა, სულის აღზრდაა“.

მოსწავლეთა სულის გაფაქიზების, მათში ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვივების მიზნით ვ. სუხომლინსკი ასვედრებდა თავის აღსაზრდელებს პარტიზანებს, რომელთა ოჯახები ცეცხლს მისცეს ფაშისტებმა, დამწუხრებულ დედებს, რომელთა შვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, მარტოდმარტო დარჩენილ მოხუცებს და ა. შ.

სოციალისტური პატრიოტიზმის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის მთავარ საშუალებად ვ. სუხომლინსკის მიაჩნდა მათში მოვალეობის გრძნობის აღზრდა. მისი აზრით იყო პატრიოტი, ნიშნავს გიყვარდეს შენი სამშობლო არა მარტო ისეთი, როგორიც ჩვენამდე მოიტანეს ჩვენმა მამებმა და პაპებმა, არამედ იბრძოდე მისი შემდგომი განვითარებისა და ძლიერებისათვის. მოსწავლე, რომელიც სკოლის მერხზე ზის, მხოლოდ მაშინ იქცევა ნამდვილ მოქალაქედ, ჭეშმარიტ პატრიოტად, თუ მას კარგად აქვს გააზრებული თავისი მომავალი, თუ იგი ნათლად ხედავს იმ გზას, რომლითაც უნდა ემსახუროს სამშობლოს, რათა ახალ სიმაღლეზე აიყვანოს იგი. „კომუნისტურ საზოგადოებაში ჩვენი ბავშვები უნდა შევიდნენ არა როგორც კარგი ოპერის მსმენელები, ან როგორც ბედნიერი საოჯახო წვეულების სტუმრები , არამედ როგორც ამ საზოგადოების მშენებლები“.

დიდი პედაგოგი შთააგონებდა თავის აღსაზრდელებს, რომ ისინი არიან ბატონ-პატრონი იმ მიწისა, რომელიც მამა-პაპათა ძვლებითა და ოფლითაა გაპოხიერებული. ამიტომ ისინი ყველაფერს უნდა აკეთებდნენ იმისათვის, რათა ჩვენი სამშობლო იყოს კიდევ უფრო მდიდარი, ლამაზი და ძლიერი. ყოველმა აღსაზრდელმა, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, ბავშვობის, განსაკუთრებით კი ყრმობის წლებში უნდა პოვოს საკუთარი თავი შრომაში, მიაღწიოს გარკვეულ წარმატებებს თავის საქმიანობაში, ვინაიდან ჭეშმარიტი პატრიოტისათვის მარტო რწმენა და გრძნობები არაა საკმარისი, არამედ საჭიროა მათი შესაბამისი მოქმედება, სიტყვის საქმედ ქცევა. არ შეიძლება, მაგალითად, ამაყობდე შენი მშობლიური ქვეყნის ლამაზი მთა-ველით, სიტყვით ქადაგებდე სამშობლოს სიყვარულს და არაფერს აკეთებდე მისი კეთილდღეობისათვის. „იყო პატრიოტი,— წერდა ნ. კრუპსკაია, — ეს ნიშნავს მონაწილეობდე გარემო ცხოვრების გაუმჯობესებაში, ფიქრობდე იმის შესახებ, თუ როგორ მოიმოქმედო ეს“. ნამდვილი პატრიოტი მხოლოდ ის არის, ვინც ყამირს ტეხს, ნერგებს ახარებს, ფოლადს ადნობს, გაჰყავს გაუკვალავი გზები, ხნავს და თესავს, — ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს. იმ მოსწავლეებს, ვინც სკოლას ამთავრებს და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასასვლელად ემზადება, ვ. სუხომლინსკი არიგებდა: „თექვსმეტი წლისამ შენ უკვე შეგნებულად უნდა დაუსვა თავს კითხვა: რისთვის ვცხოვრობ ამ ქვეყნად? და ამ კითხვაზე გასცე მოქალაქეს პასუხი.

თექვსმეტი წლისა, უკან რომ მოიხედავ, უკვე უნდა დაინახო შენი შრომის ნაყოფი, შეაჯამო შენი ცხოვრების პირველი შედეგი“.

ავითარებდა რა დიდი საბჭოთა პედაგოგის ა. მაკარენკოს იდეებს, ვ. სუხომლინსკიმ შეიმუშავა აღზრდის ერთიანი სისტემა, რომელშიც შრომას წამყვანი ადგილი უჭირავს. მისი აღსაზრდელები აშენებდნენ საყვავილეს, გამოჰყავდათ ნაყოფისმომცემ ხეთა ნერგები, პკურნალობდნენ დაჭრილ ფრინველებსა და ცხოველებს, აშენებდნენ

„დელის ბაღს“, მასში მიღებული პირველი ნაყოფი კი მიჰქონდათ დედასთან, რათა ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინათ ის ზრუნვა, რასაც იგი მათდამი იჩენდა. ვინაიდან დიდ პედაგოგს ღრმად სწამდა, რომ „ადამიანურობას ვერ აღვზრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა“.

ბავშვებში შრომისა და მშრომელი ადამიანისადმი სიყვარულის გამომუშავების მიზნით ვ. სუხომლინსკი ახვედრებდა თავის აღსაზრდელებს იმ ადამიანებს, ვინც თავი გამოიჩინა საზოგადოებისათვის საკეთილდღეო შრომაში; ასწავლიდა ბავშვებს, რომ სიცოცხლის აზრი შრომაშია, რომ არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და იყო საზოგადოებისაგან თავისუფალი, ზრუნავდე მხოლოდ საკუთარ თავზე.

ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შეჰყავდა დიდ პედაგოგს თავისი აღსაზრდელები მოვალეობის ლაბირინთებში. ასე ეყრებოდა საფუძველი ნორჩთა გულებში იმ წმინდა გრძნობას, რასაც სამშობლოსა და ხალხის ჰეშმარიტი სიყვარული ჰქვია.

გმადლობთ, ალმზრდელო!

ახლა, როდესაც ბევრი იწერება სასკოლო რეფორმაზე, განსაკუთრებული როლი ენიჭება კადრებს. ჩვენს ქალაქს შესანიშნავი სკოლის დირექტორები, ნიჭიერი ორგანიზატორები ჰყავს, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს სახალხო განათლების განვითარებას და წარუშლელი კვალი დასტოვეს აღზრდილთა გულებში. სიამაყის გრძნობით შეიძლება გავიხსენოთ 20-30-იანი წლების დირექტორები: ალექსანდრე მგელაძე, მიხეილ კვაჭაძე, ნიკო ჯაფელი, ალექსანდრე ქინქლაძე, დიმიტრი კანონიდი, ზინაიდა კიპაროსისი, სკოლის მართვის საუკეთესო ტრადიციები მათ გადასცეს შემდგომი თაობის დირექტორებს: სილოვან დათუნაიშვილს, გრიგოლ ლორთქიფანიძეს, ნადია და თამარ მაჭუტაძეებს, ქეთევან ხალვაშს, ოლღა სინიცინას, სერაფიონ ნაცვლიშვილს, დავით მახარაძეს, მერაბ დიასამიძეს, ლევან ცეცხლაძეს, ალექსანდრე ბექაიას, თამარ დოლიძესა და მრავალ სხვას. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამ ხელმძღვანელების თავდადებულმა და უმწიკვლო საქმიანობამ ჩვენს თვალწინ ჩაიარა და დიდი ზეგავლენა მოახდინა თითოეული ჩვენთაგანის, როგორც სახალხო განათლების მუშაკის, ფორმირებაზე.

ამ წერილში მოგითხრობთ ერთ ხელმძღვანელზე, რომელმაც მთელი თავისი ძალა, ნიჭი, უნარი, შესაძლებლობა სკოლასა და ბავშვებს უძღვნა.

1941 წლის ივნისი... თურქესტან-ციმბირის რკინიგზის შორეული მიყრუებული სადგური — სარი-ოზეკი. სტეპი. მტვერი. ცხელი მზე. გამხდარი, შეუხედავი გოგონა — ბავშვთა ბაღის ხელმძღვანელი, სადაც 150 აღსაზრდელია და 28 თანამშრომელი. უძილო ღამეები და ცრემლები... ასე შეაბიჯა დამოუკიდებელ ცხოვრებაში ნადეჟდა სიმონის ასულმა შურმა, დღეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე მიუძღვნა ჩვენი ბავშვების აღზრდას, აქედან 36 წელი ბათუმის № 11 საშუალო სკოლის დირექტორია.

ყველაფერი პირველი კლასიდან დაიწყო, სადაც გოგონა თანაკლასელებზე ერთი წლით ადრე მივიდა. ყველანი ჩარიცხეს, ის კი არა, პატარა ხარო. მაინც დადიოდა სკოლაში, ყველა დავალებას საოცარი გულმოდგინებით ასრულებდა. მისი პირველი მასწავლებელი დ. ლიხაჩოვი, ბოლოსდაბოლოს, იძულებული შეიქნა გოგონას სახელი და გვარი სასკოლო ჟურნალში ჩაეწერა. ეს იყო მასწავლებლად გახდომის ოცნების დასაწყისი.

შემდეგ ნადეჟდა შური წარჩინებით ამთავრებს ოროლის პედსასწავლებელს და ნ. კრუპსკაიას სახელობის ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხვის უფლებას იმსახურებს. აქ ბავშვებთან მეთოდური მუშაობის დასაუფლებლად შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა. ინსტიტუტში სწავლის ½ წლის მანძილზე საშეფო სკოლის პიონერხელმძღვანელად მუშაობდა.

სამი წელი იმუშავა სარი-ოზეკში, შემდეგ კი, ოჯახური პირობების გამო, საცხოვრებლად ქედაში გადავიდა და მახუნცეთის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა.

აღვილი წარმოსადგენია ახალგაზრდა მასწავლებლის (თითქმის მისი მოსწავლეების თანატოლის) მდგომარეობა, როდესაც ქართული ენა არ იცოდა და ქართული სკოლის ზღურბლს გადააბიჯა. მხოლოდ დიდი მონდომების, გულმოდგინებისა და სიბეჯითის შედეგად მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის დამყარდა ურთიერთნდობა და პატივისცემა.

მახუნცეთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შორის არიან კონსტრუქტორები და მეცნიერები, ექიმები და პედაგოგები, ოფიცრები და ჟურნალისტები, მუშები და მეზღვაურები. როცა 1950 წლის გამოშვება საშუალო სკოლის დამთავრების 25 წლის თავს აღნიშნავდა, პირველი მოსაწვევი ბარათი ნადეჟდა შურს — კლასის ხელმძღვანელსა და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს — გაუგზავნეს. ყველანი შეიკრიბნენ ძველი, პატარა სკოლის ადგილას, შემდეგ კი გადაინაცვლეს მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის ახალ შენობაში. ფრთხილად დადეს ყოფილი კლასის ხელმძღვანელის წინ სასკოლო ჟურნალი. იგი ქართულად იყო შევსებული, ნადეჟდა სიმონის ასულმა ახალგაზრდებს სიამაყით უთხრა: „მე რომ თავისუფლად ვკითხულობ ქართულად, მადლობა თქვენ გეკუთვნით, რადგან თქვენ მასწავლეთ ქართული ენა“. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ 1961 წელს, როდესაც სადიპლომო ნაშრომს ლენინგრადის უნივერსიტეტში იცავდა, ნაშრომის თემად სიმონ ჩიქოვანის პოეზია აირჩია.

1950 წელს ნადეჟდა შური ინიშნება მასინჯაურის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. აქ დაიწყო მუშაობა არა მარტო ბავშვებთან, არამედ მასწავლებლებთანაც, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისი პედაგოგიური მუშაობის სტაჟი ნადეჟდა სიმონის ასულის ასაკს ემთხვეოდა. კარგ მასწავლებლებზე ნადეჟდა სიმონის ასულს ბედი სწყალობდა. აქ მისი მასწავლებელი იყო სკოლის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი ფოკა ცქვიტინიძე. სწორედ მას უმადლის მეთოდური მუშაობის ცოდნას, მასწავლებლებთან საქმიანი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მასინჯაურის სკოლაში ორი წლის მუშაობის პერიოდი ნადეჟდა შურისათვის იქცა მეთოდური სწავლების სკოლად. 1953 წელს დაინიშნა ქ. ბათუმის № 4 ქალთა საშუალო სკოლის (ამჟამად № 11 სკოლა) დირექტორად, სადაც ამჟამადაც მუშაობს.

განათლების ასპარეზზე მოღვაწეობის ყოველი ეტაპი ნადეჟდა სიმონის ასულისათვის თავისებური სირთულეებით ხასიათდება. დირექტორის თანამდებობას კიდევ უფრო მეტი სიძნელეები ახლავს, საჭიროა არა მარტო მოსწავლეების მასწავლებელი იყო, არამედ — მასწავლებელთა მასწავლებელიც. ეს კი საოცრად რთულია, მაგრამ საქმე თავისას ითხოვს და ნადეჟდა სიმონის ასული ძალასა და ენერგიას არ ზოგავს. სკოლის მეურნეობა ღარიბი დახვდა, თითქმის არავითარი აღჭურვილობა არ იყო, არც კაბინეტები, თვალსაჩინოება, შენობა — პატარა, ერთსართულიანი, სულ 8 სასკოლო ოთახით, არ იყო სპორტდარბაზი... დაიწყო სხვადასხვა ინსტანციებში სიარული მეორე სართულის დასაშენებლად. გარჯა წარმატებით დაგვირგვინდა. საგრძნობლად გაიზარ-

და ამ დროისათვის მოსწავლეთა კონტინგენტი, შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობის პირობები.

ნადეჟდა სიმონის ასულის სკოლის კურსდამთავრებულებიდან მარტო ბათუმში მუშაობს 14 ექიმი, სამ ათეულზე მეტი მასწავლებელი, ბევრია ინჟინერი, მეზღვაური, მუშა და სხვა პროფესიის ადამიანი. ყველა ისინი მადლიერებით ლაპარაკობენ თავიანთ დირექტორზე.

ორიოდე სიტყვა ნადეჟდა შურის საზოგადოებრივ საქმიანობაზე. 1957 წლიდან იგი სკკპ წევრია, 30 წელზე მეტია პროპაგანდისტია. არაერთხელ აირჩიეს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ღეპუტატად. საუკუნის მეოთხედია ნაყოფიერად ხელმძღვანელობს რუსული ენისა და ლიტერატურის საქალაქო მეთოდურ სექციას, წარმატებით უთავსებს ერთმანეთს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და ქ. ბათუმის განათლების განყოფილების შტატგარეშე ინსპექტორის მოვალეობას.

ბევრ წერილს ღებულობს ნადეჟდა სიმონის ასული თავისი აღსაზრდელებისაგან. მათში ისინი მადლობას უხდიან აღმზრდელს სიკეთისა და მრავალწლიანი პედაგოგიური შრომისათვის. უსურვებენ სიხარულს, ჯანის სიმრთელეს. ამ კეთილ სურვილებს უერთდება ქალაქის მთელი პედაგოგიური საზოგადოება.

ზურაბ კომახიძე,

ქ. ბათუმის განათლების განყოფილების გამგე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზაზა ხალვაში

სამოცდაათიანი წლების ქართული რომანის ეთიკური ასპექტი

სამოცდაათიანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებად, ყველა ნიშნის მიხედვით, ღირებულების ცენტრის გადაადგილება უნდა ჩაითვალოს, — მატერიალური სფეროდან მორალური შემეცნების სფეროში. პიროვნების დამამდაბლებელი მისწრაფებების აღზევებამ, შედარებითი სიმშვიდის, თვითკმაყოფილების ატმოსფერომ ამ პერიოდში საშუალება შექმნა ადამიანის ყველაზე მაღალი მორალური ღირებულების, — რწმენის რღვევა დაწყებულიყო, რაც საზოგადოების თვითშემეცნებას მოდუნებით ემუქრებოდა. შექმნილ ვითარებაში ყურადღების სიმძიმე ზნეობრივ განწმენდაზე, ზნეობრივ გადარჩენაზე, ზნეობრივ ღირებულებათა ღრმა, ობიექტურ შეფასებაზე უნდა გადანაცვლებულიყო.

ამ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ეროვნული ზნეობის გააზრების მოთხოვნილება. როგორია ჩვენი ეთიკური მსოფლმხედველობა? — მკაცრად დასვა ეს პრობლემატური

და საყურადღებო კითხვა ჩვენმა სინამდვილემ.. მაგრამ, ვიდრე პასუხი გაეცემოდა მას, შემეცნების ის ფორმა, რომელსაც მორალური ეწოდება, სერიოზულ გადახედვას და ანალიზს საჭიროებდა. ამგვარ ფუნქციას ყველა შეგნებულ, მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ლიტერატურა კისრულობს და ქართულ სინამდვილეშიც ეს უმძიმესი მისია მხატვრულმა სიტყვამ ითავა. მისი პირველი ნაბიჯები გაუბედავი იყო, მაგრამ სიმართლის თქმის სურვილი მაინც იგრძნობოდა და ეს მისწრაფება ყველაფერს სჭარბობდა, რაც თავის მხრივ, რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას მოასწავებდა.

დგება ხანა, როცა დრო თითქოს ჩერდება, ყველაფერი მყარდება, ლპობა ეპარება ყოველდღეს და ყველგან თვითკმაყოფილებს ისადგურებს.

მაგრამ ადამიანის აზროვნება მაინც პოულობს იმპულსს შექმნილი ვითარების ღრმა შემეცნებისათვის. და, აი ამის შემდეგ დრო თითქოს კვლავ ამოძრავდა, ცხოვრებას ერთგვარი გამოღვიძების, გააქტიურების ტენდენცია მოერია.

რადგან წინა წლების უძრაობამ განვითარება თითქოს შეწყვიტა და მიღწეულმა ამოწურა თავისთავი, საჭირო გახდა ახალი სიტყვა, ახალი მსოფლშეგრძნების აღმოჩენა, საგანთა და მოვლენათა ახლებური ხედვა.

და აი. ლიტერატურაში, ხელოვნებაში მოვიდა თაობა, რომელსაც ხშირად „სამოციანელებს" უწოდებენ და რომელმაც კიდევაც წამოიწყო მოძრაობა ქართული საბჭოთა პროზის, განსაკუთრებით რომანის, თვისობრივი გადახალისებისათვის.

ამ სიახლესთან ერთად თემატური და შინაარსობრივი მრავალფეროვნებაც თანდათან გამოიკვეთა, რამაც, თავის მხრივ, მდიდარი ნიადაგი შექმნა ლიტერატურის ახლებური კვლევისათვის, არა მხოლოდ თეორიული და ისტორიული თვალთახედვით, არამედ, საერთოდ, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების თვალსაზრისითაც.

ალნიშნული ათწლეულის რომანი, უპირველესად, ხასიათდება ადამიანურის ყოველგვარი გამოვლინებისადმი აქტიური განცდით. ე. ი. ობიექტურად არსებული რეალობა წარმოადგენს არა მასალას გარკვეული თვალსაზრისის საილუსტრაციოდ, არამედ უმთავრეს საფუძველს შემოქმედებითი თვალსაზრისის რეალურად განხორციელებისათვის.

მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: სამი სხვადასხვა რომანი — „დათა თუთაშხია", „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „აქტიური მზის წელიწადი" სამი სხვადასხვა ეპოქის შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ ყოველ მათგანში მაინც ჩანს ერთიანობის კვალი, — საზოგადოებრივი ზნეობის გადაფასების ცდა.

რა იგულისხმება ზნეობის გადაფასებაში?

გადაფასებაში, როგორც წესი, იგულისხმება ახალი ღირებულების შექმნა. ზნეობრივი სინამდვილისათვის კი ახალი ღირებულება სამართლიანობაა, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პოზიციიდან. სამართლიანობას ეძებს სამივე რომანის ყველა გმირი, რა თქმა უნდა, თავისებურად, ამასთანავე მნიშვნელოვან პუნქტად გვესახება სამივეგან როგორც მხატვრული, ისე ზნეობრივი ასპექტით. მითოლოგიური სინამდვილის სილრმეებშიც, რევოლუციური მოლოდინის დროშიც, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშიც სამართლიანობისათვის ბრძოლა იყო და რჩება, როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული პიროვნებების მთავარ ამოცანად, მამოძრავებელ ძალად, სასიცოცხლო ენერგიად, შემოქმედებითი აზრის მიზანდასახულობად.

სწორედ ამ ბრძოლაში მყლავნდება, ჩვენი აზრით, სამოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა რომანის ერთერთი ყველაზე გადამწყვეტი თავისებურება — სინამდვილის აქტიური განცდა.

სინამდვილის სიმართლე არ გამორიცხავს სინამდვილის ზნეობრივ ასახვას. პირიქით, მხატვრულ სისტემაში სიმართლე არის როგორც მხატვრული, ისე ზნეობრივი.

შემოქმედის ზნეობრივი დამოკიდებულებაც სიმართლის ობიექტურობაშია (ტიბუ-
რობის პრობლემა).

ეს დანიშნულება, პირველ რიგში, ფიქსირდება ინდივიდუალურ (ავტორისეულ) ხედვასა და დამოკიდებულებაში გარე სამყაროსა და მისი მოვლენების მიმართ. ამ მოძრაობის, მოქმედების მთავარი ალმასრულებელი კი ადამიანია. სოლო ცხოვრების ფსიქოლოგიური, ანდა სოციალური კუთხეებით კვლევა მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ იქითკენ, რომ „ადამიანში ადამიანი იპოვოს", როგორც დოსტოევსკი იტყოდა. ეს ფუნქცია ლიტერატურისა თვითგანვე მისი ჰუმანისტური, ადამიანისადმი სიყვარულის პათოსით არის გამსჭვალული.

როგორია თანამედროვე ადამიანის შინაგანი ბუნება და როგორ აფასებს მას სამოცდაათიანი წლების ქართული რომანისტიკა?

მიგვაჩნია, რომ ეს კითხვა ჰუმანისტურ პრობლემათა შორის უპირველესი მსჯელობის საგანია.

როცა ვამბობთ „თანამედროვე ადამიანი", ჟანრობრივი და თემატური სხვადასხვაობის [illegible] ალიანსური ეპოქის ყველა რომანში იგი წარმოდგენილი, როგორც მთავარი და ამოსავალი ცენტრი, მნიშვნელობა არა აქვს, თანამედროვე ცხოვრების ამსახველ, თუ ისტორიული წარსულის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე.

იმის თქმა, რომ ქართულმა რომანმა რაიმე ახლებური ინტერპრეტაცია მოგვაწოდა ადამიანის კონცეფციისა, არ იქნება მართალი. იგი ამ შემთხვევაში ტრადიციულ საფუძველზე დგას და ალრმავებს მხოლოდ იმას, რაც უკვე მოპოვებულია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი თვისობრივად ახალ ფორმებს სწევს წინა პლანზე.

ჰუმანიზმი არ წარმოადგენს კაცთმოყვარეობის აბსტრაქტულ თეორიას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მხატვრულ სიტყვას, რადგან ეს სიტყვა ყოველთვის გარკვეული აქტიური პოზიციის დამამკვიდრებლის როლში გამოდის. რეალისტური პოზის მიმართულება ამ შემთხვევაში ურყევია: იპოვოს ადამიანში ადამიანური და განსაზღვროს ამ ადამიანურობის როგორც ისტორიული მოცემულობა, ისე მისი ისტორიული პერსპექტივები.

ავტორები არათუ იმეორებენ და იყენებენ უკვე მიგნებულს, არამედ ცდილობენ აღმოაჩინონ მისი ახალი მხატვრული შესაძლებლობები. სოლო რეალისტური მეთოდი იმთავითვე ჰუმანისტურ ნიადაგზეა აღმოცენებული და სინამდვილის შეუფერადებელ ასახვას გულისხმობს, ისევ და ისევ ადამიანის საკეთილდღეოდ, როგორც ამას არჩილი ამტკიცებდა: „არა ხოტბა — არამედ მართალი".

ჩვენ წინამდებარე მსჯელობაში უკვე გამოვყავით ჰუმანისტური პრობლემატიკის რამდენიმე ძირითადი ასპექტი, კერძოდ, დამოკიდებულება ადამიანისა (პიროვნების) და საზოგადოების, ადამიანისა და ისტორიის.

პირველ რიგში ისტორიულ რომანს მივუბრუნდეთ. ჟანრობრივი სპეციფიკიდან ისტორიულად გამომდინარე, ამ ნაწარმოებში რეალურად არსებული პიროვნებათა ცხოვრებაა ასახული. ამ პიროვნებათა ადამიანურობის ღირებულება გამომდინარეობს იქიდან, თუ რამდენად ახერხებენ ისინი დაძლიონ პირადული სამყარო და შეუერთდნენ, შეითვისონ ამ პირადულობის გარეთ არსებული უმაღლესი ყოფიერება: ხალხი, ისტორია, კაცობრიობა.

საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს ამ მხრივ რ. ჯაფარიძის რომანი „მძიმე ჯვარი". აქ ყოველგვარი ბრძოლის მიზეზი და მიზანიც, ერის წინამძღოლად მოსული პიროვნებისათვის, არის თავისუფლების მოპოვების სურვილი, მამულის გადარჩენისათვის ხალხის თავდადება. ამ აუცილებლობის განხორციელება არ არის მხოლოდ მოვალეობის ასრულება, ეს შინაგანი, ბუნებრივი და ამ თვალსაზრისით პირადული მოთხოვ-

ნილებაა. რ. ჯაფარიძე სწორად აფასებს მოვლენებს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მამულის წინაშე პასუხისმგებლობის ამამაღლებელ გრძნობას ხედავს არა მარტო მეფისა და მისი უშუალო თანამებრძოლების სახეში, არამედ ხალხის უბრალო წარმომადგენლებშიც, რომელთაც განუმეორებელი სახელი, — ერი ჰქვიათ.

რომანი „მძიმე ჯვარი“ ლოკალურ მოვლენათა უნივერსალიზაციას ახდენს. მასში აგრეთვე ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური პათოსიც არის გაცხადებული და ეს ნაწარმოებს საშუალებას აძლევს გაცდეს ერთი მოცემული ერის ჩარჩოებს, დაინახოს ის ზოგადი, რაც საყოველთაო მამოძრავებელ ენერგიად აღიქმება.

სწორედ ლოკალურის უნივერსალიზაციის მაგალითად გვესახება გრ. აბაშიძის რომანიც „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, რომელშიც ავტორის ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ გაიაზროს ადამიანის პიროვნებად ქმნადობის პროცესი და ეს ჩამოყალიბება ასახოს არა როგორც ერისთვის და მამულისთვის ნიშანდობლივი, არამედ როგორც საყოველთაოდ დასაშვები. ქართველი მკითხველისათვის პროტაგონისტის ცხოვრება ამის გარდა უფრო სხვა მუხტის მქონეცაა, მაგრამ არაქართულენოვანი მკითხველისათვის თავისუფლად დასაშვებია, რომ საკუთარი ეროვნული თვითშეგნების ნისალებ და გასათავისებელ ფაქტად იქცეს. ეს კი ნაწარმოებს ახლებურ მხატვრულ ხარისხს ანიჭებს.

აი, ჩვენი აზრით, სამოცდაათიანი წლების ქართული ისტორიული რომანის ძირითადი ჰუმანისტური პათოსი და მთავარი ეთიკური ღირებულება.

ადამიანი არ წარმოადგენს ისტორიისათვის მხოლოდ მასალას, ის ისტორიის შემოქმედია.

სწორედ ეს კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემატიკაზე დაწერილ რომანებში, როგორიცაა „მარადისობის კანონი“, „აქტიური მზის წელიწადი“, „სძლიე სიხარბესა შენსა“..., „დალი“, „აუზი“. მათი მთავარი ეთიკური ღირსება ისაა, რომ გამოხატონ ადამიანი — პიროვნება, რომელსაც შესწევს უნარი გაითავისოს თავისი დროის სატკივარი და საფიქრალი და ამავე დროს იპოვოს მათი გადაწყვეტის რაიმე პოზიტიური გზები. ჩვენი აზრით, ეს მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი შემოხრუნებაა.

ბაჩანა რამიშვილი, ნოდარ გელოვანი და სხვები ის პროტაგონისტები არიან (ავტორთა მხატვრული აზროვნებიდან გამომდინარე), რომლებმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს თანადროულ ცხოვრებაში პირადი მონაწილეობის აქტს. ისინი თავისი თავისგანაც და სხვა ადამიანებისგანაც მოითხოვენ, რომ შეაფასონ და ძმოქმედონ ერთადერთი ეთიკური პრინციპით, — ერთიანობის პრინციპით, რითაც შესაძლებელია დაუპირისპირდნენ სინამდვილის გამთიშველ სულისკვეთებას. ამ რომანთა და პერსონაჟთა ზნეობრივი მიზანი არის განიხილონ ადამიანები და კაცობრიობა თავიანთი ისტორიული, ზოგადსაკაცობრიო ერთიანობით.

პრობლემატიკის თვალსაზრისით, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია გამოკვლეული, ისინი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური სინამდვილის გახსნისაკენ არის მიმართული და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ემსახურება პასუხი გასცეს კითხვას — როგორია თანამედროვე ადამიანის ბუნება? ერთგან („მარადისობის კანონი“) ადამიანისა და მისი ამ ქვეყნად დანიშნულების გარკვეული იდეაა, თანაც არა იზოლირებული ინდივიდუმისა, არამედ საყოველთაობის, სხვა ადამიანთა ბედისწერათა ფერხულში ჩაბმული პიროვნებებისა. მეორეგან („აქტიური მზის წელიწადი“) გაუფასურებულ ეთიკურ ღირებულებათა აღდგენისათვის წარმოებული ბრძოლის და ამ ბრძოლაში საკუთარი რწმენისა და სულის „გაშალაშინების“ სურათია ნაჩვენები. მესამეგან („სძლიე სიხარბესა შენსა“ გათიშულობის, მომხვეჭელობის, გათითოკაცების სოციალური ასპექტებია მხატვ-

რულად გაანალიზებული. მეოთხეგან, „დალი", „აუზი") სინამდვილის მკაცრ რეალობასთან შეჯახებული ფაქიზ სულთა ისტორიაა ასახული და ამგვარ სულთა გადარჩენა-შენარჩუნების გზებია მონიშნული. და ყოველი მათგანი თავისი ზნეობრივი მისწრაფებით (ავტორის ზნეობრივი პოზიცია) თანადროულობის სპეციფიკურ, მხატვრულ შინაარსს ხატავს, რომელიც, ერთი შეხედვით, არსებობს შემოქმედისაგან დამოუკიდებლად. საგრამ ნაწარმოებში დროის სახედ ყალიბდება.

ნ. დუმბაძის რომანში ამგვარი იდეა წამყვანი მოტივია. ბაჩანა, როგორც პიროვნება, პირველ რიგში, მოქალაქეა, ამ სიტყის უზოგადესი მოაზრებით. იგი თავის დანიშნულებას, თავისი ზნეობრივი ბრძოლის მიმართულებას მოქალაქეობრივი სულისკვეთების გამარჯვებაში ხედავს, რაც იმით გამოიხატება, რომ ყოველგვარ ეთიკურ ანომალიას, როგორც ხელოვანი და როგორც ადამიანი, ქვეყნის, საზოგადოების, ხალხის გათავისებულ ინტერესებს უპირისპირებს და ინდივიდუალურად პიროვნების სიძლიერესა და სიმტკიცეს ამაში ხედავს.

გ. ჭანჭიკიძის პროტაგონისტისათვის კი სხვა ადამიანთა მიმართ დამოკიდებულება თავისი თავის შეცნობიდან განისაზღვრება. ეთიკურ საყრდენთა გადამოწმება და მისი გამოცდა საკუთარი ზნეობრივი არჩევის მასშტაბით მოიაზრება, საკუთარი ზნეობრივი მოცულობის შემეცნებით ხდება გმირისთვის თანამედროვე მორალურ სისტემაში „ჩართვა".

მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი პერსონაჟი დაუპირისპირდეს ან შეუთანხმდეს გარემომცველ სინამდვილეს, მიიღოს იგი, ან უარყოს. მაგრამ ამ პასუხისმგებლობას მიხვედრა ესაჭიროება, რასაც მხოლოდ სუბიექტური განვითარების კანონზომიერებანი როლი განსაზღვრავს, აქ თავის გადამწყვეტ სიტყვას ამბობს საზოგადოება და მასში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო. ყოველი ასეთი მომენტი რეალურ ცხოვრებაში მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ავტორი არცეროი მათგანის მხატვრულად სწორად შეფასებას არ არიდებს თავს. პირიქით, ზნეობრივად დამამახინჯებელ ფაქტორებს უარესად აშიშვლებს, როგორც სუბიექტში, ისე ობიექტურ გარემოცვაში, რათა მათი სიმკვეთრის წარმოჩენით კიდევ უფრო გაზარდოს გმირის პირადი პასუხისმგებლობისა და ზნეობრივი ძიებების მნიშვნელობა.

რომანში „სძლიე სიბარბესა შენსა" ადამიანთა შორის ურთიერთობაში წინა პლანზე ანგარიშიანობა გამოდის, უფრო სწორად, ამ კუთხით შეაფასა ქცევის ზნეობრივი არჩევანის ყოველგვარი გამოვლინება. დაუმორჩილებლობა ამ შემთხვევაში ზნეობრივი იდეალია, რაც, მაგალითად, გ. ციციშვილის მხატვრულ სისტემაში მთავარ მსოფლმხედველობრივ პათოსად გვესახება. მორალური სრწმინდე მარტო ადამიანთა შორის კი არ არის ზნეობრივი იდეალი, არამედ ბუნებასთან დამოკიდებულებაშიც. იყო მის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. მომხმარებელი და თავად შენ მისთვის არაფერს არ გასცემდე, ისეთივე დანაშაული და ეთიკური ანომალიაა, როგორიც სოციალური შინაარსის უზნეობანი — ეგოიზმი და მომხვეჭელობა.

სამოცდაათიანი წლების ქართულ საბჭოთა რომანისტიკაში, სხვა ათწლეულებისაგან განსხვავებით, თავისებური მხატვრული ინტერპრეტაცია შეიძინა ჰუმანისტურ საკითხთაგან საბჭოთა მწერლობისათვის ერთერთმა მთავარმა — ომის თემამ. თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მისი ასახვა მოხდა არა რეალური პროცესის ჩვენებით, არამედ ომის მიერ წამოჭრილი სატკივარის ეროვნულ, ქართულ პრიზმაში გატარებით.

ა. სულაკაურის „ლუკა" ომით გამოწვეულ ტკივილებს მთავარი გმირის ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ამ ცვლილებათა მიმართ მისი ზნეობრივი დამოკიდებულების ფონზე ხატავს. ლუკა ამჩნევს, რომ ადამიანთა უმრავლესობას ომი ამახინჯებს, სახეს

უცვლის და ეს პროცესი უპირველესად ზნეობრივ ასპექტში ხდება. ხოლო ცალკეულთა დამახინჯება შლის იმ მყარ ინსტიტუტს, რომელსაც ეს ცალკეულნი ჩვეულებრივ ვი- თარებაში ემორჩილებოდნენ და ამკვიდრებდნენ. ლუკას ტრაგედია ისაა, რომ იგი ხე- დავს: ხალხი, ვინც მას მორალურ პრინციპებს უქადაგებდა, ამ ქადაგების საწინააღმდე- გოდ მოქმედებს და იქცევა. თითქოს მორალი არსებობს თავისთავად, ხოლო სასიცოც- ხლო ინტერესები თავისთავად.

თუმცა არსებობენ ისინიც, არასდროს რომ არ ღალატობენ ადამიანურობის კეთილ და სამართლიან საწყისებს. ლუკას ეს ზნეობრივი ალტერნატივა ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოყალიბებული შემეცნებისათვის მნიშვნელოვან ამოსაცნობ ქვაკუთხედად ესახება ავტორს...

დაახლოებით ასეთივე გამოძახილი აქვს ომს გურიის ერთ პატარა სოფლისათვის ნ. დუმბაძის რომანში „მარადისობის კანონი“. ადამიანთა თანაცხოვრების ზნეობრივი საყრდენები აქაც ირღვევა და კარგავს პირვანდელ სახეს ომით გამოწვეულ ვაჭირვე- ბათა გამო. ბაჩანა სინამდვილის უარყოფით ზემოქმედებას საზოგადოებრივ ფსიქიკაზე უპირისპირებს იმ ეთიკურ გამოცდილებას, რომელიც მისმა ბავშვურმა თვითშემეცნებამ წინა თაობის წარმომადგენლებისაგან მიიღო მემკვიდრეობად. ასეთი მისია ყველას როლი ეკისრება. მართალია, ცხოვრების გზის დასაწყისში ეს შეგნება არსად არ საცნაუ- რდება, და მისი გაუთავებელი, შეურიგებელი კონფლიქტებიც ამ მისიის გაცნობიერე- ბის შედეგად იძენს მიზანდასახულ შინაარსს. საფუძველი ხალხურ სიბრძნეშია. ხოლო ყოველგვარი სიბრძნე სინამდვილეზე მისი რეალური ზემოქმედების ძალით იზომება. ასეთ გამოცდად, ავტორის მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარე, ომის საშინელე- ბანი ლა მისგან გამოწვეული მოვლენები იქცევიან.

ჰუმანიზმი ჭეშმარიტი რეალისტური მწერლობის მძლავრი იდეოლოგიაა. ეს მოსაზ- რება ახლებური ინტერპრეტაციის სახით წარმოდგება სიმბოლურ-ალეგორიული (იგივე მითოლოგიური) ხასიათის რომანებში, რომლებმაც აღნიშნულ ათწლეულში რეალიზმის მეტად თავისებური შესაძლებლობანი აღმოაჩინეს.

ამ ხასიათის რომანისტიკამ, მითოლოგიური ძირებისადმი მიბრუნებით, სრული პა- სუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, „ახლებურ რეალიზმს“ მიაგნო და პირველ რიგში ამით მიიქცია როგორც კრიტიკის, ისე მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ეს მიგნე- ბა ფორმალური შინაასის არ ყოფილა. მას უნდა ეთამაშა გადამწყვეტი როლი მხატვ- რული აზროვნების შემდგომ განვითარებაში და ეს ასეც მოხდა, რაშიც განსაკუთრებუ- ლი სიცხადით ახლა ვრწმუნდებით.

მითოლოგიური „სურნელების“ მოტანა ქართულ მწერლობაში, როგორც ახლა ჩანს, აღნიშნული ათწლეულის სულიერი მოთხოვნილების გამოხატულებას წარმოად- გენდა, რადგანაც მითოლოგია თავისი არქაული ყლერადობის მიუხედავად, თანამედროვე ადამიანის წარმოდგენაში ზედროულ მხატვრულ-ეთიკურ მთლიანობად აღიქმება. რამ- დენადაც 70-იანი წლები ერთგვარი ზნეობრივი გადაფასების მომასწავლებელი იყო და მწერლობამ ხაზგასმული ინტერესი გამოამჟღავნა სწორედ მორალურ ღირებულე- ბათა უნივერსალური შემეცნებისადმი, მითი, როგორც თავისთავადი „კოდი“ ადამია- ნურობის, ცხოვრების მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრებისა, ყველაზე უფრო შესა- ბუსი აზრობრივი ერთეული აღმოჩნდა. ქართულმა მწერლობამ ამ მხრივ ძიებები ეროვნული მითის — (თუკი ამგვარი განსაზღვრა შეიძლება დავუშვათ) გარდა, წარმარ- თა აგრეთვე ზოგადსაკაცობრიო მითოლოგემათა მხატვრული ათვისებისკენაც.

განსაკუთრებით საინტერესო მხატვრული მიგნებები აღმოაჩნდათ ამ მხრივ რო- მანებს: „ღათა თუთაშხია“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“, „ჟამი კითხულისა“, „სამოსელი პირველი“. ამ ნაწარმოებთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი არის ის,

რომ ისინი ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ღირებულებების მხატვრულ-ფილოსოფიურ გააზრებას წარმოადგენენ. მათში ორიგინალურობა ასახვა ჰპოვა როგორც მითის ტრადიციულმა შინაარსობრივმა სტრუქტურებმა, კერძოდ, ისეთმა ფორმებმა, რომლებმაც თანამედროვე ადამიანის შემეცნებაში გარკვეული ინტელექტუალური მყარი ერთეულების სახე შეიძინეს, და მეორეს მხრივ, ბოლო ხანების ლიტერატურათმცოდნეობაში კულტივირებულმა ისეთმა მცნებამ, რომელსაც მითის ქმნადობის პროცესი ეწოდება. აქედან გამომდინარე, მათი ჰუმანისტური „დატვირთულობა" მდგომარეობს ადამიანურობისა და კაცთმოყვარეობის მარადიული, უცვლელი ეთიკურ გახსნა-გააზრებაში.

რომანში „დათა თუთაშხია" მითოლოგიური სურნელება მხატვრულ-იდეური სტრუქტურის ორგანული ნაწილია. პროტაგონისტი ღვთაებრივი თუთაშხიას პერსონიფიცირებული სახეა და მას მიწიერობა სიკეთისაკენ ლტოლვის სურვილმა შესძინა. მას ყოველ მოცემულ შემთხვევაში კეთილი საწყისის აღორძინება-დამკვიდრება ამოძრავებს. მითის ზნეობრივი შინაარსი აქ ერთმანეთს დაუკავშირდა და მოგვცა არა რომელიმე კონკრეტული ვითარების მორალური შეფასება, არამედ უნივერსალური ხასიათი შეიძინა და ზოგადსაკაცობრიო ყლერადობით დაიმუხტა. ამ რომანის ჰუმანიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, მითისა და რეალობის ურთიერთშემავსებელ სინთეზშია ნაგულისხმევი.

ზნეობრივ პრინციპთა რღვევა მთავარი აზრობრივი ხაზია რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...". ირღვევა ის ერთიანობა ადამიანთა ურთიერთობებში, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა, მის ადგილს ახლებური — კრიზისული მსოფლაღქმა იჭერს, რომლის დროსაც ნაწარმოების თითოეული გმირი საკუთარ სულიერ პრობლემებში დანთქმულ (გახლართულ) სუბიექტებად იკითხება.

ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანთა მოქმედებას დიქრს დროის, ეპოქის, ისტორიული აუცილებლობის მიერ შექმნილი ვითარებები წარმართავს.

თამაზ ბიბილურის რომანი „ჟამი კითხულისა" ზნეობის სოციალური ასპექტების მხატვრული ანალიზია. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ნაწარმოებში სოფლის, თემის წინამძღოლთა გვარის — ბალიაურების სულიერი გრადაციის ისტორიაა მოთხრობილი, რომელშიც სიმბოლურად ხალხის მეთაურად მოწოდებული პიროვნების რთული სულიერი სამყარო და ხალხისადმი ხელისუფლების ურთიერთმიმართების პრობლემატიკა იკითხება. სანამ სოფლის თავი თავის გადაწყვეტილებებში მოქმედებს იმ ზნეობრივი სისტემით, რომელიც მას საზოგადოებამ დაუწესა, როგორც თავისი მოთხოვნილების გამოხატულება, მანამ იგი სოფლის ჭეშმარიტი პატრონია. მაგრამ სამკარისია წინა პლანზე გამოვიდეს პიროვნული ინტერესები (სუბიექტური), რომ ეს საუკუნეებით შექმნილი ერთიანობა ირღვევა და ხელისუფლება ღია უპირისპირდება საზოგადოებას.

მაგრამ აქ საინტერესოა მეორე მომენტიც, კერძოდ ის, რომ ბალიაურთა მთელი „თავგადასავალი" დანახულია თვითმხილველის თვალით, — ბერი ზოსიმეს მიერ. ეს განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ქმნის. ბერი ზოსიმე მონაწილეა იმისა, რაც მკითხველის თვალწინ თამაშდება. ის შემფასებლის როლში გამოდის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამოცდაათიანი წლების ქართულმა საბჭოთა რომანისტიკამ ტრადიციული ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე თვისობრივად ორიგინალური მხატვრული სამყარო შექმნა. ამ ესთეტიკურმა მთლიანობამ მოახერხა დროის, თანადროული ცხოვრების, ჩვენი ეპოქის რეალური და ზუსტი ეთიკური სურათის დახატვა. წარსულის მხატვრული გააზრებით თანამედროვეობის ღრმა ანალიზით, მითოლოგიურ-ალეგორიული სიმბოლურო-

ბით ალნიშნული ათწლეულის რომანმა ახალ სიმაღლეზე დააყენა ჰუმანიზმის ის უკვდავი პრინციპები, რომლებიც მუდამ იყვნენ ადამიანის შინაგანი ბუნების, მისი ჭეშმარიტი მიმართულებისა და ისტორიული პერსპექტივების განმსაზღვრელნი.

აი, რას წერდა პერსი ბიში შელი ერთერთ წერილში:

„როგორი იქნებოდა მსოფლიოს ზნეობრივი სახე, რომ არ ყოფილიყვნენ დანტე, პეტრარკა, ბოკაჩიო, ჩოსერი, შექსპირი, კალდერონი, ლორდი ბეკონი და მილტონი. რომ არ გაჩენილიყვნენ რაფაელი და მიქელანჯელო, რომ არ ეთარგმნათ ძველებრაული პოეზია, რომ არ აღორძინებულიყო ბერძნული ლიტერატურის შესწავლა, რომ არ მოეღწია ჩვენამდე ქანდაკების უძველეს ძეგლებს და რწმენის გაქრობასთან ერთად ძველი მსოფლიოს რელიგიური პოეზია რომ გამქრალიყო...“

იგივე სიტყვები ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ — რა თქმა უნდა, სხვა სახელებით და ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებით — ჩვენი მსჯელობის საგანთან მიმართებაში.

ეროვნებათაშორისი კავშირები და საზოგადოებრივი პროგრესი

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საკითხებს ყოველთვის ეჭირა და უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ყველა მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში. ალნიშნულ პრობლემას გვერდს ვერ უვლის ვერცერთი ისეთი მეტნაკლებად სერიოზული ფილოსოფიური თეორია, რომლის მიზანსაც კაცობრიობის მომავლის გააზრება წარმოადგენს, თავისი არსით, ბუნებითა და ისტორიით ისეთმა ინტერნაციონალურმა მოძღვრებამ, როგორსაც მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს, ეროვნული პრობლემის გააზრება ახალ, შედარებით მაღალ საფეხურზე აიყვანა. ახალი ეპოქის შესაბამისად ალნიშნული პრობლემის თეორიული დამუშავება და მისდამი პარტიული დამოკიდებულების პოზიცია დაწვრილებით განიხილა ვ. ი. ლენინმა. მიუხედავად ამისა, ეროვნული საკითხები არ ამოვარდნილა ე. წ. „მარადიული საკითხების“ რიგიდან და იგი ყველა ეპოქისაგან მოითხოვს ხელახალ გააზრებას, ვინაიდან კაცობრიობის ხვალინდელი დღე, საკითხი იმის შესახებ, თუ საით წავა კაცობრიობა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნებათაშორისო (როგორც მრავალეროვან სახელმწიფოს შიგნით, ასევე სახელმწიფოებს შორის) კავშირების თეორიულ გააზრებაზე თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ურთულესი პროცესების გათვალისწინებით და მის პრაქტიკულ გადაწყვეტაზე ამა თუ იმ მმართველი პარტიის მიერ.

ეროვნებათაშორისო კავშირებისა და საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემას ეძღვნება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ავქსენტი ქოზაევის მონოგრაფია „ინტერნაციონალური ურთიერთობისა და საზოგადოებრივი პროგრესის დიალექტიკა“, რომელიც გამომცემლობა „ირისთონმა“ გამოსცა გასულ წელს რუსულ ენაზე.

მონოგრაფია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნებისაგან, წიგნს თან ერთვის 15 ცხრილი, რომლებშიც მოცემულია როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილების ოდენობა სხვ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ერთ სულ მოსახლეზე, ასევე

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრებ ჩრდილო კავკასიის ხალხთა მოღვაწეთა ნაცემები.

შესავალ ნაწილში მეცნიერი ასაბუთებს ეროვნებათაშორისო საკითხების საზოგადოებრივ პროგრესთან მიმართებაში კვლევის აუცილებლობას (აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში პროფესორ ა. ქოზაევის ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას, რომელშიც ინტერნაციონალური ურთიერთობები საზოგადოებრივ პროგრესთან კავშირშია განხილული და დაძებნილია მათი ურთიერთშეხების მრავალი წერტილი, უფრო მეტიც, ავტორის მტკიცებით, საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დონე წარმოადგენს).

ნაშრომის პირველ თავში მეცნიერი აანალიზებს და აზუსტებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა „საზოგადოების სოციალ-ეთნიკური სტრუქტურა, „ინტერნაციონალური კავშირები", „საზოგადოებრივი პროგრესი" და სხვა, ასე რომ, პირველი თავი ეძღვნება ცნებითი აპარატის დამუშავება-დაზუსტებას.

მეორე თავში მოცემულია საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ზოგადსოციოლოგიური ანალიზი, აქვე ავტორი განიხილავს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის საფუძველზე ადამიანთა მსოფლიო ინტერნაციონალური ერთობის ფორმირების პროცესს, რაც ავტორს მიაჩნია კომუნისტური საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ ეტაპად. ამ ახალი, შედარებით მაღალი ფორმის ინტერნაციონალური კავშირებისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროგრესი, მეცნიერის აზრით, განპირობებულია მოძმე ხალხების ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციით, ეროვნებათა სოციალური ერთგვაროვნების მიღწევით, მოსახლეობის დინამიკითა და მისი ეთნიკური განვითარების დიალექტიკით.

მესამე თავი ეძღვნება ხალხთა მეგობრობის პრობლემებს. ცნების „ხალხთა მეგობრობა", როგორც სოციოლოგიური კატეგორიის კვლევის საფუძველზე მოცემულია, რომ ცნება „ხალხთა მეგობრობა" და სხვა მასთან ახლომყოფი ცნებები, უკვე მთლიანად და ყოველმხრივ ვერარ გამოხატავენ თანამედროვე სოციალიზმის ეროვნულ და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ახალ თვისებრიობას, რის გამოც, ავტორის აზრით, საჭიროა ისეთი ახალი ცნებების, ახალი კატეგორიების შემუშავება, რომლებიც უფრო ზუსტად, ადეკვატურად ასახავენ ეროვნული ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობას.

პროფესორ ა. ქოზაევის მონოგრაფია „ინტერნაციონალური ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი პროგრესის დიალექტიკა", მიუხედავად მასში არსებული ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის უზუსტობისა, მიეკუთვნება „ახლებურად აზროვნების" პოზიციიდან შექმნილ ნაშრომს, რომელშიც მოცემულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ინტერნაციონალური კავშირები, მათში ჩადებული სოციალური შინაარსის საშუალებით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობენ მთლიანად კაცობრიობის პროგრესისაკენ სვლის პროცესში, — მონოგრაფია გარკვეულად უპასუხებს ეროვნული ურთიერთობების პრაქტიკის თეორიული გააზრების იმ მოთხოვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წლის) პლენუმმა დასახა საზოგადოებათმცოდნეების წინაშე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემა.

მურად ჩავლეიშვილი,
ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, დოცენტი.



ელისაბედ ღაღაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაჩუქეთ სიცარიელი!

ერთ მშვენიერ დღეს, — ეს იყო წინასარვამარტო დღეებში — ჩემს მეგობართან შემთხვევით შევხვდით რამოდენიმე ქალი. საუბარი რვა მარტსა და ზოგიერთი მამაკაცის უყურადღებობაზე ჩამოვარდა...

ერთმა მათგანმა გულისტკივილით აღნიშნა: ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს მეუღლეს არ შეუძლია ამ დღისათვის მაინც გამოიჩინოს რაიმე ყურადღება, რამდენიმე მიხაკი ანდა ერთი იის კონა მაჩუქოსო.

საუბარში მეორე ჩაერია, — ნუ სწუხხარ, გენაცვალე, არც ჩემი მეუღლე იწუხებს მაინც და მაინც თავსო...

მახსოვს, ეს ჯერ კიდევ შარშანდელი 5 მარტი იყო, სადღესასწაულოდ ფანჯრებს ვწმენდდი, ვფიქრობდი, ადრე მომეთავებინა დალაგება, ჰოდა, მოგეხსენებათ, რა მაღალი ჭერი აქვს ჩემს ბინას. სამსახურიდან ადრე დაბრუნებულმა მეუღლემ თითი დამიქნია და მანიშნა — ძირს ჩამოდი, საქმე მაქვს შენთანო...

რას ვიზამდი, ძლივს ჩამოვედი იმ სიმაღლიდან...

მან ხელში შეხვეული რაღაც მომაწოდა და მითხრა: — აჰა, აიღე, შენი ვალი მოშორებული მაქვსო!...

მიწა გამხეთქოდა, ის მერჩივნა, რა თავში ვიხლიდი ასეთ უბადრუკ საჩუქარს, ან რა ვალზეა ლაპარაკი? ეს არის საქმე?..

ამ საუბარში ქეთიც ჩაერთო, — მე რაღა მეთქმის, გოგოებო, თავისებური, „ორიგინალური“ მეთოდი აქვს ჩემს მეუღლეს საჩუქრის მოძღვნისო, — ყოველ 8 მარტს მაგიდაზე დამახვედრებს წერილს „ჩემზე იყოსო“!.

თინიკომ კი დანანებით თქვა:

— გოგოებო, თქვენი არ ვიცი და მე მშურს ისეთი მეუღლეებისა, რომლებიც იმ დღეს სახლში გაზქურასთან არ აწვალებენ ქალებს სადილის მომზადებაში, და სადმე რესტორანში ან კაფეში ერთ ფინჯან ყავაზე მაინც დაპატიჟებენო...

ერთ წელიწადს, დიდი შეგონებით, მართლაც წამიყვანა მეუღლემ რესტორანში... რა ბედნიერებაა, ზიხარ შენთვის, ყველას საზეიმო და ამაღლებული განწყობილება აქვს, უკრავს მუსიკა და ამ გაჩახჩახებულ დარბაზში ცეკვავს თითქმის ყველა...

ჭე და ჩემი მეუღლე ვზივართ უხმოდ, ამდენი ხნის ცოლ-ქმარს თითქმის არაფერი გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი... ამ დროს, ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა ერთი დარბაისელი კაცი და მთხოვა საცეკვაოდ გავყოლოდი...

ჩემმა მეუღლემ ერთი ისეთი შეულრინა, — ჩემი ცოლი არ ცეკვავსო, ძრომ ცივად გატრიალდა ის უცნობი მამაკაცი...

— რატომ არაფერს ჭამო? — მეკითხება...

რა ლუკმა გადამივიდოდა ყელში, ასე მოშხამულ ხასიათზე დავბრუნდი სახლში...

— თქვენსას ვერაფერს გაიგებსო კაცი, — აქეთ მისაყვედურა მეუღლემ... ესეც შენი რესტორანი, აბა სხვა რა გინდაო?!

მე კი ერთ წელიწადს გადავწყვიტე, — (ამას დონარა გვიყვება), — რადაც უნდა დაშავდეს, 8 მარტს არ დავრჩები სახლში და ისე, უბრალოდ გავალ ქუჩაში-მეთქი... მართლაც, ჩავიცვი, გამოვეწყე და ვიფიქრე, უბრალოდ გავივლი-მეთქი...

მოვდივარ ასე ჩემთვის მარტო და ვუყურებ სხვა ბედნიერ წყვილებს, თითქმის ყველა ქალი ყვავილებით ხელში დადის ქუჩაში, მოძღიმარნი, ბედნიერნი, მეუღლეებთან, შვილებთან ერთად... მე კი მივყურყუტებ მოწყენილი, დანაღვლიანებული...

უცებ ერთი ახალგაზრდა გაჩერდა ჩემს წინ იის კონებით ხელში და, — ნება მომეცით, ეს იები თქვენ მოგიძღვნათ და მოგილოცოთ დღევანდელი დღეო, — მითხრა.

— დიდი მადლობა ჩემო კარგო, მაგრამ, რატომ მაინც და მაინც მე-მეთქი?..

— დიდი ხანია, მოგყვებით, ვხედავ, რაღაც მოწყენილი დადიხართ, თანაც უყვავილოდ. მე კი დილიდანვე გულში ჩავითქვი, ეს იის კონები იმ ქალისათვის მიმეძღვნა, ვინც მოწყენილი იქნებოდა და თანაც უყვავილოდ... ინებეთ, ქალბატონო, დედასაც ძალიან უყვარდა ყვავილები, განსაკუთრებით იებით...

დიდი მადლობა, ჩემო კარგო, თქვენ მე მართლაც ძალიან მასიამოვნეთ-მეთქი...

და აი, ასე დავშორდით ერთმანეთს...

არ ვიცნობდი ადამიანს, რომელმაც ასეთი სიხარული მომანიჭა და ჩემი სანუკვარი იები მაჩუქა...

საოცრად კარგ ხასიათზე დავბრუნდი სახლში და მთელი გზა კი არ მტოვებდა ფიქრი, რომ არსებობენ ასეთი კარგი ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ სრულიად უცნობ ადამიანებსაც კი აჩუქონ თუნდაც ასეთი პატარა სიხარული...

ნანას მონაყოლი:

— ერთ წელიწადს მეგობარმა ქალებმა გადავწყვიტეთ თვითონ გვეპატრონა ჩვენი თავისთვის და სარვამარტოდ წავედით რესტორან „არაგვში“.

წასვლისას მეუღლეს დავუბარე, — თუ გინდა ამ დღეს მასიამოვნო, რამდენი ქალიც ვართ (სულ 15), იმდენი იის კონა იყიდე და როცა მოიცლი, მოლი და ყველას მოულოცე ეს დღე-მეთქი...

მართლაც, დანიშნული დროისათვის მოვიდა, ხელში იის კონებით და ყველას სათითაოდ ჩამოურიგა..

ვერ წარმოიდგენთ, რა ამბავი მოახდინა ამ პატარა ყურადღებამ, — აი კაცი, აი, გულისხმიერი ადამიანი, რა ბედნიერია მისი მეუღლეო, — და ასე შემდეგ!!..

მაპატიონ იმ გულისხმიერმა მამაკაცებმა, რომლებიც მართლაც დიდ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ, საერთოდ, ქალებს, მაგრამ მინდა იმ უყურადღებო მამაკაცების გასაგონად იყოს ეს პატარა გულისტკენა ნათქვამი და შევახსენო:

რა ეჭვრთ, მამაკაცებო, ნუთუ არ შეგიძლიათ მეტი ყურადღება? ღმერთმა და კაცმა წელიწადში ეს ერთი დღე გვარგუნა, ჩვენ — თქვენს მოვლაში, შეყვარების გაზრდაში, მტერ-მოყვარის გაძღოლაში, სამსახურში და სახლში ქანცგაწყვეტილებს და თქვენ ისიც არ შეგიძლიათ, გემრიელად, ორიგინალურად, სულ მცირედი სიხარული რომ გვაჩუქოთ? ჩვენთვის ხომ მცირედიც კმარა, ოღონდ ისე შნოიანად, ლაზათიანად, მთელ წელიწადს რომ გვახსოვდეს!

გასულ ორ თვეში

* * *

შეხვედრები მწერლებთან

ამას წინათ მწერალ შოთა როყვას მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში, სადაც არასრული საშუალო სკოლის პედაგოგის ნათელა დუმბაძის ინიციატივით გაიმართა რომანის „ფრთების“ განხილვა.

მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, კოლმეურნეებმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა მაღალი შეფასება მისცეს მწერლის ნაწარმოებს.

განხილვაში მონაწილეობდნენ მწერლები ზურაბ გორგილაძე, ნოდარ მოდებაძე, შოთა ზოიძე.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეხვედრა მოუწყვეს პოეტ ზურაბ გორგილაძეს. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ დოცენტმა ნ. მიქელაძემ და კათედრის დოცენტმა ე. ჯიჯეიშვილმა ილაპარაკეს პოეტის შემოქმედების იდეურ-მხატვრულ და სტილისტიკის საკითხებზე. პროფესორმა ალ. გობრონიძემ თავისი გამოსვლა ძიუძღვნა ზ. გორგილაძის შემოქმედების მოქალაქეობრივ ღირებულებას. დოცენტმა ი. ბიბილეიშვილმა ილაპარაკა ლირიკული გმირის ტიპურ ნიშნებზე. პოე-

ტის ლექსები წაიკითხეს მასწავლებელმა ზ. შაშიკაძემ, სტუდენტებმა ი. თავდგირიძემ, ვ. ბერიძემ, მ. ჟურკვეიძემ, ე. ბალაძემ, მ. ჩოხარაძემ, მ. ბალაძემ.

დასასრულ ზურაბ გორგილაძემ წაიკითხა ახალი ლექსები, უპასუხა შეკითხვებს.

* * *

ი. გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭომ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ქ. ბათუმის განათლების განყოფილებამ ბათუმის № 2 საშუალო სკოლაში მოაწყვეს ემენ დავითაძის პოემის „ღალატის" განხილვა.

განხილვაზე სიტყვით გამოვიდა პოეტი ემენ დავითაძე.

ახლახან გამოიცა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დასტამბა ცნობილი ქართველი პოეტის მამია ვარშანიძის ლექსების კრებული, რომელსაც „დაღლილი ნისლი" ჰქვია. იგი მიეძღვნა პოეტის დაბადების 70 წლისთავს.

კრებულში ძირითადად წარმოდგენილია პატრიოტული ლექსები, რომლების შექმნასაც ავტორმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები მოანდომა. ადრინდელ ლექსებთან ერთად დაბეჭდილია ახალი ნაწარმოებებიც, რომელთა ლირიკული პერსონაჟი მზრუნველი კაცის თვალით შეჰყურებს ჩვენი ერის მატერიალური კულტურის ძეგლებს და ცდილობს დიდი წარსული მომავლის სამსახურში ჩააყენოს.

გამოცემის რედაქტორია თ. დაუშვილი, მხატვრულად გააფორმა ა. სამაშვილმა.

* * *

ქალაქ სტამბოლის გამომცემლობამ თურქულ ენაზე ხუთი ათასი ტირაჟით გამოსცა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობების კრებული, რომელსაც „ეშმაკის ქვა" ჰქვია. მასში შეტანილია მოთხრობები „ჩანჩურა", „ტყის კაცი", „დიმოპაპა", „მართალი აბდულა".

წიგნს დართული აქვს მიხეილ ჯავახიშვილის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და თურქი მწერლის ფაჰრეთდინ ჩილოღლუს წინასიტყვაობა.

მოთხრობები ქართულიდან თარგმნა ჩვენმა თანამემამულემ იბრაიმ გორაძემ. ეს წიგნი რიგით მესამეა, რომელიც მან დედნიდან თურქულად თარგმნა და გამოსცა.

აღსანიშნავია, რომ ი. გორაძე თურქეთის პროგრესულ მწერლებს თარგმნის ქართულად. უკვე გამოიცა ორჰან ქემალის „ქალბატონის მამული", იაშარ ქემალის რომანის „მემედი ჩემი შევარდენი", I-II წიგნები, ფაქირ ბაიქურთის „ჭორფლიანი ქალი" და „გველების შურისძიება". მალე გამოვა ორჰან ქემალის „უცნობი ქალი".

* * *

„არა იპარო" ჰქვია ნოდარ მოლებაძის ახალ რომანს, რომელიც ახლახან მიიღო მკითხველმა. წიგნი გამოირჩევა თემის აქტუალობით, დღევანდელობის მწვავე საკითხების ღასმითა და მხატვრული გადაწყვეტით.

გამოცემის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვრულად გააფორმა ე. ხაზარაძემ.

ღვაწლის დაფასება

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის, უფროსი მასწავლებლის გრიგოლ გრეკოვის შემოქმედებითი საღამო, რომელიც მისი დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს მიეძღვნა.

საღამოზე გ. გრეკოვმა მადლობა გადაიხადა მისი ღვაწლის დაფასებისათვის.

ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118